გამოდის ოთხშაბათობით

№11 (275)

ქართული სიტყვა

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ფასი 1 ლარი

18 – 24 მარტი 2015 წ. ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტი (www.tesau.edu.ge)
აირჩიეთ 071

ორი ბიზნესსკანდალი

ჟურნალისტური გამოძიება – წერილი მეორე

მე-2-3 გვ.

„გარდაცვალებამდე სამი დღით ადრე, ომგერმა მითხრა, რომ ბანკ „რესპუბლიკაში“ 12 პროცენტი ჰქონდა!“

საიდუმლო სეიფიდან გამქრალი მილიონები და ბანკის პრეზიდენტისა და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის საეჭვოდ გაზრდილი ქონება

მიდის თუ არა ბიზნესმენ ომგერ მაცაბერიძის გარდაცვალების კვალი არაბუნებრივ სიკვდილამდე

„მიშას ჯიბე“ – ბიზნესმენ თამაზ ელიზბარაშვილის დის ქმრის გაკოტრების სკანდალური სქემა

როგორ გაათეთრეს „მიშმაკებმა“ აგვისტოს ომის დროს ფქვილით მილიონები

მე-14-15 გვ.

თემო მურვანიძე: „ფოთისგან ბრენდს გავაკეთებთ!“

საინვესტიციო პროექტები, როლებიც ფოთს გამოაცოცხლებენ

მე-11 გვ.

სკანდალური აღიარება: „საქმეები უნდა გამეყალბებინა – ალასანიასდროინდელი ტენდერები ამომექექა...“

მე-13 გვ.

„ეს სუს-ის მიერ შექმნილი ჯგუფია, აგენტურა!“

მე-12 გვ.

„საქართველოში პოლიტიკური პარტიების წარმატებას ფული და სპეცსამსახურები განსაზღვრავენ!“ – კახა კუკავა „მიშისტობას“ უარყოფს

„სისხლი იქნება!“

როგორ მოხვდა მეგის ქარდავა კიევში და რეალურად, რას გეგმავენ „ნაციონალები“ 21 მარტს – პირველადი ოპერატიული ინფორმაციები

მე-8-9 გვ.

2 № 11 (275) 18-24 მარტი 2015

ქართული სიტყვა

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

ლიტერატურა. ენერგეტიკა. პოლიტიკა

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ჟურნალისტური გამოძიება

„ჩემი მეუღლის ქონება გოჩა მაცაბერიძემ და ლაშა პაპაშვილმა მიიტაცეს!.. დარწმუნებული რომ არ ვიყო, ბანკ „რესპუბლიკაში“ ჩემი მეუღლის 12 პროცენტი გოჩა მაცაბერიძემ მიითვისა, სულელი კი არ ვარ, დავა სასამართლოში დამენყო. დარწმუნებული ვარ, ეს ქონება გოჩა მაცაბერიძემ მიითვისა და მერე, ლაშა პაპაშვილს მისცა!.. ხომ თქვეს, რომ სამართლიანობის აღდგენისთვის ემზადებიან და ახლა, გამოჩნდება, სამართლიანობა როგორ აღსდგება!“ — ასე დაიწყო „ქართულ სიტყვასთან“ საუბარი აწ გარდაცვლილი ბიზნესმენის, ომგერ მაცაბერიძის ქვრივმა, მარო მაცაბერიძემ. შეგახსენებთ: „ქართული სიტყვის“ წინა ნომერში გამოქვეყნებულ წერილში — „ბინძური კლანის აფიორა თუ საუკუნის ბიზნესყაჩაღობა?“ — ლაპარაკი იყო ბანკ „რესპუბლიკიდან“ ბიზნესმენ ომგერ მაცაბერიძის 12-პროცენტიანი წილის გაქრობაზე. გაქრობაზე იმიტომ, რომ ბანკმა დღემდე, როგორც ადვოკატები ამბობენ, ომგერ მაცაბერიძის წილის გასხვისების დამადასტურებელი ფარატინა ქაღალდიც ვერ წარმოადგინა. ამ თემით „ქართული სიტყვა“ მას შემდეგ დაინტერესდა, რაც რედაქციას წერილით ბიზნესმენის ქვრივის, მარო მაცაბერიძის ინტერესების დამცველებმა, ადვოკატებმა — ალექსანდრე გიოშვილმა და სალომე აბულაძემ მომართეს და ჟურნალისტური გამოძიების ჩატარება სთხოვეს. ასე რომ, დღეს ჟურნალისტური გამოძიების მეორე ნაწილს წარმოგიდგენთ, რითიც კიდევ ერთხელ მძაფრდება ეჭვი, რომ ბანკ „რესპუბლიკაში“ ბიზნესმენ ომგერ მაცაბერიძის კუთვნილი 12 პროცენტი მისმა მოგვარემ და ნდობით აღჭურვილმა პირმა, გოჩა მაცაბერიძემ და ამასთან, ვინმე პაატა გაზაკაშვილმა თაღლითურად მიითვისეს. შემდეგ კი, ლაშა პაპაშვილს უფეშქაშეს.

„გარდაცვალებამდე სამი დღით ადრე, ომგერმა მითხრა, რომ ბანკ „რესპუბლიკაში“ 12 პროცენტი ჰქონდა!“

წერილი მეორე

ამ გონივრულ ეჭვს ისიც ამძაფრებს, რომ იმხანად, როცა ომგერ მაცაბერიძის კუთვნილი 12 პროცენტი „აორთქლდა“, გოჩა მაცაბერიძე ბანკ „რესპუბლიკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გახლდათ, ლაშა პაპაშვილი კი, — პრეზიდენტი. როგორც აღვნიშნეთ, ომგერ მაცაბერიძის კუთვნილი 12 პროცენტი, საბოლოოდ, სწორედ ლაშა პაპაშვილის ხელში მოხვდა. მოგვიანებით, მან ბანკ „რესპუბლიკის“ აქციები ფრანგულ ფინანსურ ჯგუფ „სოსიეტე ჟენერალს“ მიჰყიდა. ადვოკატთა ვარაუდით, თითო აქციაში „სოსიეტე ჟენერალმა“ 2 მილიონი ევრო გადაიხადა. მაშასადამე, თუკი ამ ლოგიკას გავყვებით, გამოდის, რომ გოჩა მაცაბერიძისა და ლაშა პაპაშვილის დუეტმა აწ განსვენებულ ბიზნესმენ ომგერ მაცაბერიძის ოჯახი, მინიმუმ, 24 მილიონი ევროთი დააყაჩაღა!

გარდა ამისა, ომგერ მაცაბერიძის საქმეში ე.წ. საიდუმლო სეიფიც ფიგურირებს, სადაც, როგორც მოწმეთა ჩვენებებით ირკვევა, გარდაცვლილი ბიზნესმენი მოგებას ინახავდა.

„ქართულ სიტყვას“, ჟურნალისტური გამოძიებისას, არაერთმა თვითმხილველმა განუცხადა, რომ ამ სეიფის გასაღები სწორედ გოჩა მაცაბერიძესთან ინახებოდა. ასევე, თვითმხილველები ამბობენ, რომ ომგერ მაცაბერიძეს, გარდაცვალების მომენტში, რამდენიმე, მინიმუმ, 7-8 ან მეტი მილიონი ჰქონდა, ანუ ლაპარაკია ბანკსა და სხვა ბიზნესიდან მიღებულ მოგებაზე, რომელსაც გარდაცვლილი ბიზნესმენი სწორედ ამ სეიფში ინახავდა, თუმცა გოჩა მაცაბერიძემ ქვრივს, როგორც მარო მაცაბერიძე „ქართულ სიტყვასთან“ საუბრისას აღნიშნავს, უთხრა, ომგერს მოგება კი არა, ვალები ჰქონდა და იძულებული ვარ, მე გადავიხადოო(!).

„ეს ჩვეულებრივი ბიზნეს-წუმპეა, რომელსაც ნიღაბი მალე ჩამოეხსნება და მთელი საზოგადოება კარგად დაინახავს, სინამდვილეში რა ვაჟბატონიცაა ლაშა პაპაშვილი, რომელსაც თავი ლამის ალტრუისტად მოაქვს“, — აღნიშნა „ქართულ სიტყვასთან“ საუბრისას გარდაცვლილი ბიზნესმენის, ომგერ მაცაბერიძის ერთ-ერთმა ახლობელმა. სხვათა შორის, ეს საქმე იმითაცაა პრეცედენტული, რომ ბანკ „რესპუბლიკიდან“ გამქრალი, გნებავთ, თაღლითურად მითვისებული 12 პროცენტის ბედით მხოლოდ ომგერ მაცაბერიძის ოჯახი კი არა, მისი სამეგობროცაა დაინტერესებული. მათი თქმით, დროა, სიმართლეს ფარდა აეხადოს და წართმეული ქონების დაბრუნება სწორედ ომგერ მაცაბერიძის ოჯახისთვის ბანკ „რესპუბლიკაში“ გარდაცვლილი ბიზნესმენის კუთვნილი წილის დაბრუნებით დაიწყოს!

არსებობს თუ არა მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება, რომ ომგერ მაცაბერიძის 12-პროცენტიან წილს ბანკ „რესპუბლიკის“ სამეთვალყურეო საბჭოს მაშინდელი თავმჯდომარე, გოჩა მაცაბერიძე და ვინმე პაატა გაზაკაშვილი დაეუფლნენ, რომელთაც მოგვიანებით, ეს 12 პროცენტი ლაშა პაპაშვილს უფეშქაშეს?

ადვოკატების მოსაზრებით, ამის პირველი არაპირდაპირი მტკიცებულება ისაა, რომ გოჩა მაცაბერიძე ომგერ მაცაბერიძესთან დაახლოებული და მისი ნდობით აღჭურვილი პირი იყო, რომელიც ამბობს, რომ ბიზნესმენმა კუთვნილი პროცენტები გარდაცვალებამდე ორი თვით ადრე გაყიდა, თუმცა ამ გაყიდვის დამადასტურებელი საბუთები დღემდე არ წარმოუდგენია. არადა, ბანკ „რესპუბლიკიდან“ ომგერ მაცაბერიძის კუთვნილი 12 პროცენტის გაუჩინარებას წელიწადია, მთავარი პროკურატურა იძიებს. ამჟამად, საქმე სასამართლოშიც მიმდინარეობს, თუმცა ბანკი, როგორც ადვოკატები განმარტავენ, თავის მართლებას სულელური არგუმენტებით ცდილობს. ასე, მაგალითად, ისიც კი უთქვამთ, რომ დოკუმენტები, რითიც დადასტურდებოდა, რომ ომგერ მაცაბერიძემ თავისი წილი გაყიდა, დახია.

გარდა ამისა, სასამართლოზე რაღაც დაქსეროქსებული ფურცელი მიუტანიათ და იქვე დაუყოლებიათ, მთელი ბანკი ეძებს, მაგრამ ამ ქსეროქსის დედანი არ ვიცით, სად წავიდაო.

მოკლედ რომ ვთქვათ, მხოლოდ ლაშა პაპაშვილი, გოჩა მაცაბერიძე და ვინმე პაატა გაზაკაშვილი კი არა, მსოფლიოში სანდოობით ცნობილი ფრანგული ფინანსური ჯგუფი „სოსიეტე ჟენერალიც“ სერიოზულ შარშია, რადგან ამ უკანასკნელმა ბანკ „რესპუბლიკის“ აქციები ისე შეიძინა, რომ მეწილეთა, მინიმუმ, პატიოსნებით არ დაინტერესებულა! არადა, როგორც ადვოკატები ამბობენ, ყველაფერი ხელის გულზე დევს და, სხვა თუ არაფერი, კითხვის ნიშანს ის აჩენს, ომგერ მაცაბერიძის გარდაცვალების შემდეგ, გოჩა მაცაბერიძისა და პაატა გაზაკაშვილის წილი 5 და 7 პროცენტით როგორ გაიზარდა?

ამასთან, „სოსიეტე ჟენერალს“, წესით, ის შეკითხვაც უნდა დაესვა, თუ რატომ გადაწყვიტეს გოჩა მაცაბერიძემ და პაატა გაზაკაშვილმა „თავიანთი“ პროცენტების ლაშა პაპაშვილისთვის გადაცემა?!

ისე, საქმის ერთ-ერთი ფიგურანტი პაატა გაზაკაშვილი, როგორც ადვოკატი ალექსანდრე გიოშვილი ამბობს, ვინმე კი არა, ლაშა პაპაშვილის „პადსტავკაა“, ანუ ადვოკატის ვარაუდით, ყველა ბინძურ საქმეს პაპაშვილი სწორედ მისი ხელით აკეთებს.

„გაზაკაშვილს ოფისი ატენის ქუჩაზე, ბანკ „რესპუბლიკაში“ აქვს, რაც იმის ერთ-ერთი მტკიცებაა, რომ გაზაკაშვილი პაპაშვილის დავალებით მოქმედებს. გარდა ამისა, ყველა ტენდერში, რომელსაც ბანკი „რესპუბლიკა“ იმ ქონებაზე აცხადებდა, რომელიც კრედიტორებს ჩამოართვა, სწორედ გაზაკაშვილის ფირმა იმარჯვებდა, რაც საჯარო რეესტრის ამონაწერითაც დასტურდება და აქ ლაპარაკი მილიონებზეა“, — ამბობს ადვოკატი ალექსანდრე გიოშვილი, რომელმაც „ქართულ სიტყვას“ გაზაკაშვილის საქმიანობის ე.წ. სქემა წარმოუდგინა, რომელზეც დეტალურად შემდეგ ნომერში ვისაუბრებთ.

რაც შეეხება გოჩა მაცაბერიძეს, როგორც გარდაცვლილი ბიზნესმენის, ომგერ მაცაბერიძის ქვრივი ამბობს, ის თბილისში ცალ-ცალი კალოშით ჩამოვიდა და ფეხზე სწორედ მისმა მეუღლემ დააყენა. ომგერ მაცაბერიძის გარდაცვალების შემდეგ კი, გოჩა მაცაბერიძის ქონება საეჭვოდ და კოლოსალურად გაიზარდა, რასაც მარო მაცაბერიძის ინტერესების დამცველთა მიერ, „ქართული სიტყვისთვის“ საჯარო რეესტრიდან ამოღებული ამონაწერიც მოწმობს.

მაშ, ასე: ომგერ მაცაბერიძის გარდაცვალების, ბანკ „რესპუბლიკიდან“ მისი კუთვნილი 12-პროცენტიანი წილისა და სეიფიდან მილიონობით თანხის გაქრობის პარალელურად, გოჩა მაცაბერიძე შემდეგი ქონების მფლობელი ხდება:

1. 2009 წელი: სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთი — თელავი, სოფელი წინანდალი, დაზუსტებული ფართობი: 7600.00 კვ.მ.

2. 2012 წელი: არასასოფლო სამეურნეო ნაკვეთი — ქ.თბილისი, მასივი დიღომი, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპირო, ქარხანა „მიონი“-სა და ახალ ხიდს შორის. დაზუსტებული ფართობი: 2865.00 კვ.მ.

3. 2013 წელი: არასასოფლო სამეურნეო ნაკვეთი — ქ. თბილისი, დაბა წყნეთი, რუსთაველის ქუჩა №34, დაზუსტებული ფართობი: 3420.00 კვ.მ.

4. 2007 წელი: შ.პ.ს. „დითისი“ — გოჩა მაცაბერიძის წილი 25%.

5. 2007 წელი: შ.პ.ს. „სთრაიდ +“ — გოჩა მაცაბერიძის წილი 33.083%.

6. 2006 წელი: შ.პ.ს. „სთრაიდ ჯორჯია“ — გოჩა მაცაბერიძის წილი 12%.

7. 2006 წელი: შ.პ.ს. „ალვაზი“ — გოჩა მაცაბერიძის წილი 25%.

7. 2007 წელი: შ.პ.ს. „უწერა 2007“ — გოჩა მაცაბერიძის წილი 31.7%.

მარო მაცაბერიძის ადვოკატების ცნობით, გოჩა მაცაბერიძის ეს და სხვა ქონება, მათ შორის, ავტოსატრანსპორტო საშუალებები (1. LAND ROVER, RANGE ROVER VOGUE, **გამოშვების წელი — 2014. 2).** VAZ 21093, **გამოშვების წელი — 1995. 3).** MERCEDES-BENZ, **გამოშვების წელი — 2006) ამ დროისთვის დაყადაღებულია.**

გარდა ამისა, როგორც „ქართულმა სიტყვამ“ ჟურნალისტური გამოძიებისას გაარკვია, სწორედ ომგერ მაცაბერიძის გარდაცვალების შემდეგ, გოჩა მაცაბერიძემ წყნეთში ფეშენებელური ვილაც აიშენა, რომლის ფოტოებსაც აქვე გთავაზობთ...

გარკვეული ქონება გოჩა მაცაბერიძეს ომგერის გარდაცვალებამდეც ჰქონდა, თუმცა მთელმა თბილისმა იცის, რომ „კალოშებით ჩამოსულ“ და კომკავშირელს, რომელიც პირველ სადღეგრძელოდ, თურმე, ლენინ-სტალინის დიდებისას სვამდა, ყველა ეს ქონება ომგერ მაცაბერიძემ აჩუქა, რაც ადვოკატების თქმით, იმითაც დასტურდება, რომ ამ მილიონობით ქონების მოწილე თავად ომგერიც იყო.

„ქართული სიტყვა“ არაფერს ამტკიცებს, მაგრამ ჟურნალისტური გამოძიებით მოპოვებული მასალები თავისთავად აჩენს გონივრულ ეჭვს, რომ ბიზნესმენი ომგერ მაცაბერიძე შესაძლოა, ბუნებრივი სიკვდილით არ გარდაცვლილა. ეჭვის საფუძველი თუნდაც ისაა, რომ გარდაცვალებამდე ბიზნესმენს სერიოზული მოგება ჰქონდა, რაც

გაგრძელება მე-3 გვ.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲧᲕᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

18- 24 ᲛᲐᲠᲢᲘ 2015

№ 11 (275)

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲬᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲫᲘᲔᲑᲐ

მიდის თუ არა ბიზნესმენ ომგერ მაცაბერიძის გარდაცვალების კვალი არაბუნებრივ სიკვდილამდე

საბანკო ამონაწერებითაც დასტურდება – გარდაცვალებამდე ორი თვით ადრე, როგორც ადვოკატები ამბობენ, ომგერ მაცაბერიძემ ბანკის აქციები შეიძინა. ამასთან, ამონაწერებითვე დასტურდება, რომ პირადი ანგარიშიდან მილიონ 300 ათასი გამოიტანა, რომელიც წესით, სახლის, ან იმ სეიფში უნდა შეენახა, რომლის გასაღებიც გოჩა მაცაბერიძეს ჰქონდა. შესაბამისად, იმის დაშვებაც კი, რომ ვინმეს ფული ემართა და ბანკ „რესპუბლიკიდან“ 12 პროცენტი ამის გამო გაყიდა, ან სეიფში მილიონები იმიტომ აღარ აღმოჩნდა, რომ ფული ვალში მისცა, ამაზრზენი სიცრუეა. სხვათა შორის, ოჯახს არაბუნებრივი გარდაცვალების თაობაზე ეჭვი მას შემდეგ გაუჩნდა, რაც ეს შეკითხვა გამომძიებელმა ბიზნესმენის ქვრივს დაუსვა. ასევე, ნიშანდობლივია, რომ ომგერ მაცაბერიძის გარდაცვალებაზე გამოძიება არ დაწყებულა. არადა, ნებისმიერი ადამიანის უეცარი სიკვდილი პოლიციამ უნდა დაადასტუროს და ექსპერტიზაც ჩატარდეს. ყოველივე აქედან გამომდინარე, ოჯახი არ გამორიცხავს, რომ დღის წესრიგში ექსგუმაციის საკითხი დააყენოს(?!). სხვათა შორის, იმის თაობაზე, შესაძლებელია თუ არა, რომ სხვადასხვა ნივთიერებით არაბუნებრივი სიკვდილი დადგეს, „ქართული სიტყვა“ სპეციალისტებს ელაპარაკა, რომელთაც აღნიშნეს, რომ არსებობს სხვადასხვა ტოქსიკური საშუალება, რომელთა გამოყენებასაც, შესაძლოა, გარდაცვალება მოჰყვეს(?!).

„ქართული სიტყვა“, ჟურნალისტური გამოძიების ფარგლებში, გთავაზობთ ინტერვიუს ბანკ „რესპუბლიკის“ 12-პროცენტიანი წილის მფლობელის, გარდაცვალების შემდეგ გაკოტრებული ბიზნესმენის, ომგერ მაცაბერიძის ქვრივთან, **მარო მაცაბერიძესთან**.

– ქალბატონო მარო, იცოდით, რომ თქვენი მეუღლე, ომგერ მაცაბერიძე ბანკ „რესპუბლიკის“ მეწილე იყო?

– დიახ, ვიცოდი, რომ ჩემს მეუღლეს ბანკ „რესპუბლიკაში“ 12 პროცენტი ჰქონდა. 2005 წლის 23 თებერვალს, მისი დაბადების დღეს, ოჯახური საუბარი გვქონდა და მაშინ თქვა, 12 პროცენტი მაქვსო. მივუგე, ვიცი, რომ გაქვს-მეთქი.

– ანუ, ამ ოჯახური საუბრიდან 4 დღეში, ომგერი გარდაიცვალა, არა?

– 27 თებერვალს, გამთენიისას გარდაიცვალა.

– საუბრისას მინიშნებაც არ გაუკეთებია, რომ თავისი წილი გაყიდა, ან გაასხვისა?

– არა! გამორიცხულია, ომგერს წილი გაეყიდა. ნათქვამიც ჰქონდა, იმდენს გიტოვებთ, ვერ დახარჯავთო.

– ეს ფრაზაც 23 თებერვალს გითხრათ?

– კი... ისიც ვიცოდი, რომ ომგერის ყველა თანხა გოჩა მაცაბერიძესთან ინახებოდა.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ომგერისთვის ძალიან სანდო პიროვნება იყო. ომგერი სახლში თანხას არ აჩერებდა და ამ კაცთან ინახებოდა.

– რას ნიშნავს, „ინახებოდა“?

– ბანკ „რესპუბლიკაში“ სეიფი ჰქონდა, სადაც ჩემი მეუღლე ყველა შემოსავალს ინახავდა. როცა დასჭირდებოდა, მძღოლს უშვებდა და მას მოჰქონდა.

– ესე იგი, ომგერ მაცაბერიძე ფულის მოსატანად მძღოლს გოჩა მაცაბერიძესთან აგზავნიდა ხოლმე?

– დიახ.

– გოჩა მაცაბერიძე ფულს სად ინახავდა?

– ბანკში, თავის კაბინეტში, სეიფი ჰქონდა...

– ქალბატონო მარო, გარდაცვალების წინ, 23 თებერვალს რომ ილაპარაკეთ, მეუღლემ თუ გითხრათ, სეიფში რა რაოდენობის თანხა ჰქონდა?

– ამ სეიფში გრანდიოზული თანხა, მილიონები იყო შენახული. ომგერი რომ გარდაიცვალა, ორმოცის შემდეგ, ეს თანხა მოვიკითხე.

– ვის მოკითხეთ?

– გოჩა მაცაბერიძეს, თან ბანკზეც დაველაპარაკე, ანუ ქონებების გადმოფორმება მქონდა დაწყებული და ვუთხარი, რომ ბანკის 12 პროცენტიც უნდა გადმომეფორმებინა, მაგრამ მიპასუხა, ომგერს პროცენტები სად ჰქონდა, გაყიდაო. გოჩა, რას ჰქვია, გაყიდა, ომგერს პროცენტები ჰქონდა-მეთქი.

– არ ჰკითხეთ, როდის გაყიდა?

– ვკითხე და მიპასუხა, დეკემბრის ბოლოსო.

– ისიც გითხრათ, ვისზე გაყიდა?

– ვკითხე, ვისზე გაყიდა, ან გაასხვისა-მეთქი.

– რა გიპასუხათ?

– რა ვიცი, ვისზე გაყიდა, არ იცი, როგორი ჩაკეტილი კაცი იყოო.

– თუ წილი დეკემბერში გაყიდა, აბა, 23 თებერვალს რატომღა გეტყოდათ, რომ ბანკ „რესპუბლიკაში“ 12 პროცენტი ჰქონდა?

– ვხვდებოდი, რომ გოჩა მაცაბერიძე რაღაცას იტყუებოდა. თურმე, სულ სხვა ჩანაფიქრი და გეგმა ჰქონია, რაც გამოჩნდა კიდეც. ბოლოს, ვუთხარი, რაკი შენ არ იცი, ვის მიყიდა, მას, ვისაც აქციები აბარია, იმ დროს ჩემი სანდო პიროვნება შეხვდება და გაარკვევს, რა მოხდა-მეთქი. კი ბატონოო, და ჩემი წარმომადგენელი, ნელი გაბეხაძე, რომელიც ქონებების გადმოფორმებაში მეხმარებოდა, ვინმე ლაშა ნოდიას შეახვედრა.

– ნოდიამ თქვენს წარმომადგენელს დაუმტკიცა, რომ ომგერმა აქციები გაყიდა?

– ნელიმ მითხრა, ომგერს აქციები არ აქვს, აქ რაღაც გათამაშდაო და ყველაფერი გასაგები გახდა.

– რა გათამაშდა?

– არ მეგონა, თუ გოჩა მაცაბერიძე მაგას იკადრებდა და ამ პროცენტებს თვითონ გადაიფორმებდა. მეგონა, რომ გაყიდდა.

– იმ დროს, როცა წილი მოითხოვეთ, გოჩა მაცაბერიძეს თქვენი მეუღლის წილის ნაწილი უკვე გადაფორმებული ჰქონდა?

– ეგ არ ვიცი – ბანკამდე არავინ მიმიშვა. ნოდიას ჩემი წარმომადგენელი ერთხელ შეხვდა და ყველაფერი ამით დამთავრდა...

– ქალბატონო მარო, როდის გაიგეთ, რომ თქვენი მეუღლის 12 პროცენტი ჯერ გოჩა მაცაბერიძისა და ვინმე პაატა გაზაკაშვილის, მათგან კი, ლაშა პაპაშვილის ხელში აღმოჩნდა?

– ახლა...

– გოჩა მაცაბერიძეს თავის დროზე სეიფის შესახებაც ესაუბრეთ?

– დიახ. ვუთხარი, ვიცი, რომ სეიფში ომგერი დიდ თანხას ინახავდა-მეთქი, მაგრამ მომიგო, რას ლაპარაკობ, რა ფული, ომგერს იმდენი ვალი ჰქონდა და მე ვისტუმრებო. რითი ისტუმრებ, შენი ჯიბით-მეთქი? სხვათა შორის, ის ხმაც დაყარეს, რომ კაცი, რომელსაც მილიონები ჰქონდა, თითქოს გოჩას დასაკრძალი აღმოჩნდა, ორმოციც მან გადაუხადა და სასაფლაოც გაუკეთა. განა, ეს უნამუსობა არაა?!

გოჩა მაცაბერიძე

– ეს ხარჯები სინამდვილეში ვინ გაიღო?

– თავისი დასაფლავებისა თუ სხვა ხარჯები თავად ომგერმა დაფარა. აბა, ეს ვისი ფული იყო? მას მილიონები დარჩა!

სხვათა შორის, ომგერის ერთმა ახლობელმა გამაფრთხილა, თუ ვინმე მოგადგება და გეტყვის, ომგერს ჩემი ვალი ჰქონდაო, არ დაიჯერო, რადგან ომგერის ფული ბევრს ემართა, მას კი არავისი ვალი არ ჰქონიაო...

– ქალბატონო მარო, თქვენი მეუღლე, ომგერ მაცაბერიძე 2005 წელს გარდაიცვალა. მას შემდეგ ათი წელი გავიდა. ამ ბინძური აფიორისა თუ საუკუნის ბიზნესყაჩაღობის შესახებ აქამდე რატომ არაფერს ამბობდით?

– არ იცით, რა დრო იყო? – ხმას ვინ ამომაღებინებდა! გვერდით არავინ მედგა.

– შვილები ხომ გყავთ?

– ორი შვილი მყავს... ერთი, 2010 წელს გარდამეცვალა... ვისთან უნდა მებრძოლა? ზემოდან სერიოზული ხალხია ჩარეული და ვის დავეტაკო, სააკაშვილის მთავრობას-მეთქი? – ხომ წიწილასავით გამსრესდნენ!

– გოჩა მაცაბერიძე თქვენი სისხლით ნათესავია თუ, უბრალოდ, მოგვარე?

– მოგვარე...

– ომგერ მაცაბერიძის გვერდით როგორ გაჩნდა? თქვენი მეუღლე რატომ ენდობოდა?

– ყველა ამბობს, გოჩა ასურეთიდან ცალ-ცალი კალოშით ჩამოვიდა, ომგერმა კაცად აქცია და ეს რა გაუკეთაო... ომგერთან ნდობაში შევიდა...

– გოჩა მაცაბერიძეს თქვენც ენდობოდით?

– ახლო ურთიერთობა არ მქონია...

– ქალბატონო მარო, ერთი პროცენტითაც არ უშვებთ, რომ 23 თებერვალს, როცა თქვენმა მეუღლემ გითხრათ, რომ ბანკ „რესპუბლიკაში“ 12 პროცენტს ფლობდა, ამ დროს წილი უკვე გასხვისებული, ან გაყიდული ჰქონდა?

– როგორ გეკადრებათ! ათასი პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ ომგერს თავისი 12-პროცენტიანი წილი არ გაუყიდია!

– ომგერი ავადმყოფობდა თუ მოულოდნელად გარდაიცვალა?

– ომგერს ფეხის პრობლემა ჰქონდა და ოპერაციისთვის ემზადებოდა. 62 წლის იყო და სიკვდილს ვერც წარმოვიდგენდი...

– გარდაცვალების მიზეზი რა გახდა?

– ჩავთვალეთ, რომ გულით გარდაიცვალა...

– ექსპერტიზა არ ჩაატარეთ?

– აზრადაც არ მომსვლია, რომ ექსპერტიზა ჩაგვეტარებინა... ეჭვი ახლა გამიჩნდა.

– მაინც, როდის?

– როცა გამომძიებელმა რაღაც შეკითხვა დამისვა...

– მოდით, გარდაცვალების დილა გაიხსენეთ...

– 23 თებერვალს დაბადების დღე არ გადაუხდია. ბიჭებმა არ მოასვენეს და 26-ში, საღამოს, მითხრა, ბიჭები შეიკრიბნენ და უნდა წავიდეო.

– ეს ბიჭები ვინ იყვნენ?

– საძმაკაცო – ძველი თბილისელები. არ მომეწონა და ვთხოვე, ცოტა დალიე-მეთქი. მომიგო, დიდხანს არ გავჩერდებიო.

– გვიან დაბრუნდა?

– არა. სადღაც, ღამის საათი იქნებოდა, დაწვა... დილით ხვრინვა ვერ გავიგე. უცებ, თავში რაღაცამ დამარტყა... ხელი მოვკიდე და... ცივი იყო...

– ქალბატონო მარო, თანახმა ხართ, რომ ექსგუმაცია ჩატარდეს?

– დიახ...

– წელან სეიფზე ვსაუბრობდით, გოჩა მაცაბერიძემ სეიფის არსებობა დაგიდასტურათ?

– დიახ, დამიდასტურა...

– გოჩა მაცაბერიძემ თქვენთან ურთიერთობა ომგერის გარდაცვალებისთანავე გაწყვიტა?

– სერიოზულად ვიკამათეთ.

– რის ნიადაგზე?

– ბანკის 12 პროცენტზე. ამის შემდეგ ურთიერთობა აღარ გვქონია, თუმცა 2011 წელს, ჩემი შვილის წლისთავზე ვნახე... სხვათა შორის, ომგერი რომ დავკრძალეთ, გოჩა შემიჩნდა, სასტუმრო „საქართველოში“ ომგერის სეიფი ნახეო, მაგრამ სეიფში არაფერი აღმოჩნდა. არადა, ჩემი შვილისგან ვიცი, რომ ომგერი მთელ საბუთებს ამ სეიფში ინახავდა.

– სეიფში სულ არაფერი დაგხვდათ?

– უმნიშვნელო საბუთები.

– სეიფის ნახვას რა მიზნით გაძალებდათ?

– ალბათ, უნდოდა, ალიბი შეექმნა, რომ სეიფი ერთად გავხსენით და იქ არაფერი იყო.

„ქართული სიტყვა“ ბანკ „რესპუბლიკიდან“ გამქრალ ომგერ მაცაბერიძის 12 პროცენტზე ჟურნალისტურ გამოძიებას აგრძელებს და, ცხადია, საქმის მთავარ ფიგურანტებს – გოჩა მაცაბერიძესა და ლაშა პაპაშვილსაც მოუსმენს. საინტერესოა, რა არგუმენტები ექნებათ, მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა თავის დროზე ლაშა პაპაშვილს მარო მაცაბერიძისთვის უთქვამს, თქვენი მეუღლე ბანკში 12 პროცენტს ბოლომდე ფლობდაო. მსჯელობას ამ ფრაზის მიხედვით თუ გავაგრძელებთ, გამოვა, რომ პაპაშვილმა, მისდაუნებურად, დაადასტურა, რომ ბიზნესმენი ომგერ მაცაბერიძე, გარდაცვალების შემდეგ, დააყაჩაღეს. ამ ყაჩაღობის შესახებ კი, ყველა ლოგიკით, უნდა სცოდნოდა, რადგან ჯერ ერთი, ბანკ „რესპუბლიკის“ პრეზიდენტი იყო, მეორეც, ომგერის გარდაცვალებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, მისი კუთვნილი 12 პროცენტი ისე გადაიფორმა, რომ გოჩა მაცაბერიძისა და პაატა გაზაკაშვილისთვის, ალბათ, არც უკითხავს, თუ საიდან ჰქონდათ 5 და 7 პროცენტით გაზრდილი აქციები.

ᲕᲐᲜᲝ ᲞᲐᲕᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

№ 11 (275)
18- 24 მარტი 2015
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ლიტერატურა

„ბატონმა ჯანსუღმა გადაარჩინა „ცისკარი“ და თავისი ავტორებიც!“

თბილისის მერიისა და საკრებულოს მხარდაჭერით, განახლებული ლიტერატურულ-საზოგადოებრივ ჟურნალ „ცისკრის“ ახალი ნომერი ახალი ლოგოთი — „ცისკარი 1852“ გამოვიდა. „ქართული სიტყვა“ განახლებული „ცისკარი 1852“-ის რედაქტორს, ლიტერატურათმცოდნეს, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორ ამირან გომართელს ესაუბრა. სხვათა შორის, განახლებული ჟურნალის პირველ ნომერში ბატონი ამირანი წერს: „...თუ ცხოვრება ცვალებადია, თუ მისი ცვალებადობა ჩვენს ნება-სურვილზე არ არის დამოკიდებული და ვერაფრით შევაჩერებთ, მხატვრულ ლიტერატურას, როგორც ინტელექტუალური საქმიანობის პროდუქტს, ადამიანური ნება წარმართავს, ოღონდ ამ ნებას, მსგავსად ცხოვრებისა, ცვალებადობის, მარადიული განახლების უნარი უნდა შესწევდეს, მით უმეტეს დღეს, როცა ჩვენი ყოფაც და სულიერი არსებობაც განახლების პროცესშია; როცა მხატვრული სიტყვა ჩვენთვის ისეთსავე ლოგოსურ მნიშვნელობას იძენს, როგორც სახარებისეული „პირველთაგან იყო სიტყვა“. ამ რწმენით ჩვენ აღთქმული ქვეყნისაკენ მივემართებით. ჩვენ გზაში ვართ!“ ისე, სიმბოლურია, რომ განახლებული „ცისკრის“ რედაქტორის ინტერვიუ „ქართულ სიტყვაში“ ქვეყნდება — ჩვენი გაზეთის რედაქტორი, ბატონი ჯანსუღ ჩარკვიანი „ცისკარს“ სათავეში კომუნისტური რეჟიმის დროს ედგა. სწორედ ჯანსუღ ჩარკვიანის გამო, „მერვე პოლკმა“ ჟურნალის ერთ-ერთი ნომრის მთელი ტირაჟი დახვრიტა...

რა სიახლეებს სთავაზობს მკითხველს განახლებული „ცისკარი“ — ინტერვიუ ჟურნალის რედაქტორ ამირან გომართელთან

— ბატონო ამირან, ბანალური შეკითხვით დავიწყებ: „ცისკარი“ დღესაც ისეთივე აქტუალური იქნება, როგორიც თავის დროზე იყო?

— თქვენმა შეკითხვამ ძველი დრო გამახსენა, დრო, როცა კომუნისტები აქტუალობას ითხოვდნენ და აქტუალობაში იმას გულისხმობდნენ, თუ რამდენად ეხმიანება, ანუ ეთანხმება მწერლობა კომუნისტურ წყობას. მათ, მწერლობის მეშვეობით, ცხოვრების კონსტრუირება უნდოდათ. ტყუილად კი არ თქვა სტალინმა, მწერალი ადამიანთა სულების ინჟინერიაო. ასეთი აქტუალობა დამღუპველი იყო, რადგან კონიუნქტურა გახლდათ და საფუძველშივე კლავდა მხატვრულ სიტყვას. ასე რომ, აქტუალობა ჩვენთვის მიუღებელია. ნუ მიწყენთ და, სიტყვა აქტუალობა აქტუალურად არ მიმაჩნია. „ცისკარი“ მხატვრულ-ინტელექტუალურად საინტერესო ნამდვილად იქნება, მაგრამ დამოკიდებულნი ვართ ავტორებსა და ლიტერატურულ გარემოზე,

— თქვენი აზრით, ახალგაზრდა თაობაში გამორჩეულად საინტერესო ავტორები გვყავს?

— დიახ, ბევრი საინტერესო ავტორია და მათ წახალისება სჭირდებათ. სხვათა შორის, თანამედროვე ქართულ მწერლობაში საინტერესო ტენდენცია იკვეთება: ქალები მოდიან — ვაჟებს ჭარბობენ.

სხვათა შორის, ჟურნალის მომდევნო ნომრიდან, თანამედროვე ქართული ლიტერატურის აფხაზურ და ოსურ ენებზე თარგმნას დავიწყებთ. ამასთან, აფხაზი და ოსი ავტორების მოზიდვაც გვინდა. საგანგებო ყურადღებას მივაქცევთ აფხაზური და ოსური ლიტერატურისა და, ზოგადად, კულტურის პროპაგანდას.

— ჟურნალის შესავალ სიტყვაში წერთ: „გვჯერა, რომ ქართული მწერლობის ახალ თაობას აღმოაჩნდება უნარი, ბოდლერივით ხმამაღლა განაცხადოს: „არის ჩვენში სილამაზე, რომელიც უცხოა ძველისათვის“... იმედოვნებთ, რომ ახალი „ცისკარი“ კარს ახალ ილიას, აკაკისა თუ ვაჟას გაუღებს?

— ცისკარი 163 წლისაა და ამ ხნის განმავლობაში, ბევრი დიდი ქართველი მწერლის მწერლური ნათლობა სწორედ „ცისკრის“ ფურცლებზე მოხდა და ტრადიციად დამკვიდრდა. თავის დროზე ილიამ განაცხადა: „გიორგი ერისთავისა და ივანე კერესელიძის „ცისკარმა“ აკვნობა გაუწია იმ ყმაწვილ მწერლებს, რომელთაც მერე, სამოციან წლებში, წინანდელ მწერლებთან ერთად, ძლიერი ტალღა ჰკრეს ჩვენს აზრთა დენასა“.

გავიდა დრო და, 1957 წელს, განახლებულმა „ცისკარმა“ კვლავ აიღო განსაკუთრებული მისია: ვახტანგ ჭელიძის ირგვლივ



ნიჭიერი და თამამი ახალგაზრდობა შემოიკრიბა — მეოცე საუკუნის „სამოციანელები“, რომელთაც ახალი სული შთაბერეს კომუნისტური დიქტატურის შიშით ხმაგაკმენდილ ქართულ მწერლობას.

ცალკე საუბრის თემაა ჯანსუღ ჩარკვიანის რედაქტორობის ეპოქა, როცა „ცისკარში“ ისეთი პროზაიკოსები იბეჭდებოდნენ, როგორებიც იყვნენ და ბევრნი დღესაც არიან: რეზო ინანიშვილი, რეზო ჭეიშვილი, ჭაბუა ამირეჯიბი, ნოდარ წულეისკირი და სხვები (აღარაფერს ვამბობ პოეტებზე). აგრეთვე, კრიტიკოსები — ოტია პაჭკორია, აკაკი ბაქრაძე, გურამ ასათიანი, რევაზ თვარაძე. ეს ადამიანები ნებისმიერი ერის ლიტერატურას დაამშვენებდნენ. თუ კეთილი შური არსებობს, მშურს ბატონი ჯანსუღის — შესანიშნავი რედაქტორი იყო. კლდესავით იყო აღმართული, რომ ვინმეს, ან რამეს არ შეეფერხებინა ავტორების შინაგანი თავისუფლება. ბატონმა ჯანსუღმა გადაარჩინა თავისი ავტორებიც, „ცისკარიც“ და კომკავშირის პრემიაც კი მიანიჭებინა ისეთი კაცისათვის, როგორიც ნოდარ წულეისკირი იყო, ვისაც მაშინდელი ჩინოვნიკები ანტიკომუნისტად თვლიდნენ და ებრძოდნენ. მეტიც, საქართველოს დამოუკიდებლობა, „თერგდალეულთა“ და მე-20 საუკუნის პირველი სამი ათწლეულის მწერალთა ძალისხმევის კვალდაკვალ, ამ თაობის ინიციატივაც იყო.

რაც შეეხება დღევანდელობას, გამოგიტყდებით და, როგორც მკითხველს, გარკვეული უკმარისობის გრძნობა მაქვს: მინდა, უფრო მეტი ნიჭიერი ავტორი გვყავდეს. ხომ გახსოვთ ცნობილი ფრაზა: „დერჟავინობის მსურველი ბევრია, პუშკინი — ცოტა“. ისე, დერჟავინობის სურვილი, რა თქმა უნდა, მეც მაქვს, თუმც უარს არც ზემოხსენებულ ჩვენი 60-იანელების ბადალ ავტორებზე ვიტყოდი. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით, თორემ... ისეთი ტალანტები და ჩვენი ლიტერატურის ისეთი აღმავლობა, როგორიც 60-70-იან წლებში იყო, დღეს არაა. ბევრჯერ აღორძინდა „ცისკარი“ და ქართული ლიტერატურის განახლებაშიც განსაკუთრებული როლი ბევრჯერ ითამაშა. დღეს ასეთი ბედნიერება რომ დაგვატყდეს, უზომოდ მოხარული ვიქნები.

— კომუნისტური დიქტატურის დროს, დაუმორჩილებელი მწერლები და, ზოგადად, ხელოვანები შედევრებს ქმნიდნენ. მაშინ ბოროტებასთან შეურიგებელი, ზნეობრივად ამაღლებული გმირი იდეალი იყო. დღეს დემოკრატიაა — სიტყვის თავისუფლება, წნეხი მოხსნილია, ზნეობრივი გმირის იდეალმა კი, დევალვაცია განიცადა. ბიზნესმა, კაპიტალმა გადაფარა ფუნდამენტური ფასეულობები, საზოგადოებაში ზნეობრივი გმირისა და, საერთოდ, ზნეობის დეფიციტია. ახალგაზრდა ავტორების ნაწილი, მათ შორის, ბევრი ნიჭიერიცაა, ამაზრზენ თემებზე ამაზრზენად წერს, სკანდალების ეპიცენტრში ექცევა და ამით თავს იწონებს. ხომ შეიძლება, „ცისკარმა“ ახალგაზრდა ავტორებს ისეთი მოტივაცია მისცეს, რომ მკითხველის იაფფასიანი სკანდალებით მოზიდვას თავი დაანებონ?

— მოტივაციისთვის ძალიან დიდი როლი სალიტერატურო კრიტიკამ უნდა ითამაშოს, რომელიც მხოლოდ შემფასებელი კი არა, შეიძლება, დამკვეთიც გახდეს და ლიტერატურისთვის მხატვრული გეზის მიმცემიც. კრიტიკა გემოვნების ჩამომყალიბებელიცაა და ვფიქრობ, ჩვენს ჟურნალში ამ თემას გარკვეული ადგილი დავუთმოთ.

როცა ცხოვრება, რეალობა ზნეობრივ გმირს არ იძლევა, მაშინ მას მწერალი ქმნის. არ ვიცი, მართლა არსებობდა თუ არა აბო თბილელი, მაგრამ ხომ არსებობს აბოს მარტვილობა. იოანე საბანისძემ ზნეობრივი გმირის მაგალითი მაშინ შექმნა, როცა ხალხს ძალიან სჭირდებოდა და ამით რწმენა განამტკიცა. დღეს მწერალს ამის გამოგონებაც მართებს, რადგან მწერლობა ხომ გამოგონილი სინამდვილეა. დონ კიხოტი მართლა არსებობდა? რა თქმა უნდა, — არა, მაგრამ ეს პერსონაჟი ყველა დროისთვის აქტუალურია.

მწერალი ახალ რეალობას ქმნის და ეს ახალი რეალობა საინტერესო, ჭეშმარიტ ფასეულობებსა და ღირებულებებზე აგებული უნდა იყოს. მწერლობა ცხოვრებას უნდა უსწრებდეს და თუ ცხოვრება არ იძლევა მაგალითს, მაშინ ზნეობრივი გმირის მაგალითი თავად უნდა შექმნას. მწერალმა უნდა მოიფიქროს და წარმოშვას იდეალები.

რთულ დროში, გარდამავალ დროში ვცხოვრობთ — მწერლის პრესტიჟული ადგილი შოუმენმა დაიკავა და ეპატაჟისა თუ საეჭვო ღირსების ოპუსების წყალობით, ყურადღების ცენტრში მოექცა, მაგრამ ყველაფერი ეს დროებითია და ხალხი მალე იგრძნობს შინაარსიანი, ღრმა აზრის შემცველი სიტყვის საჭიროებას, რომელიც სულიერი საზრდოც იქნება და ემოციური ზემოქმედების მქონეც.

ჩვენ „ვეფხისტყაოსნის“ ქვეყანა ვართ და „ვეფხისტყაოსნის“ წყალობით, საქართველო, შეიძლება ითქვას, ლიტერატურაცენტრისტული ქვეყანა იყო და ასეთივედ დარჩება, რადგან მწერალი, როგორც აზროვნების წარმმართველი, საზოგადოების ცენტრშია. დიახ, მწერალი ცხოვრების წარმმართველი, ერისთვის გეზის მიმცემი და ზნეობრივ ნორმათა კანონმდებელი გახლდათ და მომავალშიც ასევე იქნება.

„გამოგიტყდებით და, როგორც მკითხველს, გარკვეული უკმარისობის გრძნობა მაქვს: მინდა, უფრო მეტი ნიჭიერი ავტორი გვყავდეს. ხომ გახსოვთ ცნობილი ფრაზა: „დერჟავინობის მსურველი ბევრია, პუშკინი — ცოტა“. ისე, დერჟავინობის სურვილი, რა თქმა უნდა, მეც მაქვს, თუმც უარს არც ზემოხსენებული ჩვენი 60-იანელების ბადალ ავტორებზე ვიტყოდი. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით, თორემ... ისეთი ტალანტები და ჩვენი ლიტერატურის ისეთი აღმავლობა, როგორიც 60-70-იან წლებში იყო, დღეს არაა. ბევრჯერ აღორძინდა „ცისკარი“ და ქართული ლიტერატურის განახლებაშიც განსაკუთრებული როლი ბევრჯერ ითამაშა. დღეს ასეთი ბედნიერება რომ დაგვატყდეს, უზომოდ მოხარული ვიქნები...“

ესაუბრა **მარიკა კახაძე**

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

18- 24 ᲛᲐᲠᲢᲘ 2015

№ 11 (275)

5

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲜᲔᲠᲝᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲞᲝᲔᲖᲘᲐ

ᲐᲙᲐᲙᲘ ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ

ᲗᲝᲠᲜᲘᲙᲔ ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘ

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲞᲝᲔᲛᲐ



ᲙᲐᲠᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ

I

ვინ სვა ბოლომდე ამ სოფლის
სიტკბოებისა ფიალი?
ვის არ უნახავს მის ბედის
წაღმა-უკუღმა ტრიალი?
ბერძნებსაც ჰქონდათ ერთი დრო
საქვეყნოდ იყვენ ქებული,
სწავლით და მეცნიერებით
ბევრგვარად აყვავებული.
ცხოვრების კანონს უდებდენ
სხვადასხვა ქვეყნის ერებსა,
საუპატიოს ართმევდენ
მათზე ცუდმზრახველ მტერებსა.
ვინ იფიქრებდა იმ დროში
ამ ხალხის დამცირებასა
ისე, რომ მით მოღებოდა
ბოლო მათ ნეტარებასა?
ერთ ჭირსა, კარზე მიმდგარსა,
სხვაც ბევრი წაეკიდება!
სხვადასხვა ჭირმა ბერძნების
დაცარა ძველი დიდება,
და არ თუ გარეშე მტერი,
შინაურებიც ჰბრიყვობენ:
ჰგლეჯენ მას ნაწილ-ნაწილად
და ერთმანეთში იყოფენ!
ბოლოს-კი ერთმა მათგანმა
სულ ერთად მოჰხვია ხელი:
ის იყო სპარსთა მმართველი,
სკლიაროს ერქვა სახელი.
თითქმის ბრუსამდე მოადგა,
ხმელეთით გზების შემკვრელი,
და კონსტანტინეს ქალაქის
არის აღების მსურველი.
წინ ვეღარავინ უდგება
მოჯანყის ძლიერებასა;
და ელის დედაქალაქიც
იმისგან აოხრებასა.
იჩაგვრის მცირეწლოვანი
კონსტანტინე და ბასილი,
დედამათს თეოფანიას
ჭმუნვით აქვს გული ავსილი.
დაღონდა პარაკიმემონ,
კარისკაცებში პირველი
და, ერთად დედოფალთანა,
ბიზანტიისა მმართველი.
დარბაისლებიც შეყრილან,
გადუწყვეტია ყველასა,
რომ თვითონ თავს ვერ იხსნიან,
და არც ელიან შველასა;
და უპირებენ ისევე
სკლიაროსს შევედრებასა,
რომ ნუ ინებებს ამ ქვეყნის
უწყალოდ აოხრებასა!
მაგრამ წამოდგა ამა დროს
მოხუცი სევისტოფორი,
რომელსაც დარბაისლებში
არ ჰყავდა ჭკუით თანსწორი;
მით ყურადღება კრებულის
მიიპყრო ანაზდეულად
და მოჰყვა, რასაც ჰფიქრობდა,
მჭევრმეტყველებით ჩვეულად:

II

„ზეცა დაჰყურებს ქვეყანას
თვალითა ლმობიერითა;
გამოსცდის, გამოაბრძედებს
ჭირითა მრავალფერითა.
და ამისათვის არ გვმართებს
წარკვეთა სასოებისა;
კუბოს კარამდე მძებნელი
ჩვენ უნდა ვიყოთ შვებისა.
გულგატეხილი ყოველი
მოღალატეა თავისა,
უარმყოფელი სჯულისა
მისივე საესავისა.
მაკვირვებს, დარბაისლებო,
დაცემა ჩვენი სულისა!
აბა, რა ვნახეთ ნიშანი
სამეფოს დასასრულისა?
როგორ დაანგრევს აწ ღმერთი
ქრისტიანობის ბუდესა
ისე, რომ საბოლოოდაც
აღარ აძლევდეს ზღუდესა?
თუ ბიზანტია აქამდე
სხვა ქვეყნებს სცემდა ნათელსა,
არ დავიჯერებ, რომ ახლა
თვითონ ჩავარდეს ის ბნელსა!
ბევრი შესწირა მან მსხვერპლი
ქრისტიანობის სახელსა
და ვერ გასწირავს მას ღმერთი:
გამოუგზავნის დამხსნელსა!
მეტყვით: „სად არის? ვინ არის?
რომელი კუთხე ქვეყნისა,
რომ გვქონდეს მისგან იმედი
დახმარების და დახსნისა?“
თქვენც იცით, არის ქვეყანა,
მპყრობელი ქრისტეს სჯულისა,
საქვეყნოდ დამნახვებელი
ქვეყნიურ სასწაულისა,
მოყვრულად მოყვრის მიმღები,
მტრისა დამცემი ზარისა,
პირველ მეომრად ცნობილი
დღეს ქრისტეს წმინდა ჯვარისა.
საქართველოა ეს მხარე,
წილხვედრი ღვთისა დედისა!
ჭირში მაგარსა არ უყვარს
სუსტად მოდრეკა ქედისა!
ამ ქვეყნის მეფეს მივმართოთ,
დიდ დავითს კუროპალატსა,
და ის გადუხდის სკლიაროსს
ამ აჯანყება-ღალატსა!“
როგორც რომ ბნელსა ღამესა
მთვარე გამოჩნდეს უეცრად
და გაანათოს მიდამო
სხივების ფენით ვერცხლისფრად,
მათ მხარეს დავიწყებულნი.
მოვიხმოთ ერთი მათგანი,
ვაკისროთ მოციქულობა,
რომ მეფეს სრულად გადასცეს
ეს ჩვენი ჭირნახულობა;
რომ თქვენსა ბრძნულსა წერილსა
სიტყვითაც ბევრი დაურთოს
და ქრისტეს ერის გამოხსნის
სურვილი გულში აუნთოს!
მალე გავგზავნოთ, სიჩქარით,
რომ დღე და ღამე იაროს
და მანამ, როგორც იქნება,
ჩვენ გავუმკლავდეთ სკლიაროსს!“
ეს რჩევა ერთხმად მიიღეს.
მთქმელსა სწირავდენ ქებასა
და მაშინათვე შეუდგენ
ამ საქმის ასრულებასა.

III

ისე ქართლისა ხსენებამ
გამოაფხიზლა კრებული
და აღუბეჭდა იმედით
მათ სახე შეწუხებული
და მოახსენეს დედოფალს:
— „ერთხმად თანახმა ვხდებითო:
მიჰმართეთ ქართველ მეფესა
და ნუღა შესწუხდებითო!..
ისეთი წიგნი მისწერეთ,
რომ მით მოულბოთ გულიო
და საკადრისიც გაგზავნეთ
იმასთან მოციქულიო,
რომ ჩვენის ქვეყნის ცოდნაში
ის იყოს უკეთესიო
და თანაც კარგად ესმოდეს
მას საქართველოს წესიო!“
ასე არჩიეს და ერთხმად
მიჰმართეს სევისტოფორსა,
მაგრამ ის ამგვარ არჩევანს
გულწრფელად იჭერდა შორსა,
რადგან მას ეგულებოდა
სხვა ვინმე საუკეთესო,
და შეევედრა კრებულსა:
— „გთხოვთ, მომისმინოთ აწ ესო:
ათონის მთაზე ააგეს
ტაძარი ნათლისმცემლისა;
იქ ორი წმინდა ბერია,
მთხეველი წმინდა ცრემლისა.
ულუმბოსავე გაითქვა
მათი სიწმინდის სახელი;
არ ასვენებდენ: დღითიდღე
ემატებოდათ მნახველი;
მაშინ მიჰმართეს მთაწმინდას,
დააგდეს ძველი სავანე;
ერთია თორნიკ-ქართველი,
მეორე - დიდ-იოვანე.
ერისკაცობის დროსავე
ყოფილან სახელგანთქმულნი
და ჯერაც არ იქნებიან
ხმა გავარდნილა მთელ ქართლში:
ჯარებს აგროვებს მეფეო
ბერძნების მისაშველებლად,
სიკეთე-მოიეფეო.
ათონით დაბრუნებული,
თორნიკე მოციქულობსო
და „ორივ ხელით იჭმება
ქადა, თუ გული გულობსო“.
დღეს გამოჩნდება, ვინც არის
ვაჟკაცი ჩვენთაგანიო!
ამაზე კარგი რად გინდა
ბურთი და მოედანიო?
ისარ-კაპარჭი მომართეს,
ხმალს ჰლესენ, ფარსა ჰფერავენ;
მათთვის სამგზავროდ ქალები
ტანისამოსებს ჰკერავენ
ჯოჯიკ-მთავარის თანხმობით
ეს უთქვამს გამრეკელსაო:
„თორნიკე თუ არ გვესარდლა,
ხმალს არ მოვკიდებთ ხელსაო!
წაგვიძღვეს ძველი არწივი,
ჩვენ მივყვეთ შევარდნულადო,
ფიცხელი ომი ავტეხოთ,
საქები ადრინდულადო!“
ხალხიც ამ აზრზე დამდგარა,
მასვე სთხოვს კუროპალატსა,
და, ვინც იურჩებს, იცოდეს,
მას შესწამებენ ღალატსა.
მაგრამ თვითონვე თორნიკე
გაკერპდა, რადგან ბერია,
ეს არჩევანი როგორღაც
მეტად შორს დაუჭერია.
თვითონ სარდლებიც მისულან
იმასთან მეფის თანხმობით
და უთხოვნიათ სარდლობა
ამხანაგობით და ძმობით.
მოხუციც ამის მნახველი
თუმცა-კი აღელვებულა,
მაგრამ შეუკრავს გრძნობები
და ისევ გასალებულა.
ორბელიძე და ჯოჯიკი
ორივე გააწბილაო
და გამრეკელსაც ეს უთხრა:
„ძმაო, ნუ მირჩევ ტყვილაო:
ვერ ავასრულებ თქვენს თხოვნას,
გულმკვდარი ვამბობ ვარსაო!
აწ ვეღარ გავცვლი ფარ-ხმალზე
ქრისტეს ხატსა და ჯვარსაო!
აღთქმას ნუ გამატეხინებთ,
ნუ მაქნევინებთ ავსაო!..
ეკლესიისგან შეკრული,
თვით ვერ ავიხსნი თავსაო
და მღვდელმთავარი თუ ამხსნის,
იქნება მისი ნებაო,
მაშინ ეგ თქვენი სურვილი
ჩემს გულშიც აიგზნებაო!“
არსენი იყო იმა დროს
ქართველთა კათალიკოსი,
პატივცემული ყველასგან,
ბრძენი და პიიტიკოსი.
გაბრძნილი საღმრთო მადლითა,
საეროდ გაბრწყინვებული,
მწიგნობართუხუცესობა
მას ჰქონდა მინიჭებული
ოქროპირობდა მჭევრობით
ძლიერი მქადაგებელი
და მწვალებელთა მრავალთა
მზამეტყველ-პასუხმგებელი.
ამას მიჰმართეს საერთოდ,
ამისი ჰქონდათ იმედი,
რადგან თორნიკეს ვერავინ
შეაგონებდა მის მეტი.

IV

— „შედი, მარტოა კათალიკოსი,
ნუ ეგულები იქ დიდ კრებასა,
ჩვეულებრივად ცრემლით მლოცველი,
ეძლევა საღმრთო ნეტარებასა.
ნაბრძანები მაქვს, სხვა არ მივიღო:
მარტო შენთან ჰსურს დღეს საუბარი!“
ეს უთხრა ერთ ბერს სახლთუხუცესმა
და შესავალი უჩვენა კარი.
შევიდა ბერი ფეხაკრეფილი,
მორჩილებითა და დიდის კრძალვით;
იქ დახვდა არსენ ტახტზე მჯდომარე,
გატაცებული ფიქრით და ხალვით.
პირველ შესვლაზე ვერ დაინახა
კრძალვით მისული მასთან სტუმარი.
ბოლოს შენიშნა აკურთხა მაღლით
და გადასახა ხელგაშლით ჯვარი
წინ წადგა ბერი. ჯერ უამბორა.
ფერდაკარგულსა გული უძგერდა,
მერე ჩამოდგა და შორიახლოს
ის თავდახრილი კრძალვით გაჩერდა.
კათალიკოსმა შეჰხედა მაშინ
ლმობიერებით და გაიცინა.
— „დიდაარს მხოლოდ ღმერთი-უფალი
აქ, ქვეყანაზე, და ცათა შინა!
რისთვის მეკრძალვი? მომიახლოვდი,
დამიჯექ გვერდით, ვით მეგობარი.
დღეს ისევე მსურს შენთან განვაგრძო,
ადრე რომ გვქონდა, ის საუბარი.
შენზე არა სჭრის სხვისი სურვილი,
არცა ვედრება და არც მუქარა,
მაგრამ შენთავად რა გადასწყვიტე?
ასრულებ ქვეყნის წადილს თუ არა?“
— „არ შემიძლია, ყოვლადსამღვდელოვ!
ვერ ვუღალატებ მაღალ მცნებასა
და ვერ უარვყოფ მსოფლიო კრების
დაკანონებულს სურვილს, ნებასა!..
რაკი ერთხელვე ესე სოფელი
დავივიწყე და უარი ვყავი,
ვერ გავტეხ აღთქმას! ზეცას ეკუთვნის
ცოდვილი სული და ჩემი თავი.
მღვდელმონაზონსა საიქიოსკენ
უნდა ეჭიროს ყოველთვის თვალი!
აღარ შემშვენის, რომ ხელმეორედ
სისხლით შევღებო ჩემი ფარ-ხმალი!
ღმერთმა ხომ იცის, რომ მთაწმინდიდან
არ მდომებია ფეხის გადმოდგმა!
შვიდ დღეს მირჩევდენ წმინდა მამები
და ვერ შესცვალეს ჩემი გულისთქმა.
თვით წინამძღვარი და იოვანეც
ამაოდ დაშვრენ: ვიდეგ უარზე,
სანამ ბრძანებით, როგორც მორჩილი,
არ გამაგზავნეს სასახლის კარზე.
იქ დედოფალი დარბაისლებით
ვნახე სულ ერთად შეწუხებული:
საქრისტიანო სკლიაროსისგან
წაბილწული და აოხრებული.
მხოლოდ-ღა ქართლზე მათ დარჩენიათ
ერთი ნუგეში, ერთი იმედი!
დღეს ჩვენს ხელშია იმათი შველა,
რომ დავუბრუნოთ წაღმავე ბედი!
მიბრძანეს მეფის მოციქულობა,
არ გამივიდა მათთან უარი!

ეროვნული იტაკჯა

ეროვნული. ეკლესიური. ეროვნული

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

პროზა

ჭიანჭველები

ლევან გოთუა

წიორას ცხოვრებაში ახალი დიდი გარდატეხა მოხდა. სულ უბრალო შემთხვევამ კი გამოიწვია — ჭიანჭველები დაინახა! ჩვეულებრივი, წვრილი ბაციფერა ჭიანჭველები.

ერთი მოზრდილი და ძველთაძველი ბეჭის ძვალი ნახა გველეშაპის ხევში. ქაღალდივით თეთრი იყო და გაწმენდილი. ხელში აიღო. სწორედ მის ქვეშ ჭიანჭველებს ჰქონდათ ბუდე.

აირივნენ.

ზოგი ბეჭზედაც შერჩა. ესენი წვრილად ნაწერ ასოებად ამოეხატა ანბანმოწყურებულს. ბუდის ჭიანჭველებმა კი, ერთ ბწკარზე გაბმულად იწყეს სხვაგან გადასვლა.

ეს პირველი იყო წიორას ცხოვრებაში. თვალები რომ გამოუსაღდა, ამას კი გრძნობდა, მაგრამ ჭიანჭველების დანახვამ საოცარი შინაგანი ძალა და რწმენა შეჰმატა, ახლა ანბანსაც სრულკეთილად დაინახავდა...

პირველყოვლისა, ბეჭის ძვალი წამოიღო და ირგვლივ ყოველ წვრილმანს დაუწყო ჩაძიებული ჭვრეტა...

ჰოი, რამდენი რამე აღმოაჩინა! ათასგვარი მუმლი და ქინქლა, ფუმფლათა მთელი სამყარო... ჭიამაიებს ხალები შეუნიშნა ფრთებზე, ჯოჯოებს — ხორკლები და ორკაპა ენა... ახლა ბნელშიც სცადა თვალი: ღრმა ლაკაში მზეწვიას ბარტყი ჩავარდნოდა. უმალ თოკჩაბმული კათხა ჩაუშვა და გადაარჩინა. მეტი ვეღარ მოითმინა. დროც იყო, საჭმელი წაუღო და ვეფხის ქვაბს მიაკითხა.

ამბას ქვაბის სიღრმეში დიდი ნიში გამოჰყავდა.

— სამხარი მოგართვი...

— მომართვი, თორემ ირმის ბეჭი არ იყოს! — დაღლილ-აღრენილად და თავგაბეზრებულად შემოუტია ამბამ.

ჭაბუკს არც მიუქცევია ყურადღება. ფიქრარეულად უპასუხა:

— ირმის რძე კია დამატებით... ენამ გიყივლა — ბეჭიც არის... ცოცხლებს კი, თვალის ჩინივით ვუვლი! — ახლა წიგნს გადაჰხედა, იქაც ასოები ჭიანჭველებივით ჩამწკრივებულად, სტრიქონ-სტრიქონ, თითქოს ბუდიდან ბუდეში გადადიოდნენ!

— ახლა, შენი სამადლოცა და დასაცინიც გავხდი! — ძვალი დაინახა ამბამ, — ამ წერაქვზე არ წამომეგო!

მაგრამ ჭაბუკს დღეს თვალშიშიანობა გაუქრა და რაღას შეეპუებოდა. მიეტანა, წერაქვზე ხელი შეჰბედა:

— აბა, დაპურდი. წერაქვი კი, აქეთ მომე. ეს ქვაბიცა და ეს წიგნიც განა, მარტო შენია! აქ ძმობაა ყველაფერში!

ამბა სახტად დარჩა. შეუბღვირა, წერაქვს კი ხელი უშვა:

— შენ თავს შემომაკლავ, ბიჭო! — მერე თვალი დაატანა წიორას მუშაობას, — განიდან შემოჰკარ, განიდან! კლდეში ვართ. განა გარეთ! წიაღური-მეთქი.

ნაწიბურევი ყბით ერთ ლანდზე გადაყლაპა საჭმელ-სასმელი და ისე დასჭყივლა წიორას, ქვაბმა ბანი მისცა.

— შენ კითხვა არ იცი ჯერა და წერაქვს ეპოტინები? —არც ეს აკმარა, ვეება მუშტი ხელნაწერს დაჰკრა, — მთელი გარეჯის ბერობა ფეხაკრეფით მოდის და ჩურჩულით კითხულობს! შენ ერთადერთი არაბერი ხარ, არც ცოდვილი და წიგნს რომ იჩემებ, ირმის კიკოს ხომ არ უნდა წააკითხო?

წიორამ წერაქვი გააგდო. წიგნთან შუქზე წამოდგა...

— ვერ ვხედავდი. ვეღარ მასწავლა მამამ! ახლა ვხედავ და ვნახოთ! ყველგან ანბანი მელანდება! ჭიანჭველებივით მესევიან!..

ამბამ უეცრად შეაჩერა:

— მოიცა... მოიცა! ვინ იყო მამაშენი? სადაური ხარ?

წიორა გაჩერდა. მაგრამ გაჩუმდა კიდევაც. მოაგონდა წინამძღვრის მკაცრი აკრძალვა — „მამაშენი არ გაამხილო!“

— წიორა ვარ, მორჩილი და მორჩა!

ჭაბუკი სხივში იდგა. მხარვიწრო და, მართლაც, კისერწიორა. ამბა უმზერდა და თითქოს პირველად ჰხედავდა. შვილი საოცრად ჰგავდა მამას. ამბამ იგრძნო, როგორ მოაწვა სისხლი საფეთქელს, მერმე უკან დაიძრა, ახლა კიდურებში გაჰკრა...

— არ თქვა! — თითქმის უხმოდ აღმოხდა და წიგნს ეცა. ფურცლა, რჩევით იკითხა. მერმე მიყოლებით ცხვირში იბუბუნა, ვიდრე გული არ დაიცხრო. ბოლოს, ისევ წიორას მიუბრუნდა:

— მე ვინა ვარ, — ეს იცი მაინც?

— ამბა და მორჩა! — ხელში ბეჭის ძვალი მიაჩეჩა ბიჭმა და კისერი მუდარით წაუგრძელა.

ამბამ ავად გამოსტაცა:

— ბედი გქონია და მე რას დაგაკლებ? წერა-კითხვა რომ არ იცი, ისეც მკვდარი ხარ! მერმე მაინც მოგკლავ! აქ დაეგდე, ამ შენი ბედის წიგნთან! — ვეება, ქერა ბუსუსებიანი ხელი სტაცა და დასვა, მერე შავი გედის ფრთის კალამი აიღო, კბილზე შეისწორა, ახლა სამელნე გამოაჩინა, კალამი ამოაწო და ბეჭზე მხედრული ასოები ჩამოუწერა:

— აჰა, წერე და შალე, იზეპირე! ირმის ბეჭით დაიწყე და ვეფხის წიგნზე გადადი! მოკვლით კი მაინც მოგკლავ!

მერე ისევ წერაქვს დაავლო ხელი და კლდეს ახალი ძალით შეებრძოლა.

— ვხედავ! დიდებულად ვხედავ! — აღმოხდა წიორას და თვალები ცრემლმა დაუნისლა, ამოიწმინდა და ისევ ყოველი ასო მკაფიოდ გაარჩია, მნიშვნელობაც თითქმის ყოვლისა უკვე ახსოვდა. ხუთიოდ ასო შეეკითხა დამატებით. მერე წერა და იმეორა, ვიდრე სულ არ აავსო ბეჭი. ახლა ლაკვასთან გაიქცა, წყალი ამოიღო და ბეჭს ასხურა, ქვიშით გაუხეხა ცალი მხარე, ასოები გადმოიწერა, თან ხმამაღლა იმეორა. ახლა მეორე მხარე ხეხა და წერა, ვიდრე უმცდარად არ დაიზეპირა, ბოლოს, სულ წაშალა და პირველ სიტყვად „ჭიანჭველა“ დასწერა, მერმე — „მზეწვია“, „ირემი“ და „გარეჯულა“. ახლა კი, ამაყად წავიდა ვეფხის ქვაბში.

წიორას, მამის წერილისა არ იყოს, „სწორედ საოცარი მეხსიერება“ აღმოაჩნდა. ზეპირად იმახსოვრებდა ერთხელ წაკითხულს. კითხვაშიაც მალე ჩამარცვლა და აერთა სიტყვანი. წიგნის ირგვლივ თავისებურად შემეგობრდნენ მოწაფე და მასწავლებელი, მაგრამ ხშირად დაობდნენ კიდევაც. ზეპირად ნათქვამში, თითქმის ყოველთვის, მოწაფე სჯობდა. ამბა წყრებოდა და ისევ მოკვლის მუქარით წამოეტოტებოდა, მაგრამ მოწაფე წიგნს იყენებდა მოწმედ და მსაჯულად... და ისევ ცოცხალი რჩებოდა.

ერთხელ, წინამძღვარი წააწყდა მათ ჩხუბიან კითხვას. მისი შესვლა ქვაბში არც კი გაუგიათ ვეფხის წიგნის მოჩალიჩეთ. აღარც წინამძღვარს უმყღავნებია თავისი აქ ყოფნა.

„უკეთუ ის ნაკრძალი წიგნი ასე „გზად და ხიდად“ დადგა შურისმაძიებელ გვართა შორის, დაე, მე ხელს არ შევუშლი!“ — ხელები ერთმანეთს შეაშმუშნა და გარეთ გავიდა.

„— დიდება, შენდა, ღმერთო! არც ხელს ვუმართავ, მაგრამ არც ვებრძვი! ხანდახან უდიდესი სიბრძნეა თვალის დახუჭვა!“

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ

მაყვალა ვეხვაძე

ᲕᲐᲚᲘ

არა მარტოდენ მამულის, ანდა
არა მარტოდენ წინაპრის ვალით,
საქართველოში ათგზის ძნელია,
იყო პოეტი და იყო ქალი.
ეს იმას ნიშნავს, რომ ფეხშიშველი
გაჰყვე ეკლიან უცნობ ბილიკებს,
ვიღაც ფეტვივით მოგაყრის ჭორებს,
ვიღაც ქარივით გაგაქილიკებს.
ეს იმას ნიშნავს, ყოველ ცისმარე
მზის სხივით ქსოვდე ჩალისფერ დროშებს
და სიმართლისთვის, ზღაპრის გმირივით,
რკინისგან ნაჭედს იცვამდე ქოშებს.
ეს იმას ნიშნავს, რომ ცალი ხელით
აკვანს არწევდე, სად სხივი ჩადგა,
ხოლო მეორით კემსავდე ძველი
მეტაფორებით გაცვეთილ ფარდაგს.
იყო ერთგული დედა და ცოლი,
თანაც ფეხდაფეხ სდიო ქარაშოტს.
ეს იმას ნიშნავს, ვით ცეცხლს ფარვანა,
სიკვდილს ბავშვივით შეეთამაშო.
და სხვა კეკლუცი ქალების დარად,
არ შეგისრულდეს ნატვრა აროდეს,
არ იყოს ვინმე, სიმარტოვიდან
შენს დასახსნელად მოუხაროდეს.
ეს იმას ნიშნავს, არ განუგეშონ.
როცა სიცოცხლედ გიღირს ნუგეში,
ეს იმას ნიშნავს, იყო ქალღმერთი
კაცის და მიწის მძიმე უღელში.
არა მარტოდენ მამულის, ანდა,
არა მარტოდენ წინაპრის ვალით,
ჩემს სამშობლოში ათგზის ძნელია,
იყო პოეტი და იყო ქალი!

ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

შრიალებს სხეული,
ვერხვივით შრიალებს
წაქცევის შიშით...
იმ ბოლო სიტყვამდე
პირველად, პირველის
ბაგიდან ვიშვით.
ჩემს მკერდთან ეძებეთ
ისარი, რომელიც სამიზნეს ასცდა.
რა ჟამი დამდგარა, ჟამი უჟამური
უსიტყვო კაცთა.
მე მაინც გავრითმე, ლექსებად ვაქციე
სიტყვების ფეთქვა...
მამაო, უსიტყვოდ წყვდიადში
ვით გასძელ? ან რაი გერქვა?
— სიტყვა ვიყავ!
ვიყავ მუდამ!
სიტყვა ვარ და
სიტყვად ვრჩები!
სიტყვა — თქვენი გადარჩენა,
სიტყვა — ჩემი განაჩენი...
ერთი დიდი სიზმარია
ყოველივე დანარჩენი.
სიტყვების ტყე...
სიტყვების ტყვე...
სიტყვა — სეტყვა,
სიტყვა — ტყვია.
ირგებს სიტყვებს, როგორც გვირგვინს
ქვემძრომი და თვითმარქვია,
როცა სიტყვა ტლუთა ტყვეა
იფოთლება ანარქია.
სიტყვა — სული, სიტყვა სრული,
სიტყვა — სევდა, სიტყვა — დედა.
თუმც შვილივით ვზარდე სიტყვა,
დედასავით დამიბერდა.
ერთი სიტყვით,
მხოლოდ სიტყვის
მსახურება დამებედა.
სიტყვა — მკვლელი, სიტყვა — მჭრელი...
სიტყვა — ჭრელი... სიტყვა — ხაზი...
სიტყვა — ნება, სიტყვა — ვნება,
ტკბილი, როგორც ალვახაზი,
ლოცვის მტევნებს დაიმშვენებს
უსიერ ველს, უსურვაზი...
— სიტყვა ვიყავ!
ვიყავ მუდამ!
სიტყვა ვარ და
სიტყვად ვრჩები!
სიტყვა — თქვენი გადარჩენა,
სიტყვა — ჩემი განაჩენი!
ქარია და სიზმარია
ყოველივე დანარჩენი...

ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ „ᲡᲐᲬᲝᲕᲐᲠᲐ“

მე არც „გრუზია“ მინდა ვიყო და არც — „ჯორჯია“.
ჩემი სამშობლო, ჩემი მიწა ერთი გოჯია,
აქ თითო კენჭი ჩემი სისხლით დაწინწკლულია,
ასე რომ ბორგავს, ზღვა კი არა, ჩემი გულია.
და რახანია, შეხსნილი მაქვს მკერდზე იარა,
მომხვდურის ჩექმამ ამ მკერდზედაც გადაიარა.
გადაშლილია დედამიწა — დაფა ჭადრაკის,
ჭადრაკის ნაცვლად, ყომარბაზი ნარდით ერთობა
და პირდაფჩენილ ხალხის მასას, ვით საწოვარას,
ტენიან სიტყვებს — „სამართალი“, „ხალხის ერთობა“,
„ადამიანთა უფლებები“, „დემოკრატია“,
სცენაზე ქოროდ ჩამომდგარა ათი პარტია.
მთავარ როლისთვის ლიდერები შებმიან ერთურთს,
ტაკიმასხარა ტანზე ირგებს გმირის მანტიას.
ტირის ქალწული, ქორწილამდე დაქვრივებული,
ბავშვებს აცვიათ მეორადი ტანზე ჭინჭები
და ვირტუალურ სამყაროში სიკვდილის ჩრდილებს
სიცოცხლის ფასად ამარცხებენ ჩვენი ბიჭები!
ჩემი სიმცირით მამცირებენ, ჩემი სიკეთით,
პოლიტიკას კი, საძაგელი სუნი აქვს შმორის.
ვდგავარ დაღლილი სიმართლის და სიცრუის კართან
და ვეძებ საზღვარს სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის.
ღმერთო, შენ მიხსნი, კიდევ... ჩემი ძველი ფესვები,
მე რა გამტეხავს, სანამ ჩემი ზეცა მახურავს.
როგორ ვასმინო მე სიმღერა ბრძნული, ქართული,
კაცობრიობას, გადაქცეულს ფულის მსახურად:
„ბალახი ვიყო სათიბი, არა მწადია ცელობა,
ცხვრადვე მამყოფე ისევა, ოღონდ ამშორდეს მგელობა!“

ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ!

მადლობა უფალს, თქვენ მოგანდოთ ბედი ქართლისა,
ლოცვით და ცრემლით აგივსიათ სიბრძნის სალარო,
რადგან თქვენ მყავხართ, მზის ნათელი ადგას ჩემს მამულს,
სამოციქულო ეკლესიის მამამთავარო.
როდესაც ერი ირწეოდა, ვითარც ლერწამი,
თქვენ გვაფრთხილებდით, ნუ აჰყვებით შეშლილ ქარებსო,
ერის ტკივილის ბეჭედი ხარ, სიწმინდის მცველი,
ბრძენო კეთილო, უწმინდესო, უნეტარესო.
მეც ბევრჯერ მსაჯეს, თვალში ბეწვიც არ შემარჩინეს,
ბევრჯერ ეს გული, ნაწამები, სევდით ამევსო,
მადლობელი ვარ ნუგეშისთვის, მწყემსო კეთილო,
ღირსო მამაო, უწმინდესო, უნეტარესო!
ჟამს სიძულვილის თქვენ სიკეთის გვასწავლით ანბანს,
გიყვარდეთ მტერი, ნუგეში ეც მგლოვიარესო,
შენს გზას მივყვებით, სიყვარულის მასწავლებელო,
ერის მოძღვარო, უწმინდესო, უნეტარესო!

ᲮᲛᲘᲗ ᲦᲕᲗᲐᲔᲑᲠᲘᲕᲘᲗ

ჰამლეტ გონაშვილს

გარდაცვალება კაცთა ხვედრია,
უკვდავთან სიკვდილს არა აქვს ხელი,
შენ შეუერთდი ზეციურ წიაღს
და ისევ უფლის სახელით მღერი.
შენი ხმა ჰგავდა სამშობლოს წარსულს,
რაც გვალაღებს და თანაც გვაწამებს
და ასდიოდა საკმევლის სუნი,
ვით წმინდა ნინოს ლეგა ნაწნავებს.
ეგ ხმა პირველად თვით უფალს დასცდა,
ლოცვამ დაფარა ათასეულთა,
გამოიარა საუკუნენი,
შენში გაცოცხლდა და განსხეულდა.
მიტომ გიჭირდა ყოფნა მიწაზე,
ზეცაში იყო შენი საუფლო,
ახლა ხელმარჯვნივ უზიხარ უფალს
და ღვთაებრივი ხმითა საუბრობ.
მანდ თუ ნახულობ ჩვენეულ სიზმრებს,
ან როგორ მოჩანს ეს მიწა ციდან,
ხომ შეავედრებ უფალს ჩვენს მამულს,
გულივით მფეთქავს და ერთი ციდას.
ან თქმა რად უნდა, მხოლოდ იმღერე,
ისე, ქართულად, აქ რომ მღეროდი,
შენი ნატანჯი, შენი ამაყი,
შენი ლამაზი საქართველოთი.
სიმღერა იყო ლხენაც და კვნესაც,
ლოცვაც და ჯვარცმაც იყო სიმღერა
და დავამარცხეთ მხოლოდ სიმღერით,
ვინც ხმალი მტრულად შემოგვიღერა.
სიმღერა იყო ჩვენი წარსული,
სიმღერა იყო ჩვენი დიდება,
ოღონდ იმღერე ისევ ქართულად
და ვარსკვლავეთი გაირინდება.
გარდაცვალება კაცთა ხვედრია,
უკვდავთან სიკვდილს არა აქვს ხელი,
შენ შეუერთდი ზეციურ წიაღს
და ისევ უფლის სახელით მღერი.

ᲮᲛᲐ ᲛᲔᲡᲛᲐ

ამოახველებს ზეცა ქარ-წვიმას,
ღრუბელს ფილტვები კვამლით აევსო,
გზა ამერია, გამჭვარტლულ ცაზე
როგორ გიპოვო, უზენაესო?
სიტყვებს წაერთვა ძალა ღვთიური,
ხმას ვეღარ გაწვდი, ვხავი ამაოდ,
გაუდაბურდა სამოთხის ბაღიც,
მე სად გიპოვო, დიდო მამაო?
დაწყევლილ წრეში ვბრუნავ, დავყვები
ერთფეროვანი დღეების ქოროს,'
ხმა მესმა: — „თუ გსურს, მართლა მიპოვო,
საკუთარ გულში მეძებე მხოლოდ“.

ᲤᲔᲠᲘᲡᲪᲕᲐᲚᲔᲑᲐ

ეძებდნენ ერთურთს, ვით გამართლებას
ღმერთი და კაცი, კაცი და ღმერთი,
მე კი, დაჭრილი ფრთები მეჭირა,
თქვენ რომ მარაო გეგონათ თეთრი.
მე არც კი მახსოვს, როგორ შემაჭრეს
ფრთები და ზეცის კარი დამიხშეს,
ჯერ ამიხილეს თვალები, მერე
მიწის ხორკლიან მკერდზე გამიშვეს
და მიწა, როგორც დაღლილი კაცი,
ჩემგან ითხოვდა შველას და ალერსს,
ხან მიწყრებოდა სულ უმიზეზოდ,
ხან მპირდებოდა ზურმუხტს და ლალებს.
ხან ეჭვიანად მითვალთვალებდა,
ხანაც მიგებდა ფეხთ იის ნოხებს,
მე ვიცი, თუკი ერთხელ დავხარბდი,
ანდა დავეცი, გულს მოიოხებს
ზეცა ხარხარით და მუქლურჯ თაღებს
შეზარავს ჩემი ქალთან მსგავსება;
მუხლი სუსტი და თვალები ხარბი
და წამიერი ვნებით ავსება.
ნუთუ, არ იცის ცამ, ყოვლისმცოდნემ,
ფერისცვალება რისი ბრალია,
რომ ფრთებდაჭრილი და თვალხილული,
თვით ანგელოზიც სუსტი ქალია.
ეძებდნენ ერთურთს, ვით გამართლებას,
ღმერთი და კაცი, კაცი და ღმერთი,
მე კი, დაჭრილი ფრთები მეჭირა,
თქვენ რომ მარაო გეგონათ თეთრი.

ᲛᲝᲯᲐᲓᲝᲔᲑᲣᲚ ᲬᲠᲔᲨᲘ

გათითოკაცდა სამყარო,
ცის ნაცვლად ვუმზერთ ეკრანს
და მაღვიძარა საათი
რეკავს, ამაოდ რეკავს.
ეს რა ძილქუში შეგვყრია,
ვეღარ ვფხიზლდებით, ვერა,
ძილ-ბურანიდან დამფრთხალებს
საით გაგვექცა მზერა?
სასახლის კართან მისულებს
შეგვაგებებენ ხარხარს,
თუკი ვიძალისძალავეთ,
გადმოგვიგდებენ სახრავს.
სახრავს და სახრეს ჩვეული
ერთ დროს რჩეული ერი
სხვის ნასუფრალზე აცეკვდა,
სხვის მუსიკაზე მღერის.
მეც ასე ხელებგაშლილი,
თურმე, სატანას ვეძმე,
ხან მაძღარ მამებს ვაპურებ,
ხან უძღებ შვილებს ვეძებ.
მეც შვილი ვარ და მშობელი,
მეც დამინახეთ, გვედრით,
ვარ წუთისოფლის წიგნიდან
ამოხეული გვერდი.
არ მინდა მე სხვა სამშობლო,
მე სხვა სამოთხე არ მსურს,
ვზივარ დაბზარულ კედლებთან,
აწმყოს ვაწებებ წარსულს.
ნუ დამივიწყებ, უფალო,
ნუ მომარიდებ სახეს,
მიფრიალებენ მავანნი
ფულით მოხვეჭილ სახელს.
„რავქნისა“ კოშკთან დაქანცულს
მღვრიე ფიქრები შემშლის,
სანამდის უნდა ვიარო
მოჯადოებულ წრეში?

ᲒᲣᲚᲛᲖᲘᲐᲜᲘ

ჯანსულ ჩარკვიანს

სხვა შენებრი არვინაა,
სახე კაცურკაცობის,
შენი სიტყვით მოხიბლულა
უცნობიც და ნაცნობიც.
თუმცა ავი კაცუნები
შენი შურით კვდებიან,
სკამზე შედგნენ, ვიცი, მხრამდე
მაინც ვერ მოგწვდებიან.
ავი სიტყვით, ავი საქმით
შეგიხსნიან იარებს,
ვისაც შენი წილი პური
უხვად გაუზიარე.
ვინც მადლის წილ მოგიტანა
ეკალი და ცრემლები,
ვინც მიიღო შენი ლექსი
ჩუმი თავდაჯერებით.
კაცმა არა, ღმერთმა იცის,
ყველას გულთამხილველმა,
რომ ეგ გული — ზღვა სიკეთის
არასოდეს ილევა.
ლხინისა და ჭირის სუფრის,
ქართულ ლექსის თამადავ,
გენაცვალე, ნუ იმღერებ,
ავადა ვარ, ავადა.
ვინც შენ ავად შემოგხედოს,
ავად გახდეს თავადა,
გაიხარე შენი ფესვით,
შენი მძლავრი გენებით,
მომღერალი შვილებით და
ამღერებულ ლექსებით...
ლომის ძეო, ლომის ძმაო,
ლომო, ლომად ბერდები,
მხრებში როდი იხრებიან
შევერცხლილი ქედები.
ქედუხრელო, ქედმაღალო,
გული ხომ არ ბერდება,
გული ცაზე მზედ დაჰკიდე,
დილა გულით თენდება.
მაგ მზე გულით გაგითბია
უცნობიც და ნაცნობიც,
გულმოწყალევ, გულმართალო,
სახევ კაცურკაცობის.

8
№ 11 (275)
18- 24 მარტი 2015
7 ქართული იტყუება
ლიტერატურა. ჭელმეჭნეება. პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

სკანდალური ექსკლუზივი

„სისხლი იქნება!“

როგორ მოხვდა მეგის ქარდავა კიევში და რეალურად, რას გეგმავენ „ნაციონალები“ 21 მარტს – პირველადი ოპერატიული ინფორმაციები

კვირაზე მეტი მსოფლიო იმის გარკვევას ცდილობდა, კრემლის მბრძანებელმა სული განუტევა თუ არა. საბოლოოდ, გაირკვა, რომ ვოვამ მიქელ-გაბრიელთან ვიზიტი დროებით გადადო. მაინც, რას ემსახურებოდა ვლადიმერ ვლადიმერის ძის „სამკვდრო-სასიცოცხლო ტრიუკი“? – ამ თემაზე უშიშროების თადარიგის პოლკოვნიკს, უსაფრთხოების ექსპერტ კონსტანტინე ფორჩხიძეს საინტერესო მოსაზრება აქვს. ამასთან, „ქართული სიტყვის“ ექსკლუზიური ინტერვიუების ციკლში ქართველი სპეცსამსახურელი, 21 მარტის აქციის კონტექსტში, მეგის ქარდავასთან დაკავშირებით სკანდალურ პირველად ოპერატიულ ინფორმაციას ახმაურებს და ამბობს, რომ „ნაციონალები“ სამეგრელოდან ხალხის ჩამოყვანას ორგანიზებულად აპირებენ.

„როგორც პირადმა წყაროებმა მითხრეს, 21 მარტს, სამეგრელოს თითო სოფლიდან, თბილისისკენ 5-5 მანქანა წამოვა, მაგრამ ხალხი მიტინგზე იმიტომ კი არ მოდის, რომ „ნაციონალებს“ უთანაგრძნობს, არამედ, ფულის გამო – თითო მომიტინგეზე 100 ლარია გამოყოფილი. გარდა ამისა, მათ კვებასაც „ნაცები“ საკუთარ თავზე იღებენ“, – აცხადებს კონსტანტინე ფორჩხიძე.



– მართალია, გამოჩნდა, მაგრამ, ბატონო კონსტანტინე, პუტინის სიკვდილ-სიცოცხლეზე ატეხილი აჟიოტაჟი, თქვენი აზრით, რას ემსახურებოდა?

– რუსული სპეცსამსახურები თავიანთი მთავრობის მისამართით დროდადრო მსგავს პროფილაქტიკურ ღონისძიებებს ატარებენ ხოლმე. როცა სახელმწიფოს პირველი პირი მედიისა და საზოგადოების წინაშე აღარ ჩნდება, სპეცსამსახურები წინასწარ ავრცელებენ ინფორმაციას, რომ თითქოს ავადაა, ან გარდაიცვალა. ყველაფერი ეს კი, პირველ რიგში, სამხედრო მაღალჩინოსნების, გენერალური შტაბისა და იმ სხვა უწყებების, ასე ვთქვათ, გამოაშკარავებისკენაა მიმართული, სადაც შეიძლება, პრეზიდენტობის კანდიდატი, ამ შემთხვევაში, პუტინის შემცვლელი წარმოიშვას. დარწმუნებული ვარ, ყველაფერი ეს თავად პუტინისგან წამოვიდა და ამით შეამოწმა, მისდამი კეთილგანწყობილი ვინაა. ასევე, თუ ვის აქვს ამბიცია, რომ რუსეთის პირველი პირი გახდეს.

– უკაცრავად, მაგრამ თუკი ამ თამაშების შესახებ თქვენ იცით, მას, ვისაც პუტინობის ამბიცია აქვს, არ ეცოდინება, ანუ ამბიციას არ მოთოკავს?

– ეს ის ტექნოლოგიაა, რომლითაც მსოფლიო სპეცსამსახურები საუკუნეებია, სარგებლობენ. სხვათა შორის, ასეთი თამაშები საბჭოთა ლიდერებსაც ახასიათებდათ... რუსეთში სამხედროებს უდიდესი გავლენა აქვთ და არაა გამორიცხული, რომ მომავალი პირველი პირიც სამხედრო წრეებიდან იყოს. სწორედ ამიტომაც გაჩნდა კრემლისგან კონტროლირებად რუსულ მედიაში, თუნდაც, მედვედევის სერგეი ივანოვით ჩანაცვლების ვერსია.

სხვათა შორის, პუტინს საიდუმლო სამსახური აქვს, რომელიც უშუალოდ მისი და კრემლის მმართველი ვიწრო წრის დავალებებს ასრულებს. ამ საიდუმლო, ასე ვთქვათ, დანაყოფის საქმიანობის დეტალები არც „ეფ-ეს-ბე“-ს ხელმძღვანელმა ბორტნიკოვმა იცის და არც – „გე-რე-უ“-მ.

– ასეთი საიდუმლო სამსახური ყველა ქვეყნის პირველ პირს აქვს?

– მაგალითად, აშშ-ში ამ სამსახურის ფუნქციას ეროვნული უსაფრთხოების საგენტო ასრულებს, ისრაელში კი, – ვარაში.

– ანალოგიური უწყება საქართველოს პირველი პირების კარზეცაა?

– არა. ჩვენთან მსგავსი პრაქტიკა არ არსებობს.

მოკლედ, დღეს რუსეთში ფორს-მაჟორული სიტუაციაა – მთელი აქცენტი სამხედროებზე კეთდება, ანუ მათ პოლიტიკაში დიდი გავლენა, თუნდაც, აგვისტოს ომისა და უკრაინაში მიმდინარე მოვლენების გამო აქვთ და პუტინის შესაძლო გარდაცვალებაც მათი გადამოწმების პოლიტიკაა, რომელიც შიდა მოხმარებისაა და მეტი არაფერი.

– შიდა მოხმარების როგორაა, როცა ვლადიმერ ვლადიმერის ძის შესაძლო სიკვდილზე დასავლური მედიაც წერდა...

– ამით ისინი, ვისაც უკონტროლო ამბიციები აქვთ და მომავალში პირველკაცობაზე ფიქრობენ, უფრო წახალისდნენ. პუტინმა კი, რომელსაც ხელისუფლებაში ყოფნის ხანგრძლივი გეგმა აქვს, ყველას, მათ შორის, სამხედროებისა და სპეცსამსახურთა ამბიციები ზედმიწევნით უნდა იცოდეს.

– მაშასადამე, პუტინის „გაცოცხლებას“ რუსულ პოლიტიკურ ვერტიკალში წმენდა მოჰყვება?

– რა თქმა უნდა. სხვათა შორის, ეს თამაში იცით, როდის დაიწყო? – ამას წინათ, ითქვა, თითქოს სიმსივნითაა დაავადებული და კადრებიც გავრცელდა, ექიმთან როგორ მივიდა და გამოკვლევა ჩაიტარა. ისიც ტრიუკი იყო, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან ხელშეკრულების ხელმოწერა რომ გადადო – ამითაც გარკვეული მოლოდინები გააჩინა.

– მაინც, რა მოლოდინი?

– ლავროვმა აქცენტი რკინიგზასა და იმ სხვა პროექტებზე გადაიტანა, რომლებიც რუსეთისთვის გეოსტრატეგიულად სასიცოცხლოა. ასევე, მინიშნება „ენგურჰესთან“ დაკავშირებით აფხაზებთან მოლაპარაკების დაწყებაზე გაკეთდა.

– მინიშნება კი არ გაკეთდა, ჩვენი ვიცე-პრემიერი და, ამასთან, ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე „ენგურჰესის“ თემაზე აფხაზური მხარის წარმომადგენლებს შეხვდა...

– დიახ, თუ არ ვცდები, ეს შეხვედრა საბერიოში გაიმართა...

– ამით ურთიერთობის დათბობა დაიწყება?

– გააჩნია, კულუარებში რაზე შეთანხმდნენ. დარწმუნებული ვარ, აფხაზები „ენგურჰესის“ კერძო საკუთრებაში გადაცემას მოითხოვდნენ. ასეთ შემთხვევაში, „ენგურჰესის“ ერთადერთი მყიდველი რუსეთი იქნება, რომელიც დიდი ხანია, მოწადინებულია, რომ ეს ელექტროგენერაციის დიდი ობიექტი ხელში ჩაიგდოს. სხვათა შორის, „ენგურჰესი“ საქართველოში, პრაქტიკულად, ერთადერთი ენერგო ობიექტია, რომელიც დღეს რუსეთის გავლენის ქვეშ არაა. არ ვიცი, მოვლენები როგორ განვითარდება, მაგრამ თუკი საქართველოს ხელისუფლება თანახმა იქნება, რომ „ენგურჰესი“ გასხვისდეს, ეს ქვეყნისთვის ძალიან ცუდი, მეტიც, რუსეთის წინაშე სრული კაპიტულაცია იქნება!

ამავე კონტექსტში უნდა განვიხილოთ აფხაზეთის შემოვლითი რკინიგზის ამოქმედების თემაც – ლავროვმა მიანიშნა, ამაზე ქართველებმა და აფხაზებმა უნდა ილაპარაკონო, მაგრამ ვკითხულობ: სასაუბროდ ვინ უნდა დასხდნენ? – ვთქვათ, ჩვენი და აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობის წარმომადგენლები დასხდნენ, ილაპარაკეს და შეთანხმდნენ კიდეც, მაგრამ ხელშეკრულება ვინ უნდა გააფორმოს?

– ჩვენ და აფხაზებმა!

– მერე, იცით, ეს რას ნიშნავს?

– რას?

– ხელშეკრულება ოფიციალური, სამართლებრივი დოკუმენტია და თუკი ჩვენსა და აფხაზებს შორის რამე ხელშეკრულება გაფორმდება, ეს, ავტომატურად, ჩვენი მხრიდან აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება იქნება! ამიტომაც ვამბობ, რომ ყველაფერი ეს საქართველოს მთავრობისთვის გადმოგდებული სატყუარაა. ისე, ისიც ვერ გავიგე, „ენგურჰესთან“ დაკავშირებით აფხაზებს კალაძე რატომ შეხვდა.

– დაგავიწყდათ, კალაძე ენერგეტიკის მინისტრია!

– რომ არ დამვიწყებია, სწორედ ამიტომ ვკითხულობ – შეხვედრაზე ამ დონის ჩინოსანი კი არა, ჩვეულებრივი ენერგეტიკოსი, ანუ წვრილფეხა ჩინოვნიკი უნდა ჩასულიყო, რომელიც ტექნიკურ დეტალებს გაარკვევდა.

– თუკი კალაძე აფხაზებთან ურთიერთობას რაღაც ფორმით დაალაგებს, ეს იმის წინაპირობა ხომ არ გახდება, რომ მან, როგორც პოლიტიკოსმა დამოუკიდებელი თამაში დაიწყოს და იმაზე დიდი ამბიცია გაუჩნდეს, ვიდრე აქვს?

– აფხაზებთან ურთიერთობა პირდაპირი მოლაპარაკებით გამორიცხულია. კი ბატონო, დავსხედით, მაგრამ ვის უნდა ველაპარაკოთ?

– ესე იგი, ჩვენს ურთიერთობაში მთავარი მედიატორი კრემლი უნდა იყოს?

– არა, დასავლეთი. სხვათა შორის, ასეთი მოლაპარაკებები ე.წ. ჟენევის ფორმატით დიდი ხანია, მიმდინარეობს და იმას, რაც გვინდა, სწორედ ამ ფორმატით უნდა მივაღწიოთ, თორემ აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობასთან ლაპარაკი, ბოლოს, ხელშეკრულებამდე მივიდა...

– მაშასადამე, იმის თქმა გინდათ, რომ კრემლი საქართველოს ხელისუფლებას აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას აიძულებს?

– დიახ, ასე გამოდის. ყოველ შემთხვევაში, ქვეტექსტი ასეთია...

სხვათა შორის, ახლახან რუსეთის სახელმწიფომ ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ 1990 წელს გაფორმებული ხელშეკრულების ცალმხრივად გაუქმების გადაწყვეტილება მიიღო, რაც ამ ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებისთვის, პრაქტიკულად, თავის არიდებას ნიშნავს.

– ამ ხელშეკრულების არსი რა არის?

– რა და, – ევროპის ერთ ქვეყანასაც არ აქვს უფლება, რომ უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე თავისი ჯარები ამ ქვეყნის თანხმობის გარეშე განალაგოს. ამასთან, ამ დოკუმენტით, რეგიონების მიხედვით, მკაცრადაა განსაზღვრული ჩვეულებრივი, მათ შორის, ჯავშანტექნიკის ქვოტები. მართალია, რუსეთი ამ ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებებს არასოდეს ასრულებდა, მეტიც არღვევდა, მაგრამ მისი ბოლო ქმედება ცივილიზებული სამყაროს მიმართ აშკარა გამოწვევაა, რაც ახალი „ცივი ომის“ დაწყებაზე მიანიშნებს. ამ ქმედებით, რუსეთმა იმასაც ხაზი გაუსვა, რომ სრული უფლება აქვს, პოსტსაბჭოთა სივრცეში, მათ შორის, ხელახალი ოკუპაციის შედეგად ჩამოყალიბებულ ე.წ. რესპუბლიკებში – აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, თავისი სამხედრო ბაზები ისე განალაგოს, რომ საამისოდ საქართველოს ხელისუფლებას თანხმობა არ სთხოვოს.

ზემოხსენებული ხელშეკრულების, ასე ვთქვათ, საფუძველზე, 1999 წელს სტამბოლში ახალი ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის საფუძველზეც, საქართველოდან რუსული ჯარები იქნა გაყვანილი, ანუ საქართველოდან რუსეთის გასვლის სამართლებრივი საფუძველი სწორედ სტამბულის ხელშეკრულებამ შექმნა.

– 1990 წელს დადებულ ხელშეკრულებიდან რუსეთის გამოყოფა ჩვენთვის საშიში რატომაა?

– საშიში იმიტომაა, რომ კრემლს შეუძლია, აფხაზეთში, სამაჩაბლოსა და, სხვათა შორის, უკრაინის ოკუპირებულ რეგიონებშიც ატომური იარაღი განათავსოს, რადგან იცის, რომ თავის სეპარატისტულ მოძრაობებს ბოლომდე ვერ დაეყრდნობა.

არაოფიციალური წყაროებით, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია ვრცელდება, რომლის თანახმადაც, რუსეთი ე.წ. ოსვ-ის, ანუ სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის ორივე – ოსვ1 და ოსვ2 ფორმაციიდან გამოსვლასაც აპირებს.

– „სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის ხელშეკრულება“ რას მოიცავს?

– ეს ხელშეკრულება ჯერ საბჭოთა დროს, შემდეგ კი, ელცინის პრეზიდენტობისას რუსეთმა აშშ-სთან დადო. მისი ანულირება კი, აშკარა კონფრონტაციაზე წასვლას და „ცივი ომის“ პირობებში დაბრუნებას ნიშნავს.

– ესე იგი, ეჭვობთ, რომ რუსეთი, რომელიც ატომური ქვეყანაა, მაგალითად, სოხუმში ატომურ იარაღს განალაგებს?

– ყოველ შემთხვევაში, არაა გამორიცხული, რომ კრემლმა აფხაზეთში ჰაერსაწინააღმდეგო სისტემა, მაგალითად, „შ 300“ შეიტანოს. სტრატეგიულად, ატომური იარაღის შეტანა, პირველ რიგში, ყირიმში აწყობს.

– „ცივი ომის“ დროს, მსოფლიო ცეცხლის ალში ასე მასიურად არ იყო გახვეული. შესაბამისად, თუკი ახალი „ცივი ომი“ პლანეტას სიმშვიდეს მოუტანს, ამაში ცუდი რა არის?

– „ცივი ომი“ შეიძლება, დასავლეთს აწყობს, მაგრამ პოსტსაბჭოთა სივრცეს, მაგალითად, საქართველოს, უკრაინას, ბელორუსსა თუ ბალტიისპირეთს ხელს არ აძლევს.

მოკლედ, რუსეთმა რუბიკონი გადალა-

გაგრძელება მე- 9 გვ.

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲣᲠᲘ ᲔᲥᲡᲙᲚᲣᲖᲘᲕᲘ

ხა!

– რისი რუბიკონი?

– სახელმწიფოებრივი დაპირისპირების და ცდილობს, თავისი იმპერიული ამბიციები აღიდგინოს!

– აღიდგენს?

– ჩანს, რომ აღიდგენს – ხომ ნახეთ, აშშ-ის პრეზიდენტმა ანგელა მერკელთან შეხვედრისას რა თქვა, უკრაინას ლეტალურ იარაღს ვერ მივაწვდითო.

– მაშასადამე, რუსეთმა მსოფლიო შეაშინა?

– აქ შიშზე არაა ლაპარაკი. უბრალოდ, მსოფლიომ იცის, რუსეთს შეუძლია, ნებისმიერი, თუნდაც ეკონომიკური პრობლემები სამხედრო გზით გადაწყვიტოს.

– ბატონო კოტე, იმას ამბობთ, რომ კრემლს შეუძლია, თეთრ სახლს ომი გამოუცხადოს?

– ამას ვერ შეძლებს, თუმცა რუსეთისთვის „ცივი ომი“ მომგებიანია.

– ყველაფერ აქედან გამომდინარე, ჩვენ რა გვეშველება?

– ძალიან რთულ ვითარებაში ვართ. ამიტომ, ჩვენი სტრატეგიული ობიექტები უნდა შევინარჩუნოთ და ყველაფერი გავაკეთოთ, რომ მთელი ჩვენი ეკონომიკა რუსეთმა არ ჩაიგდოს. ამასთან, ხელი რუსეთის კავკასიურ გეოსტრატეგიულ მიზნებსაც უნდა შევუშალოთ. ყველაფერი ეს კი, პირდაპირ რუსეთის ირანთან ურთიერთობასა და აფხაზეთის რკინიგზის საკითხებს ებმევა. რუსეთს ჩვენ კი არა, სომხეთიც არ ეხატება. მაშ, აფხაზეთის რკინიგზის ამოქმედება რისთვის სჭირდება? – ამის ძირითადი მიზანი ირანთან სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის წარმოებაა. ის სატრანსპორტო გზები, რომლებიც ირანთან აკავშირებს, ამ მიზნების მისაღწევად საკმარისი არაა.

– რუსეთს ამ გრანდიოზულ გეგმებში ხელი როგორ უნდა შევუშალოთ, როცა საშინაო საქმეებისთვისაც ვერ მიგვიხედია?

– სტრატეგიული ობიექტები რუსეთს არ უნდა გადავცეთ!

– კეთილი, მაგრამ, მაგალითად, „ოცნებელი“ გოგი თოფაძე აცხადებს, ჩვენი მიზანი დასავლეთი და ნატო არააო...

– გოგი თოფაძემ უნდა გააცნობიეროს, რომ ამ პოლიტიკით დამოუკიდებლობას ვერ მოვიპოვებთ.

– ბატონო კოტე, ვინ გითხრათ, რომ თოფაძეს, ტყემალაძეს და მსგავს „ტიპებს“ საქართველოს დამოუკიდებლობა უნდათ?

– ჰოდა, თუ არ უნდათ, თოფაძემაც და ტყემალაძემაც ქუდები დაიხურონ, წავიდნენ და თავიანთ ბიზნესს მიხედონ! მათი ადგილი პოლიტიკაში არ არის!

– პოლიტიკიდან ბიზნესს უკეთესად აკეთებენ!

– თოფაძე რომ ხარ, უფლება არ გაქვს, ქართველი ხალხის განწყობას წინ აღუდგე! პლებისციტის მიხედვით, მოსახლეობის 90 პროცენტი საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის მომხრეა. ჰოდა, თოფაძეები ქართველ ხალხს უპირისპირდებიან!

– გეთანხმებით, მაგრამ ქართველი პუტინისტები ოლანდის განცხადებას იშველიებენ, ნატო არ უნდა გაფართოვდესო.

– ოლანდის განცხადება, როგორც წინა ინტერვიუში ვთქვი, იმის განმსაზღვრელია, თუ რამდენად პრინციპულები ვართ. ოლანდისა და ობამას განცხადებები ერთგვარი ტესტია, თუ რამდენად მყარად ვდგავართ ევროატლანტიკურ გზაზე!

– ისიც ტესტია, დასავლელი ლიდერები სააკაშვილს, რომელსაც ქვეყნის მოსახლეობის ნაწილი „მიწიერი ჯოჯოხეთის“ მოწყობაში ადანაშაულებს, ხელგაშლილები რომ ხვდებიან?

– რუსულ იმპერიაში გვიცხოვრია და ვიცით, რომ რუსეთში ადამიანის უფლებები საერთოდ ანულირებულია!

– კი ბატონო, მაგრამ დასავლეთის წინააღმდეგ მხოლოდ პოლიტიკოსები კი არა, სასულიერო პირებიც ილაშქრებენ – ინტერნეტში ერთ-ერთი მოძღვრის ქადაგება გავრცელდა, სადაც ნათქვამია, რომ ის, ვინც უკრაინასთან მიმართებაში მხარს რუსეთს არ უჭერს, უფლის წინააღმდეგ მიდის...

– სასულიერო პირი უფალს უნდა ემსახურებოდეს და პოლიტიკურ განცხადებებს არ აკეთებდეს, რადგან პოლიტიკური განცხადებები მკრეხელობაა! მოდით, რა, ჯერ ის გავარკვიოთ, რწმენას რას ვეძახით. ეს მღვდელმსახურები დააკვირდნენ, რომ პატრიარქი პოლიტიკაში საერთოდ არ ერევა და წმინდა სინოდსაც ასეთივე პოზიცია აქვს! ასე რომ, პოლიტიკური განცხადებების გაკეთებას მორჩნენ!

– კოტე ბატონო, კერძო საუბრისას მითხარით, სააკაშვილი, ორ თვეში, უკრაინაშიც აღარ იქნებაო. ამას რის საფუძველზე ამბობთ, ან რას გულისხმობთ?

– მიშა შეპირებული იყო, რომ აშშ უკრაინას იარაღს მიაწვდიდა, მაგრამ ვანო, თუ გახსოვთ, ადრეც გითხარით და ახლაც დადასტურდა, რომ ამის გამკეთებელი არაა. მიშას მხოლოდ იმ სქემების დალაგება შეეძლო, რომელი სქემებითაც საქართველოში მუშაობდა და რომლებითაც მილიონები იშოვა.

– აქცენტს იარაღით ვაჭრობის კორუფციულ სქემებზე აკეთებთ?

– დიახ, მაგრამ ამ კორუფციაზე ამერიკელი მაღალჩინოსნებიც აღარ მოდიან, რადგან ამ თემებზე ფედერალური ბიურო მუშაობს და სკამებს აშშ-შიც უფრთხილდებიან – იუსტიციის დეპარტამენტში ამ თემებზე გამოძიება მიმდინარეობს.

მოკლედ, უკრაინელ სამხედროებში სააკაშვილის მიმართ უკმაყოფილება მწიფდება. ამასთან, უკრაინელები ნელ-ნელა ხვდებიან, რომ იმან, რაც უკრაინაში მოხდა, საბოლოო ჯამში, წყალი რუსეთის წისქვილზე დაასხა და, პრაქტიკულად, იგივე შეცდომები განმეორდა, რაც 2008 წელს საქართველომ დაუშვა. უკრაინელები გონზე მოდიან და სწორედ ამიტომაც არ აცხადებს პოროშენკო საყოველთაო მობილიზაციას – იცის, რომ მობილიზაციით 3 მილიონი ადამიანი გამოვა და თუკი ომი არ გაგრძელდა, ეს ხალხი მობრუნდება და ახალ მაიდანს მოუწყობს.

– უკრაინის ხელისუფლებიდან გაშვებას მხოლოდ სააკაშვილს უწინასწარმეტყველებთ თუ სხვა ქართველებსაც?

– ახლა ერთ საინტერესო, პირველად ინფორმაციას გაგიმხელთ: მითხრეს, რომ მეგის ქარდავა უკრაინაში ოკუპირებული აფხაზეთის გავლით აღმოჩნდა, ანუ თბილისიდან რომ გაიქცა, თავი აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებულ რუსულ ბაზას შეაფარა, რაც იმაზე მინიშნებს, რომ თავიდანვე რუსულ ინტერესებს ატარებდა. ესეც რომ არა, აფხაზეთიდან უკრაინაში ჩასვლის საშუალებას არავინ მისცემდა. აღსანიშნავია, რომ მეგის ქარდავა კიევში საქართველოდან ჩასულ ქართველებს ხვდებოდა და აკვალიანებდა. ასევე, მაქვს ინფორმაცია, რომ თავად უკრაინელებს აღარ უნდათ, რომ სამხედრო ბრიგადები მიშას მიყვანილი ხალხით დაკომპლექტდნენ. სამაგიეროდ, უკრაინაში 46-ე ქართულ-უკრაინული ბრიგადა შეიქმნა, რომელსაც თუ არ ვცდები, დათო მარტიაშვილი ხელმძღვანელობს, ოღონდ ამ ბრიგადაში ის ქართველები არიან, მათ შორის, ყოფილი „მხედრიონელებიც“, რომლებსაც „ნაციონალებთან“ შეხება თითქმის არ ჰქონიათ. მოკლედ, მაქვს ინფორმაცია, რომ ორ თვეში მიხეილ სააკაშვილი უკრაინაში აღარ იქნება.

– აბა, საქართველოში დაბრუნდება?

– არა... ინტერპოლი მის ძებნას სწორედ ამის შემდეგ დაიწყებს...

– „ნაციონალები“ იმედოვნებენ, რომ 21 მარტს ქუჩაში ბევრი ადამიანი გამოვა და ხელისუფლებას გადადგომას მოსთხოვს...

– 21-ში პატარ-პატარა შეხლა-შემოხლა იქნება, მაგრამ სერიოზული არაფერი მოხდება!

– პატარ-პატარა შეხლა-შემოხლები ახლაც ხდება...

– 21 მარტსაც ასეთი პროვოკაციები იქნება. სხვათა შორის, პირადი წყაროებისგან ვიცი, რომ ზუგდიდში მომხდარ ინციდენტში, ორივე მხრიდან, „ნაციონალები“ მონაწილეობდნენ.

– ეს როგორ?

– გახსოვთ, ადრე გითხარით, რომ სამეგრელოში გავლენიანი „ნაციონალები“ „ოცნებაში“ გაწევრიანდნენ-მეთქი. ჰოდა, როგორც მითხრეს, ამ შეტაკებაშიც სწორედ „ოცნებაში“ დაპორტირებული „ნაცები“ აქტიურობდნენ, ანუ ეს ჩვეულებრივი პროვოკაცია იყო.

ისე, ცალკეულ ახალგაზრდულ მოძრაობებს მოვუწოდებ, რომ 21 მარტს „ნაციონალების“ აქციაზე გამოჩენას მოერიდონ, რადგან ამით წყალს „ნაცმოძრაობის“ წისქვილზე დაასხამენ და ყოფილ ხელისუფლებას კიდევ ერთ საბაბს მისცემენ, რომ აჟიოტაჟი ატეხოს. სხვათა შორის, ამ არასამთავრობოებს ძალოვანი სტრუქტურებიდან ისეთი ადამიანები მართავენ, რომლებიც ასეთ რაღაცებში საკმაოდ გამოცდილები არიან და ანალოგიურ მეთოდებს „ნაცმოძრაობის“ დროსაც იყენებდნენ.

კი ბატონო, „ნაციონალებს“ სრული უფლება აქვთ, რომ ქუჩაში გამოვიდნენ და მიტინგი ჩაატარონ, მაგრამ პოლიციამ უსაფრთხოების ნორმები უნდა უზრუნველყოს, შეტაკებები არ დაუშვას და კრებაც, როგორც იტყვიან, მხიარული დარჩება, მაგრამ თუკი შეტაკებები მოხდა, პასუხისმგებლობა პირდაპირ ზემოხსენებულ არასამთავრობოებს დაეკისრება და მომხდარი პოლიციის იმიჯზეც უარყოფითად იმოქმედებს, მით უმეტეს, დააკვირდით, ბოლო დროს რა ხდება.

– რა ხდება?

– პოლიციის მიზანმიმართული კომპრომეტირება მიდის, მათ შორის, პოლიციის რიგებიდანაც. შსს-ში კადრების სამმართველო არსებობს, რომელმაც არ უნდა დაუშვას, რომ პოლიციელი ისეთი ადამიანი გახდეს, რომელსაც პატარა გაღიზიანებაზე შეუძლია, იარაღი ამოიღოს და მკვლელობა ჩაიდინოს. ყველაფერ ამაზე პირდაპირი პასუხისმგებლობა მათ ეკისრებათ, ვინც ასეთ ხალხს პოლიციაში იღებს და მერე, აწინაურებს! ანალოგიური სიტუაცია „ნაცმოძრაობის“ დროსაც იყო, მაგრამ მაშინ პოლიცია მარწუხებში იყო და როგორც კი მარწუხი მოეშვა, ყველა მანკიერება გამოჩნდა. ამიტომაც ძალოვანი უწყებების მხოლოდ ქაღალდზე დაწერილი კი არა, რეალური რეფორმირებაა საჭირო. რეფორმა კი, პროფესიონალებმა უნდა განახორციელონ!

– ბატონო კოტე, პრეზიდენტისა და უმრავლესობის ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბა. მახსოვს, ჯერ კიდევ შემოდგომაზე ამბობდით, რომ გაზაფხულზე სიტუაცია კულმინაციას მიუახლოვდებოდა. კიდევ რას უნდა ველოდოთ?

– ხვალ ვითარება შეიძლება, შეიცვალოს – ხელისუფლებაში შეიძლება, ვინმე მოძლიერდეს, ზოგმა კი, შეიძლება, ისეთი შეცდომა დაუშვას, რითიც ოპოზიციას მეტ საბაბს მისცემს. ამიტომ, ყველაფერი ხელისუფლებაზეა დამოკიდებული. ხელისუფლებაში ყოფნა მხოლოდ ტელევიზიით გამოსვლას და ყელის მოღერებას არ ნიშნავს. ხელისუფლების უპირველესი ამოცანა პრევენციაა...

– როგორ ფიქრობთ, „ნაცმოძრაობა“ სისხლზე შეიძლება, მართლა წავიდეს და ციხეში მყოფი თავისიანები ფიზიკურად მოიცილოს?

– გამორიცხული არაფერია.

– ამით რას მიიღებს?

– იტყვის, ციხეს ხელისუფლება აკონტროლებსო და ალბათ, იმედოვნებენ, რომ დასავლეთი განაცხადებს, ხელისუფლება პოლიტიკურ ოპონენტებს კლავს, მკვლელების ხელისუფლებაო.

– რა, დასავლეთი რევოლუციას მოაწყობს?

– რა, არ მოუწყვია?

– ესე იგი, სისხლს ელოდებით?

– ნამდვილად!.. სისხლი იქნება. სისხლი რომ არ იყოს, შესაბამისი კადრებია საჭირო, მაგრამ რაზე უნდა ვილაპარაკოთ, როცა თავდაცვის სამინისტროში ერთ-ერთ მაღალ თანამდებობაზე პოლკოვნიკი, თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის მთავარი სამმართველოს თანამშრომელი თეიმურაზ ზავარაშვილი დანიშნეს, რომელიც ჩემთვის არასაიმედო ფიგურაა.

– რატომ?

– ეს „ტიპი“, ჩემი ინფორმაციით, თავის დროზე რუსული დაზვერვის მუშაკი იყო, მერე, თურქეთში დაზვერვის სკოლა დაამთავრებინეს და ახლა, როგორც გითხარი, თავდაცვის სამინისტროში მაღალ თანამდებობაზე დანიშნეს. ზავარაშვილი ერთხანობას თურქეთში მუშაობდა, 90-იან წლებში შეხება პანკისის ხეობასთან და ვაჰაბიტებთანაც ჰქონდა...

– ხელისუფლება ამბობს, რომ სიტუაციას მუქად ჟურნალისტები და ექსპერტები ხატავენ, თორემ ყველაფერი კარგადაა...

– კარგად როგორაა? ცოტა ფრთხილად იყვნენ, თორემ ერთ მშვენიერ დღეს გაიღვიძებენ და რუსთაველზე მიხეილ სააკაშვილს ნახავენ, ზოგი მერეც თქვან, ყველაფერი კარგადააო.

საერთოდ, სამართლიანად და ადექვატურად ის ხელისუფლება იქცევა, რომელიც საკუთარ ქმედებებს სხვისი თვალით აფასებს.

– ასეთი ხელისუფლება, მგონი, არ არსებობს.

– არ არსებობს, მაგრამ რაც გითხარით, ჭეშმარიტებაა. ნებისმიერი ჭკვიანი ხელისუფლება რჩევას ითვალისწინებს, თორემ უფლება აქვს, არ გაითვალისწინოს და, ერთ დღესაც ლარი 3.63 რომ გახდება, მერე, რაღაზე ვილაპარაკოთ?

– საბოტაჟზე.

– თუ საბოტაჟია და ამას გრძნობ, რას აკეთებ? – ვინმე გამოავლინე და დასაჯე? შენი პოლიტიკური მოწინააღმდეგე, ის ბოროტი ძალა, ანუ „ნაცმოძრაობა“ რომ გაანეიტრალო, ადექვატური მოქმედება სჭირდება, რასაც ვერ ვხედავ. მაგალითად, მეგის ქარდავაზე ინტერპოლით ძებნაა გამოცხადებული და მის გადმოცემას რატომ არ ითხოვენ? – შეიძლება, ითხოვენ, მაგრამ ამას არ ახმაურებენ.

– ისე ხომ არ მოხდა, რომ კოჰაბიტაცია „ბიზნესდაკრიშვად“ იქცა?

– რა თქმა უნდა და ამას ის პიროვნებაც ხვდება, ვინც ეს ხელისუფლება მოიყვანა. ამიტომ, დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან მალე დიდი ცვლილებების მომსწრენი გავხდებით.

– სად?

– უმაღლეს სახელისუფლებო ეშელონებში.

ესაუბრა ᲕᲐᲜᲝ ᲞᲐᲕᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

(თემის გაგრძელება იქნება)

ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ „ᲛᲔᲠᲐᲜᲘ“

საქართველოს მწერალთა კავშირი, თბილისის მერიის კულტურულ ღონისძიებათა ცენტრის მხარდაჭერით, აცხადებს ახალგაზრდა მწერალთა კონკურსს „მერანი“ (17-დან 35 წლამდე) 3 ნომინაციაში: პოეზია, პროზა, თარგმანი. გაიცემა 3 მთავარი და 3 წამახალისებელი ფულადი პრემია. მასალები ფოტოსა და ავტობიოგრაფიასთან ერთად გამოაგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე: merani_merani@mail.ru

მთარგმნელმა თარგმნილ ნაწარმოებებთან ერთად გამოაგზავნოს ტექსტის ორიგინალი და ავტორის მცირე ბიოგრაფია.

მასალები მიიღება 15 აპრილამდე.

საკონტაქტო ტელეფონი: 599 38 12 74

10 | № 11 (275) | 18-24 მარტი 2015

ქართული იტალია

ლიტერატურა. ზელმეჭნეული. პოლიტიკა

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

უმრავლესობის ტრიბუნა

კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ რომ ყველაფერი რიგზე ვერ იყო, შეუიარაღებელი თვალითაც ჩანდა. ბოლოს კი, სიტუაცია ისე გამწვავდა, რომ უმრავლესობის ლიდერმა, დავით საგანელიძემ თანაგუნდელ ზაქარია ქუცნაშვილს „ცხვირის წამტვრევა“ უწინასწარმეტყველა. ამით შეურაცხყოფილმა ქუცნაშვილმა საგანელიძესთან პაექრობაზე მორატორიუმი გამოაცხადა, თუმცა კოალიციაში დაშვებულ შეცდომებზე საუბარს არ გაურბის.

„ივანიშვილს კაცური სიტყვა მივეცი, რომ ის, რაც მოხდა, ჩვენს შორის დარჩებოდა...“

ზაქარია ქუცნაშვილი: „ვერაფერს დამაცდევინებთ!“

— ბატონო ზაქრო, როგორც ვიცი, მამათქვენს იმ საბუთზე აქვს ხელი მოწერილი, რომელიც ადასტურებს, რომ საყდრისი ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლი არაა...

— მამას ხელი ძეგლის ისტორიულ მემკვიდრეობაზე არ მოუწერია. ის, როგორც გეოლოგი, მრავალპროფესიული კომისიის შემადგენლობაში მიიწვიეს, რომლის წევრები არქეოლოგები, ისტორიკოსები, გეოლოგები და ინჟინრები იყვნენ. ყველა მათგანს თავისი საექსპერტო შეკითხვა ჰქონდა, რომელიც ძეგლის ისტორიულ წარსულს კი არა, არამედ, იმას უკავშირდებოდა, გასული საუკუნის 80-იან წლებში გათხრილი გვირაბები ტურისტების მისაღებად რამდენად უსაფრთხო იყო. მამაჩემმა სწორედ ამ კუთხით იმუშავა. რაც შეეხება კომისიის წევრების ხელმოწერას, ეს ჩვეულებრივი ამბავია — იკრიბებიან ისტორიკოსები, გეოლოგები, ინჟინრები და დასკვნას დებენ.

— თქვენი აზრით, სამართლიანია, ხელისუფლებამ საყდრისზე ხელი რომ აღმართა?

— ხელისუფლება შეცდა, რადგან სასამართლო გადაწყვეტილებას არ დაელოდა!

— იმის თქმა გინდათ, რომ ხელისუფლებამ იჩქარა თუ დანაშაული გამიზნულად ჩაიდინა?

— ვფიქრობ, საქმე ნაჩქარევ გადაწყვეტილებასთან გვაქვს. აფეთქებამ მოსახლეობა საკმაოდ დაძაბა და გაანერვიულა. ის, რაც მოხდა, მართლაც, სამწუხაროა.

— ბატონო ზაქრო, როგორც ვიცი, „ქართულ ოცნებაში“ თავის დროზე ეკა ბესელიას რეკომენდაციით მოხვდით, მაგრამ მერე, მასთან უსიამოვნება მოგივიდათ და ივანიშვილის კარზე დამოუკიდებელი პოლიტიკური თამაში დაიწყეთ...

— „ქართულ ოცნებაში“ ჩემს მისვლას ეკა ბესელიასთან საერთო არაფერი ჰქონია. რაც შეეხება ჩვენს შორის დაპირისპირებას, ასეთ დეტალებზე არ ვსაუბრობ, თუმცა კოალიციაში ბევრი სხვადასხვა პოლიტიკური გუნდია და აზრთა სხვადასხვაობა მუდამ იყო და იქნება. ეს სამუშაო პროცესისთვის ნორმალურია.

— ვიცი, რომ დავით საგანელიძესთან დაკავშირებით მორატორიული გამოაცხადეთ, მაგრამ მაინც უნდა მითხრათ: ეს კაცი რას გერჩით?

— ვატყობ, ძალიან გინდათ, მაგრამ ვერაფერს დამაცდევინებთ — ამ თემაზე მორატორიუმი მაქვს გამოცხადებული. ამიტომ საგანელიძის მოქმედებებზე კომენტარს არ გავაკეთებ.

— ის მაინც მითხარით, კოალიციაში რას აშავებდა? როგორც ვიცი, მალე უმრავლესობის ლიდერი აღარ იქნება...

— სხვებს ჰკითხეთ, ისინი გიპასუხებენ... ჩემი პირობის დარღვევას არ ვაპირებ.

— კოალიციაში სიტუაციის ამრევად ზვიად ჯანყარაშვილი მიიჩნევა. მასთან მეგობრობდით, არა?

— ჯანყარაშვილს ორჯერ შევხვდი: პირველად საერთო მეგობრის ქორწილში ვნახე, მეორედ — პარტიის ოფისში. ასე რომ, ამ ორი შეხვედრით ამოიწურა ჩვენი ურთიერთობა, რასაც მეგობრობას ვერ დავარქმევ.

— თავიდან ბიძინა ივანიშვილის „ლუბიმჩიკი“ ბრძანდებოდით — თქვენს აზრს ანგარიშს უწევდა, მაგრამ დღეს ამბობენ, რომ ყოფილ პრემიერთანაც დაძაბული ურთიერთობა გაქვთ. ახალი წლის ღამეს კონფლიქტი ივანიშვილის დაცვასთან მოგსვლიათ. მართალია?

— ყველაფერი ეს ჭორია, მის დაცვასთან უთანხმოება არ მქონია, ყველაფერი ნორმალურ კალაპოტშია... ამ კუთხით სანერვიულო არაფერია!

— ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ კოალიციაში ისეთი გავლენა აღარ გაქვთ, როგორიც ადრე გქონდათ...

— მოდით, მე დაგისვამთ შეკითხვას: თქვენთვის თანამდებობა უფრო მნიშვნელოვანია თუ ავტორიტეტი?

— რა თქმა უნდა, — ავტორიტეტი!

— თქვენს აზრს ვიზიარებ.

— ისე, ბატონო ზაქრო, ყველაფერი რომ წესრიგში ყოფილიყო, ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეობას არ დატოვებდით...

— მაშინდელ პრემიერ-მინისტრს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს კაცური სიტყვა მივეცი, რომ ის, რაც 2013 წლის 16 ნოემბერს მოხდა, ჩვენს შორის დარჩებოდა. ჩვენი პირობის შემსწრე, მინიმუმ, 50 კაცია. თუ დავით საგანელიძემ ეს თემა გარეთ გამოიტანა, ჩემს და ბიძინა ივანიშვილის წინაშე პასუხისმგებელია.

— გამოდის, რომ თქვენს შორის კონფლიქტი დიდი ხნის წინ დაიწყო...

— კონფლიქტების ისტორიკოსი არ გახლავართ, პროფესიით იურისტი ვარ, მსურს, რომ ქვეყანა კანონებით, კონსტიტუციით იმართებოდეს და არა — გაუგებრობებით.

— ასეთივე პრეცედენტი გია ვოლსკისთანაც გქონდათ?

— იყო მცდელობა, რომ ჯოხი გიაზე გადატეხილიყო, მაგრამ არ გამოუვიდათ. გადაწყვეტილებების მიღება პოსტ ფაქტუმ არ შეიძლება. აი, მაგალითად, როცა ბიძინა ივანიშვილი პრემიერი იყო, გააზრებულად მოქმედებდა. ვიდრე გადაწყვეტილებას მივიღებდით, პარლამენტის წევრები ვიკრიბებოდით, ვმსჯელობდით, ვკამათობდით და მერე, გადაწყვეტილება იბადებოდა. ახლა კი, პირიქით ხდება.

> **„იყო მცდელობა, რომ ჯოხი გია ვოლსკიზე გადატეხილიყო, მაგრამ არ გამოუვიდათ. გადაწყვეტილებების მიღება პოსტ ფაქტუმ არ შეიძლება. აი, მაგალითად, როცა ბიძინა ივანიშვილი პრემიერი იყო, გააზრებულად მოქმედებდა. ვიდრე გადაწყვეტილებას მივიღებდით, პარლამენტის წევრები ვიკრიბებოდით, ვმსჯელობდით, ვკამათობდით და მერე, გადაწყვეტილება იბადებოდა. ახლა კი, პირიქით ხდება“.**

— ნინო გვენეტაძის კანდიდატურის მიმართ არსებულ დაძაბულობას გულისხმობთ?

— დიახ, ნუთუ, გასამართლებელია ის ფაქტი, რომ დეპუტატებთან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურის კრიტერიუმები არავის შეუთანხმებია? პრობლემის წყარო და სათავე ის ხალხია, რომელიც არაკორდინირებულად და შეუთანხმებლად იქცევა. როცა პარლამენტში დეპუტატები გადაწყვეტილებას განხილვის გარეშე, შეუთანხმებლად იღებენ, ეს დემოკრატია არაა!

— ნინო გვენეტაძეს 10 შეკითხვა გადაუგზავნეთ. თუ მისი პასუხები დაგაკმაყოფილებთ, მხარს დაუჭერთ?

— წინასწარ ვერაფერს გეტყვით, ნინო გვენეტაძის სასამართლო პრაქტიკაში არის ისეთი მომენტები, რომლებიც მის მიუკერძოებლობას ეჭვქვეშ აყენებს. ამიტომ, ჯერ მის პასუხებს მოვისმენ და გადაწყვეტილების შესახებ შემდგომში მოგახსენებთ.

— ისე, საზოგადოებას გვენეტაძის დანიშვნაზე მეტად სხვა პრობლემები აწუხებს, მათ შორის, „ქართული ოცნების“ შეუსრულებელი დაპირებები.

— მაინც, რომელი დაპირება გაქვთ მხედველობაში?

— ბოლო დროს უმუშევრობა კიდევ უფრო თვალშისაცემი გახდა. პენსიონერებს პირდებოდით, რომ ღირსეული ცხოვრების პირობებს შეუქმნიდით...

— ჩვენს საპროგრამო დაპირებაში წერია, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს, პენსია საარსებო მინიმუმის შესაბამისი იქნება. პენსია ჯერ 150 ლარი გავხადეთ, მალე 10 ლარი დაემატება. სხვა თემაა, რამდენად საკმარისია 160 ლარი, თუმცა 10 ლარით პენსიის ზრდა ხარჯების 84 მილიონით გაზრდას ნიშნავს, რაც ცოტა თანხა არაა.

რაც შეეხება უმუშევრობას და გაჭირვებას, ეს ჩვენი ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა, ის, ვინც ფიქრობს, რომ ამ ეკონომიკით უმუშევრობის დამარცხება შესაძლებელია, თავს იტყუებს. ამიტომ ვცდილობთ, მაქსიმალურად სამართლიანად გადავანაწილოთ ის მცირე რესურსი, რაც ჩვენს ეკონომიკას აქვს. ჩვენს გუნდს მრავალწლიანი შრომა მოგვიწევს, რომ ძლიერი ქართული ეკონომიკა შევქმნათ.

— არჩევნებამდე ხალხს ეკონომიკის გაძლიერებას, ქარხნების გახსნას, სოციალური პრობლემების მოგვარებას ჰპირდებოდით. გამოდის, რომ ეს დაპირებები ფუჭი იყო...

— ხალხს ვპირდებოდით, რომ ეკონომიკას თავისუფლებას მივცემდით და ამის საფუძველი უკვე შევქმენით, მაგრამ მშენებლობა ჯერ არაა დასრულებული, ამას დრო სჭირდება. ქართული ეკონომიკის გამოსწორებას 6-8 წელიწადში შევძლებთ და, რაც მთავარია, თუ სიღარიბეს დავამარცხებთ, ეს დიდი პროგრესი იქნება. ყველაფერ ამის გაკეთება 1-2 წელში შეუძლებელია და ეს ყველამ იცის.

მოსახლეობას ცრუ მოლოდინი არ უნდა გავუჩინოთ. 4-5 წელი არსებული მდგომარეობიდან გამოსასვლელად საკმარისი არაა, მაგრამ გარკვეულ გარდატეხას აუცილებლად შევიტანთ.

— ბატონო ზაქრო, თქვენი აზრით, კოალიციის ყველაზე დიდი შეცდომა რა არის? ოპოზიციაში რომ იყოთ, ხელისუფლებას რის გამო გააკრიტიკებდით?

— ჩვენი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ სამართლიანობის დამკვიდრების საქმეში ბევრი დრო დავკარგეთ, თუმცა მე და ჩემი რამდენიმე მეგობარი პრინციპულად ვამბობდით, რომ ამ საქმეში მოცდას გამართლება არ ჰქონდა. დასანანია ის დრო, რომელიც ამ მოცდენაში დაიკარგა. ალბათ, გახსოვთ: ფორმებს ვეძებდით, თუ როგორ უნდა აღგვედგინა სამართლიანობა, თუმცა მერე გაბატონდა აზრი, რომ ამ თემის რეგულაციისგან თავი საერთოდ შეგვეკავებინა. საზოგადოება სწორია, როცა ამ საკითხზე უკმაყოფილებას გამოთქვამს, რადგან სამართლიანობის აღდგენა ჩვენი ერთ-ერთი მთავარი დაპირება იყო...

ესაუბრა ნათია ლებანიძე

> **„ქართულ ოცნებაში“ ჩემს მისვლას ეკა ბესელიასთან საერთო არაფერი ჰქონია. რაც შეეხება ჩვენს შორის დაპირისპირებას, ასეთ დეტალებზე არ ვსაუბრობ, თუმცა კოალიციაში ბევრი სხვადასხვა პოლიტიკური გუნდია და აზრთა სხვადასხვაობა მუდამ იყო და იქნება. ეს სამუშაო პროცესისთვის ნორმალურია“.**

ᲮᲘᲠᲘᲮᲘᲡᲛᲔᲠᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

18- 24 ᲛᲐᲠᲢᲘ 2015

№ 11 (275)

11

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲤᲐᲖᲘᲡᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲗᲔᲛᲝ ᲛᲣᲠᲕᲐᲜᲘᲫᲔ: „ᲤᲝᲗᲘᲡᲒᲐᲜ ᲑᲠᲔᲜᲓᲡ ᲒᲐᲕᲐᲙᲔᲗᲔᲑᲗ!“

„ფოთისგან ბრენდს გავაკეთებთ!“ – მეუბნება ფოთის მერის მრჩეველი თემო მურვანიძე, რომელიც საზოგადოებამ „ნაციონალების“ ზეობისას გაიცნო – პარტია „საქართველოს გზის“ ჯერ სახე, შემდეგ კი, თავმჯდომარე იყო, ანუ მარტივად რომ ვთქვათ, მიშას რეჟიმს ებრძოდა... გასულ შემოდგომაზე, ტურიზმისა და ინვესტიციების საკითხებში ფოთის მერის მრჩევლად დაინიშნა, ცოტა ხანში, საკრებულომ არასამეწარმეო-არაკომერციული იურიდიული პირის, ქალაქ ფოთის ტურიზმის განვითარებისა და სოციალური კვლევის ცენტრი ჩააბარა. „ტურიზმი სხვა სპეციფიკაა, სოციალური კვლევები – სხვა. ამიტომ ცენტრი გავყავი – დღეს ორივეს დამოუკიდებელი დირექტორი ჰყავს. მე კი, ისევ ძველ ადგილს დავუბრუნდი – მერის მრჩეველი ვარ“, – მიხსნის თანამოსაუბრე და იმ საინვესტიციო პროექტებს მაცნობს, რომელთა განხორციელებაც ფოთში იგეგმება, სხვათა შორის, თემო მურვანიძის ინიციატივით, ისტორიულ ქალაქში გამოკითხვა ტარდება და თუკი მოსახლეობა თანახმა იქნება, ფოთს შესაძლოა, ისტორიული სახელი – ფაზისი დაუბრუნდეს...

– ბატონო თემო, ფოთში რა ხდება?

– რა და, – კარგი ამბები...

– შეიძლება, მაგრამ მოდით, ცუდით დავიწყოთ – ერთი ამბავია ატეხილი, ყველას და ყველაფერს მაჟორიტარი ეკა ბესელია აკონტროლებსო...

– იცით, ეს როგორი თემაა? – ყველაფერი ძალიან გადაჭარბებული და თითიდან გამოწოვილია. ფოთს მერია, საკრებულო აქვს და მაჟორიტარიც ჰყავს. ყველა თავის ფუნქციას ასრულებს...

– ესე იგი, თანამდებობებზე ხალხი ეკა ბესელიას რეკომენდაციით არ ინიშნება? მაგალითად, თქვენ...

– ეკას რეკომენდაციით არ დავნიშნულვარ.

– აბა, მერის მრჩეველი როგორ გახდით?

– მერის არჩევნების დროს, 2012 წლის დარად, „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბში ვიყავი. არჩევნების დამთავრების შემდეგ, არც მიფიქრია, რადგან ირაკლის ვეხმარებოდი...

– უკაცრავად, ღარიბაშვილზე ლაპარაკობთ?

– არა, ირაკლი კაკულიაზე...

– ვა, ფოთს თავისი ირაკლი ჰყავს?!

– (იცინის) ასე გამოდის...

– მაშასადამე, ორი ირაკლის მსახური ხართ?

– პირველ რიგში, ჩემი ქვეყნისა და ფოთის მსახური ვარ! ეს მსახურება მსიამოვნებს, რადგან კარგ რაღაცებს ვაკეთებთ! სხვათა შორის, 30-40 წელია, ქალაქში არაფერი გაკეთებულა და ხელისუფლებები ფოთს ისე უყურებდნენ, როგორც – კონტეინერების საწყობს. არადა, ამ ქალაქს ძალიან დიდი პოტენციალი აქვს.

– გეთანხმებით – ფოთი ხომ ევროპაში ჩვენი ფანჯარაა!

– დიახ, კარიბჭეა... ფოთის ისტორია ფაზისიდან იწყება. ისე, ჩემი ერთ-ერთი ინიციატივაა, რომ ქალაქს ძველი სახელი დაუბრუნდეს. ამის შესახებ საკრებულოს წევრებს ველაპარაკე. აღმოჩნდა, რომ ეს იდეა ირაკლი კაკულიასაც აქვს, მაგრამ ფოთს სახელს მოსახლეობასთან შეუთანხმებლად არ გადავარქმევთ. ამიტომ, გამოკითხვას ვატარებთ, რომლის შედეგიც მარტის ბოლოს გვეცოდინება.

– მგონი, ურიგო, მართლაც, არ იქნება, ფოთს ფაზისი რომ დაერქვას, მაგრამ წარმოგიდგენიათ, ამის გამო „ნაციონალები“ რა დღეში გაგატარებენ!

– ქარტეხილების არ გვეშინია. რაც მეტი სიძნელეა, ცხოვრება მით უფრო საინტერესოა...

– როგორც ვხვდები, ფოთში სამართლიანობის აღდგენა ქალაქისთვის ისტორიული სახელის აღდგენით იწყება, არა?

– არა. ფოთში სამართლიანობის აღდგენა ძალიან ბევრი პროექტის „ატვირთვით“ დაიწყო.

– „პროექტის ატვირთვა“ რამე ახალი ტერმინია და ცხოვრებას ჩამოვრჩი?

– (იღიმება) აგიხსნით: ფოთს საკანალიზაციო სისტემა საბჭოთა დროსაც არ ჰქონდა. წელს, სამწლიანი გერმანული პროექტი დავიწეთ, რომელზეც 150 მილიონი დაიხარჯება და ყველა სახლი ცენტრალურ საკანალიზაციო სისტემას მიუერთდება, რაც იმას ნიშნავს, რომ წვიმის დროს ქალაქს ნიაღვარი აღარ წაიღებს. ასევე, დაწყებულია წყალმომარაგების გაუმჯობესების პროექტი და წლის ბოლოს ფოთს 24-საათიანი წყალმომარაგება ექნება.

– ეს პროექტები მიშასდროინდელია?

– არა, ჩვენ დავიწყეთ.

– ვინ „თქვენ“?

– მერის არჩევნებში „ქართული ოცნების“ კანდიდატმა, ირაკლი კაკულიამ გაიმარჯვა, თუმცა ყველაფერ ამაში მთელი მუნიციპალიტეტია ჩართული, იგივე საკრებულო, სადაც „პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენლებიც არიან, ბურჯანაძის პარტიისაც და, ჩემდა გასაკვირად, – „ნაციონალებიც“...

წლის ბოლომდე გაზის თემაც დამთავრდება.

ᲡᲐᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲪᲘᲝ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘ, ᲠᲝᲚᲔᲑᲘᲪ ᲤᲝᲗᲡ ᲒᲐᲛᲝᲐᲪᲝᲪᲮᲚᲔᲑᲔᲜ

– აქამდე ფოთს ბუნებრივი აირი არ მიეწოდებოდა?

– ცენტრალური მაგისტრალი არსებობდა, მაგრამ გაზი მოსახლეობის ნაწილს მიეწოდებოდა. ეს ისეთი გაზიფიცირება არ იქნება, მიშამ გაზი ე.წ. ბალონით რომ აანთო და გაიძახოდა, ფოთში გაზი შევიყვანეო. სხვათა შორის, ზუსტად ვიცი, მაშინ ბალონი ვისაც მოატანინეს...

მოკლედ, ჩვენ ყველაფერს ფასადურ-პიარულად კი არა, რეალურად ვაკეთებთ!..

ამას წინათ, სასტუმრო და ტურისტული ბიზნესით დაკავებული აზერბაიჯანული კომპანიის წარმომადგენლები გვესტუმრნენ, ბაქოშიც დაგვპატიჟეს ბიზნესფორუმზე. აზერბაიჯანელებს კონკრეტული პროექტი აქვთ, რომლის ერთობლივ პრეზენტაციასაც აპრილის დასაწყისში გავმართავთ.

ფოთის მიმართ ინტერესი თურქ ბიზნესმენებსაც აქვთ და დღე-დღეზე ორი ახალი, მაღალი დონის სასტუმროს მშენებლობა დაიწყება. ერთი სასტუმრო 80-ადგილიანი იქნება, მეორე – ასი. ასეთი სასტუმრო ფოთში არასოდეს ყოფილა. მესამე სასტუმროსთან დაკავშირებით კი, მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

– ფოთში აქამდე სასტუმრო არ არსებობდა?

– არსებობდა, მაგრამ ძალიან დაბალი დონის – შეიძლება, გაგიკვირდეთ, მაგრამ ფოთში თანამედროვე საკონფერენციო დარბაზი არ არის.

ისიც მნიშვნელოვანია, რომ მას შემდეგ, რაც თვითმმართველობაში ახალი გუნდი მოვიდა, ფოთში პირველი ადგილობრივი სამშენებლო ინვესტიციაც განხორციელდა – კერძო სახლი შენდება.

– ვერ გავიგე, რას მეუბნებით...

– კერძო კომპანიამ ფოთში ინვესტიცია ჩადო...

– „ნაციონალები“ ტკვარცალებენ, „ოცნებამ“ ინვესტორებს სულ კუდით ქვა ასროლინაო. ჰოდა, თემო ბატონო, თუკი ფოთში საინვესტიციო ცხოვრება დუღს, რატომ არაფერს ამბობთ?

– აი, ახლა გეუბნებით.

– და აქამდე რატომ დუმდით? „ნაციონალების“ კრიტიკის ხომ არ გეშინიათ?

– (ისევ იღიმება) ამ ქვეყნად მხოლოდ სტომატოლოგის მეშინია!.. რაც შეეხება პიარს, ადგილობრივი მედიით ყველაფერი შუქდება.

– ...რა ამის პასუხია და, პარტიის თავმჯდომარეობა ჩინოვნიკობაზე გაცვალეთ...

– ჩინოვნიკი არ ვარ!

– მერს რჩევებს აძლევთ და ეს ჩინოვნიკობა არაა?

– დიახ, მრჩეველი ვარ, მაგრამ საჯარო მოხელედ არ ვითვლები – ხელშეკრულებით ვმუშაობ!

– ძალიან ადრე, ერთი თანამდებობის პირის მრჩეველი მეც ვიყავი და მახსოვს, სახელისუფლებო კონიუნქტურის დამორჩილება მევალებოდა!

– სახელისუფლო კონიუნქტურას იმ ფუნქციებითა და მოვალეობებით ვემორჩილები, რაც მერის მრჩეველს აკისრია. საერთოდ, თავისუფლებას ძალიან ვაფასებ!

– „საქართველოს გზა“ რატომ დატოვეთ?

– ეს სხვა თემაა, რომელზეც ჯობია, სხვა დროს ვილაპარაკოთ, თუმცა განსაკუთრებული არაფერია, რაც სხვა პარტიებში არ ხდება, მათ წარმატებებს ვუსურვებ...

– გასაგებია... უნდა მეკითხა და დამავიწყდა: ფოთი არცთუ დიდი ქალაქია და ამდენი სასტუმრო რა საჭიროა?

– ამ შეკითხვას ველოდი... დარწმუნებული ვარ, რომ კიდევ ძალიან ბევრი სასტუმროს აშენება მოგვიწევს, რადგან ფოთში უამრავი საქმიანი ადამიანი, ბიზნესმენი და ტურისტი ჩამოვა.

– ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, მაგრამ არ გაგიგიათ, რომ 2012 წლიდან მოყოლებული, ტურისტების რაოდენობა კატასტროფულად შემცირდა?

– ჩვენ ჩვენი გეგმა და მონახაზი გვაქვს.

– ასეთი რა გეგმაა?

– არ მინდა, საქართველოს სხვა ტურისტული ცენტრები დავაკნინო, მაგრამ ფოთის განლაგება – ზღვა, ტბა და ორი მდინარე გვაქვს, სამონადირეო, სათევზაო და სპორტული ტურიზმის განვითარების არნახულ შესაძლებლობას იძლევა. სწორედ ამ თემაზე, ამ დღეებში ბულგარეთში მივემგზავრები: ბულგარეთის ორი ქალაქი – ბურასი და ვარნა ფოთთანაა დაძმობილებული...

– მაპატიეთ, ეს ვიზიტი „ქამრების შემოჭერის“ პოლიტიკაში ჯდება?

– ამ ვიზიტზე სულ 1200 ლარი დაიხარჯება, მაგრამ სპორტულ ტურიზმს ძალიან დიდი პერსპექტივა აქვს. ბულგარეთში დიდი სპორტული ბაზაა და გვინდა, ფოთშიც ანალოგიური გავაკეთოთ – ნებისმიერ ქვეყანას შეეძლება, ამ ბაზაზე თავის კალათბურთის, ფეხბურთისა და სპორტის სხვა სახეობის გუნდებს წვრთნები ჩაუტაროს. სხვათა შორის, საბჭოთა კავშირის დროს ფოთი ამ კუთხით ძალიან აქტიური ქალაქი იყო...

– ნავთობის მხრივ რა ხდება? ისე, მეგონა, რამეს „როსნეფტზეც“ მეტყოდით...

– „როსნეფტზე“ რა უნდა გითხრათ? მეც იგივე ვიცი, რაც – თქვენ.

– ფოთში რუსები უკვე გამოჩნდნენ?

– ფოთში დანიელები არიან – პორტის საკონტროლო პაკეტი, ანუ 51 პროცენტი „მაერსკის“ საკუთრებაა, რომელიც მულტინაციონალური დანიური კომპანიაა და, მგონი, ნახევარი მსოფლიოს პორტებს ფლობს...

– ფოთის მოსახლეობა რამდენია?

– 41 ათასამდე...

– სასტუმროებისა და სპორტკომპლექსის მშენებლობა კარგია, მაგრამ ამით ფოთელები რას იხეირებენ?

– კარგი შეკითხვაა: ქალაქში ორი საცურაო კომპლექსი აშენდება, საიდანაც ერთი მუნიციპალური იქნება და ყველას, ვინც ფოთშია ჩაწერილი, უფასოდ მოემსახურება...

– ბატონო თემურ, კარგად გამიგეთ და, ხალხი სპორტულ კომპლექსს ხომ არ შეჭამს?

– ესე იგი, დასაქმების პრობლემამდე მივედით...

– დიახ...

– ამაზეც გიპასუხებთ: მსოფლიოში არ არსებობს მთავრობა, რომელიც ყველა პრობლემას ხელის ერთი მოსმით მოაგვარებს და ყველას დაასაქმებს, მაგრამ წლის ბოლოს, ერთ-ერთი უცხოური, კერძოდ, უკრაინულ-არაბული კომპანია, ფოთის სამრეწველო ზონაში ნავთობგადამამუშავებელ ქარხანას გახსნის – არაბეთიდან შემოტანილი ნავთობი ფოთში გადამუშავდება და ევროპაში გავა. დიზელის საწვავის 20 პროცენტი კი, ქალაქს უსასყიდლოდ დარჩება

– ეს იდეაა თუ ქარხნის გახსნა უკვე გადაწყვეტილია?

– კომპანიამ ცენტრალურ ხელისუფლებასთან ყველა პროცედურა გაიარა, ამის შემდეგ, კანონის მოთხოვნის შესაბამისად, პროექტს ადგილობრივი ხელისუფლებაც გაეცნო. ჩვენი მთავარი მოთხოვნაა, რომ ქარხანამ ეკოლოგიური სტანდარტები დაიცვას. კომპანიამ ამ კუთხით ყველა დოკუმენტაცია წარმოადგინა და მშენებლობაზე თანხმობა მივეცით...

– ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში ფოთელები დასაქმდებიან?

– ხელშეკრულებით, კომპანია ვალდებულია, რომ 700 ადგილობრივი დაასაქმოს. სხვათა შორის, ქარხნის პარალელურად, მუშახელისთვის საცხოვრებელი სახლებიც აშენდება, რაც, მშენებლობის დასრულების შემდეგ, ქალაქს უსასყიდლოდ გადმოეცემა.

– ვინაიდან უკრაინულ-არაბული კომპანია გადამუშავებული ნავთობის 20 პროცენტს ქალაქს უსასყიდლოდ დაუტოვებს, ესე იგი, ფოთში საწვავი გაიაფდება?

– დიზელის საწვავი მუნიციპალიტეტის საჭიროებებზე დაიხარჯება.

– ანუ, ჩინოსანთა ავტომობილებზე?

– არა – დიზელზე ერთი მუნიციპალური მანქანაც არ მუშაობს.

– დიზელზე გადაყვანა რა პრობლემაა...

– არავითარ შემთხვევაში. დიზელის ზემოხსენებულ რაოდენობას სკოლები და ბაგა-ბაღები გამოიყენებენ...

– ფოთის მარადიული პრობლემა, როგორც ვიცი, კოღოს სიმრავლეა. ახლა, არ მითხრათ, რომ „ოცნება“ კოღოს განადგურებაზეც მუშაობს...

– ამ თემაზე ორი წელია, ჰოლანდიურ კომპანიასთან ვმუშაობთ, რომელსაც ამ კუთხით დიდი გამოცდილება აქვს – ტერიტორიის სპეციალური ხსნარით შეწამვლის შემდეგ, 8-დან 12 წლამდე პერიოდში, კოღო მასიური აღარ იქნება. ასე რომ, კოღოსაც გავუმკლავდებით!

– მაშასადამე, მარწმუნებთ, რომ ფოთისთვის „ოცნების“ მეოთხე სახელისუფლებო წელი საუკეთესო იქნება?

– ნამდვილად! იმ პროექტების ნაწილი, რომელზეც გელაპარაკეთ, ან უკვე ატვირთულია, ან ტენდერზე ახლა იტვირთება. ზოგ პროექტს კი, უკვე გამარჯვებულიც ჰყავს.

– ტენდერები ფოთშიც „ჩაწყობებით“ ტარდება?

– ეს ელექტრონული ტენდერებია და არ ვიცით, ვინ გაიმარჯვებს და ვინ – ვერა.

– რა ამის პასუხია და, ზემოდან გავალებენ, რომ პრემიერის „ფეისბუქგვერდის“ სიახლეები აუცილებლად მოიწონოთ?

– არა, მაგრამ პრემიერის მუშაობა მომწონს და, მიუხედავად იმისა, რომ საჯარო მოხელე არ ვარ, „ოცნებას“ ვგულშემატკივრობ!

– ოცნებობთ?

– ბევრი ნატვრა მაქვს... მინდა, რომ საქართველო განვითარებული დემოკრატიის ქვეყანა იყოს და ამ გზას მყარი ნაბიჯებით მივყვებით!

ისე, ოცნება იქით იყოს და, ურიგო არ იქნება, თუკი ცენტრალური თუ რეგიონალური ხელისუფლება თემო მურვანიძის მსგავსი კადრებით დაკომპლექტდება.

ᲕᲐᲜᲝ ᲞᲐᲕᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

12 № 11 (275) 18-24 მარტი 2015

ქართული იერსახე

ლიტერატურა. ენციკლოპედია. პოლიტიკა

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

ოპოზიციის ტრიბუნა

„ეს სუს-ის მიერ შექმნილი ჯგუფია, აგენტურა!“

დაკავების მიუხედავად, კახა კუკავასა და ირაკლი ღლონტის პოლიტიკური დუეტი გაჩერებას არ აპირებს და აცხადებს, რომ ხელისუფლების გამოსაფხიზლებლად საპროტესტო აქციებს გააგრძელებს. ამასთან, „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერის, კახა კუკავას თქმით, მალე საზოგადოებასა და პარლამენტს ლუსტრაციის კანონპროექტს წარუდგენს. შეკითხვაზე, კანონის მიღების შემთხვევაში, თავისივე დაგებულ მახეში ხომ არ გაებმება, კუკავა „ქართულ სიტყვას“ ასე პასუხობს: „სამართალდამცავი სტრუქტურები და უშიშროების სამსახურები „ქართული ოცნების“ ხელშია, გამოიძიოს და დაადგინოს, პუტინის აგენტი ვარ თუ არა და ჩემი პარტია რუსეთიდან დაფინანსებას იღებდა თუ არა“.

„საქართველოში პოლიტიკური პარტიების წარმატებას ფული და სპეცსამსახურები განსაზღვრავენ!“ — კახა კუკავა „მიშისტობას“ უარყოფს

— ბატონო კახა, ხანმოკლე პატიმრობიდან სასამართლომ გაგათავისუფლათ?

— პროცესი არ ყოფილა, — გადაიდო

— თქვენი დაკავება დაგეგმილი პროვოკაცია იყო თუ შემთხვევითობა?

— შემთხვევითობა, მაგრამ ჩვენს წინააღმდეგ არალეგალურ აგენტურულ არასამთავრობო ორგანიზაციებს აქეზებენ, რაც ავტომატურად იმას ნიშნავს, რომ მსგავსი პროვოკაციები კიდევ მოხდება. არ შეიძლება, სუს-მა და ამ ქვეყნის სპეცსამსახურებმა შექმნან და დააფინანსონ ორგანიზაცია, რომლის ერთადერთი ფუნქციაც პოლიტიკური ოპონენტების გინება და შეურაცხყოფაა.

— ეს არასამთავრობოები აცხადებენ, რომ არავისგან ფინანსდებიან...

— როგორ არ ფინანსდებიან?! ყოველთვე მხოლოდ 10 ათასი ლარის ჯარიმებს იხდიან. ქალაქის ცენტრში ფეშენებელური ოფისიც აქვთ...

— ამას წინათ, თქვით, მემუქრებიანო...

— მუქარის ზარებიც არის, სოციალურ ქსელში შეტყობინებებიც. ვიღაცები ხელისუფლების სახელითაც მოდიან და გაფრთხილებებს გვაძლევენ. იგივე პრაქტიკა გრძელდება, რაც წინა ხელისუფლების დროს იყო.

— ლადო სადღობელაშვილი და მისი „თავისუფალი თაობა“, როგორც წესი, „ნაცმოძრაობას“ უპირისპირდებიან. თქვენგან რაღა უნდათ, ბატონო კახა?

— ის მხოლოდ „ნაცმოძრაობას“ არ უპირისპირდება. ეს სუს-ის მიერ შექმნილი ჯგუფია, სპეცსამსახურების აგენტურა. თუ წინა ხელისუფლების დროს სადღობელაშვილის საქმიანობას გადახედავთ, უპირისპირდებოდა ბიძინა ივანიშვილს და ეს იმიტომ, რომ მაშინ სპეცსამსახურები მაშინდელი ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლას უკვეთავდნენ. ამ ხალხისთვის მნიშვნელობა არ აქვს, ვის უპირისპირდება, მთავარია, დამფუძნებელი ორგანო არ შეარცხვინოს.

— ბატონო კახა, საპროტესტო აქცია მაინცდამაინც ბიძინა ივანიშვილის რეზიდენციასთან რატომ გამართეთ და არა — მთავრობის კანცელარიასთან? თუ „შემოლაწუნებაზე“ ვლაპარაკობთ, „შემოლაწუნება“, პირველ რიგში, მთავრობას უნდა...

— თავს ნუ ვიტყუებთ — ამ ქვეყნის მმართველი ბიძინა ივანიშვილია, მთავრობასაც ნიშნავს და გადაწყვეტილებებსაც იღებს. თუ რეალური ცვლილებები გვინდა, ამაზე პასუხისმგებელიც ივანიშვილია.

მთავრობის წევრები, რა თქმა უნდა, ცალკეულ მიმართულებაზე არიან პასუხისმგებელნი. ამიტომ აქციების ფინანსთა სამინისტროსა და სხვა უწყებებთანაც ვგეგმავთ, მაგრამ ცენტრალური ფიგურა ბიძინა ივანიშვილია. ამასთან დაკავშირებით ბევრი დემაგოგია გამოითქმევა, ჩვენი მომხრეები თუ ოპონენტები ამ საკითხს ყველა მხრიდან ატრიალებენ, მაგრამ ერთმა ჩვეულებრივმა ქართველმა, რომელიც პოლიტიკისგან არც ძალიან ახლოსაა და არც — ძალიან შორს, კარგად იცის, რომ ამ ქვეყნის რეალური მმართველი სწორედ ბიძინა ივანიშვილია.

საქართველოში ისეთი ვითარებაა, საიდანაც ადვილად გამოსვლა შეუძლებელია. ეს ვითარება მხოლოდ ამ ხელისუფლებას არ შეუქმნია — 1992 წლიდან მოყოლებული, სამხედრო გადატრიალების შემდეგ, ასეთი სიტუაციაა: მთელი პოლიტიკური სპექტრი კორუმპირებულია, სპეცსამსახურების კონტროლს ექვემდებარება და თუ ვინმე, ჩვენსავით, „თეთრი ყვავივით“ შეეცდება, რომ ამ სპექტრში გარედან შევიდეს, მის წინააღმდეგ ძალიან მძაფრი მოქმედებები იწყება.

— თქვენს წინააღმდეგ რა მოქმედებები დაიწყო?

— უნდა გესმოდეთ, რომ საქართველოში „ოცნებისა“ და „ნაციონალების“ მონოპოლიაა. მათ შორის ვითომ კონკურენცია მიდის, მაგრამ ეს აბსოლუტურად მოჩვენებითი დაპირისპირებაა. სინამდვილეში, ისინი ცდილობენ, პოლიტიკური ასპარეზი და ამომრჩეველი თავიდან ბოლომდე გაიყონ. ამიტომაც ცალკე აღებული „ოცნების“ და ცალკე აღებული „ნაციონალების“ წინააღმდეგ ბრძოლა აბსოლუტურად უშედეგოა და სწორედ ისეთ შედეგს მოიტანს, რაც 2003 და 2012 წლების ვითომ ცვლილებებმა მოიტანეს. მიგვაჩნია, რომ მთლიანად ის სისტემა უნდა დაინგრეს, როცა პოლიტიკური პარტიების წარმატებას სპეცსამსახურები და ფული განსაზღვრავენ!

სხვათა შორის, მედიამ პარტიების შემოწირულობების სია გამოაქვეყნა, რომლის თანახმადაც, 2014 წელს, „ქართულმა ოცნებამ“ 6 მილიონი ლარი მიიღო, „ნაცმოძრაობამ“ — მილიონზე მეტი, „თავისუფალმა საქართველომ“ კი, — 36 ლარი. თუ რესურსებს სხვა მიმართულებითაც გადავხედავთ, იგივე თანაფარდობაა. არადა, სიმართლე ჩვენს მხარესაა.

— ისე, ამბობენ, კახა კუკავა „ნაციონალებს“ გაურიგდაო...

— ძალიან მარტივად გიპასუხებთ: ეს სწორედ იმ სქემის ნაწილია, როცა ვამბობ, თუ რატომაა „ოცნება“ და „ნაციონალები“ ერთი და იგივე. როცა „ნაცმოძრაობის“ წინააღმდეგ გამოვდიოდით, მაშინ ხელისუფლება ავტომატურად რუსეთთან კავშირში გვადანაშაულებდა და პუტინისტებს გვეძახდა, პუტინმა დაგავალათ, პუტინი გაფინანსებთო, ანუ უნდოდა, რომ ტოლობის ნიშანი დაესვა. არადა ეს ავტორიტარიზმის მთავარი ნიშანია: თუ მისი წინააღმდეგი ხარ, ესე იგი, პუტინის მომხრე ხარ. დღესაც, ზუსტად იმის გამო, რომ ხელისუფლებაში იდენტური ძალაა, ტოლობის ნიშნის დასმა უნდა — თუკი არ მოგწონთ ბიძინა ივანიშვილი, ავტომატურად უნდა ჩაგთვალონ, რომ ხარ სააკაშვილის მომხრე, ანუ თუ იტყვი, რომ ბენზინზე ფასი მაღალია და მედიკამენტების მაფიიის უკან სახელისუფლებო, საპარლამენტო ჯგუფები დგანანო, ესე იგი, მიშისტი ხარ.

თუ ლოკალურად გაინტერესებთ, ნახეთ მიტინგის რეზოლუცია, რომლის პირველი პუნქტიც იმის მოთხოვნაა, რომ შეწყდეს „ნაცმოძრაობასთან“ თანამშრომლობა და უმკაცრესად დაისაჯონ 7 ნოემბრისა თუ 26 მაისის დამნაშავეები. ახლა, თავად განსაჯეთ, ვართ თუ არა „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერები.

— „რეფორმატორებთან“ დამეგობრებას როგორღა ახსნით? ირაკლი ღლონტსა და მის პარტიას „ნაციონალების“ სატელიტ ძალად თვლიან...

— „ნაცმოძრაობის“ მმართველობის დროს, ირაკლი ღლონტი ეკონომიკის სამინისტროში სამმართველოს უფროსი იყო, რაც მისი კარიერული პიკი გახლდათ. თუ ჩვენ ვამბობთ, რომ ნახევარი მილიონი ადამიანი, რომელიც „ნაცმოძრაობასთან“ რაღაც ფორმით თანამშრომლობდა, უნდა მოვიკვეთოთ, ამის წინააღმდეგი არ ვარ — კი ბატონო, დავამკვიდროთ ასეთი სტანდარტები, მაგრამ სტანდარტი უნდა იყოს ერთიანი და არა — ორმაგი. მათ, ვინც გვეუბნება, ეკონომიკის სამინისტროს ყოფილი დაბალი რანგის ჩინოვნიკთან რატომ თანამშრომლობთო, შევახსენებ, რომ „ქართულ ოცნებაში“ „ნაცმოძრაობიდან“ თხუთმეტამდე დეპუტატია — შავლოხაშვილი, ბუკია, ენუქიძე, ლიპარტელიანი, ოქრიაშვილი და სხვები, თან ისინი რიგითი „ნაციონალები“ კი არა, ნამდვილი განგსტერები და მონოპოლისტები იყვნენ, რომლებიც სააკაშვილის ჩრდილოვან ეკონომიკას წარმართავდნენ და მის შავ საღაროში მილიონობით ლარი შეჰქონდათ. დღეს ქვეყნის მთავარი პროკურორი კეზერაშვილის ყოფილი მოადგილეა. იური ვაზაგაშვილის მკვლელობით დადასტურდა ფაქტები, რომლებიც ისედაც ყველამ იცოდა — ყველა „ზონდერი“ და 26 მაისისა და 7 ნოემბრის აქციების დამრბევი ძალოვან სტრუქტურებში, დღესაც უმაღლეს პოსტებზე რჩება და ეს ხალხი გვეუბნება, რომ ეკონომიკის სამინისტროს დაბალი რანგის ჩინოვნიკს ხმის ამოღების უფლება არ აქვს?

სხვათა შორის, უახლოეს პერიოდში, საზოგადოებასა და პარლამენტს ლუსტრაციის კანონპროექტს შევთავაზებთ. ერთიან პრინციპზე უნდა შევთანხმდეთ, როგორც ეს პოსტკომუნისტურ და პოსტფაშისტურ ქვეყნებში მოხდა, რა რანგის ჩინოვნიკებს უნდა აეკრძალოს საჯარო პოლიტიკაში მონაწილეობა.

— ლუსტრაციის კანონის მიღების შემთხვევაში, არ გეშინიათ, რომ რუსეთის სპეცსამსახურებსა და ხელისუფლებასთან თანამშრომლობა დაგიმტკიცდეთ?

— ჩემს წინააღმდეგ ეს ისტერიკა მახსოვს, მაგრამ ხალხი, ვინც ცოტა ხნის წინ გვადანაშაულებდა, რომ რუსეთი გვაფინანსებდა, ახლა სააკაშვილთან თანამშრომლობას გვაბრალებს. ხვდებით, რომ ერთი მეორეს გამორიცხავს. აქედან გამომდინარე, ეს ჩვეულებრივი შავი პიარკამპანია სწორედ იმისთვისაა აგორებული, რომ მტრის ხატი შექმნან. საერთოდ ავტორიტარული რეჟიმები თავიანთი პოზიტიური სახისა და მესიჯების გაპიარებაზე კი არა, მტრის ხატის შექმნაზე არიან ორიენტირებულნი. გადახედეთ, ყველა ავტორიტარული ქვეყნის პიარი ასეთია: გვყავს კეთილი მეფე, რომელიც გარშემორტყმულია საგარეო და საშინაო მტრებით, ამიტომ ყველა, ვინც მის წინააღმდეგ ხმას ამოიღებს, მტერთან შეკრულიაო. მტრის სახე რაც შეიძლება, შემზარავი უნდა იყოს. სააკაშვილის შემთხვევაში, მტერი პუტინი იყო, ივანიშვილის შემთხვევაში კი, — სააკაშვილია. ეს სქემა ბოლშევიკური და ავტორიტარული რეჟიმებისთვისაა დამახასიათებელი.

— ესე იგი, რუსეთის აგენტი არ ხართ და რუსეთიდან არც დაფინანსებას ღებულობდით?

— მაგათ ხელშია სპეცსამსახურები, მაგათ ხელშია პოლიცია და გამოიძიონ. ჯერჯერობით, ის ვნახე, რომ „ქართულ ოცნებას“ შემომწირველები ჰყავს რუსეთის მოქალაქეები. ჩვენი პარტიის დაფინანსება 36 ლარია და, ნუთუ, ვინმესთვის ეს 36 ლარი ასე ძალიან საინტერესოა?

— ბატონო კახა, ზემოხსენებულ აქციაზე ფოტოჟურნალისტ ირაკლი გედენიძეს, რომელიც თავის საქმეს აკეთებდა, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს...

— ეს პროვოკაცია „თავისუფალი საქართველოს“ წინააღმდეგ იყო მიმართული. პროვოკაცია რომ მზადდებოდა, ამას სამოოთხი დღით ადრე ვგრძნობდით და ინფორმაციებიც მოდიოდა, თუმცა რა ფორმით მოხდებოდა პროვოკაცია, ზუსტად არ ვიცოდით და ამიტომ აღკვეთა ვერ შევძელით. ამის გამო საზოგადოებას, რა თქმა უნდა, ბოდიში მოვუხადეთ, თუმცა ამ პროვოკაციის ორგანიზატორები „ქართული ოცნებისა“ და უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელობაში არიან. როცა ძველი რომაელები დანაშაულის გამოძიებას იწყებდნენ, პირველი შეკითხვა ასეთი იყო: ვის აწყობდა? დანარჩენი თავად განსაჯეთ.

— ისე, ადგილობრივი არჩევნების შემდეგ პოლიტიკიდან წასვლას აპირებდით. რატომ გადაიფიქრეთ?

— ესეც პიარკამპანიის ნაწილია. ექსკლუზიურად, „ქართულ სიტყვას“ ვთხოვ, იპოვოს ჩემი განცხადება, სადაც ეს ვთქვი. გადაამოწმეთ და დარწმუნდებით, რომ ასეთი ფრაზა არასდროს მითქვამს.

„ხალხი, ვინც ცოტა ხნის წინ გვადანაშაულებდა, რომ რუსეთი გვაფინანსებდა, ახლა სააკაშვილთან თანამშრომლობას გვაბრალებს. ხვდებით, რომ ერთი მეორეს გამორიცხავს. აქედან გამომდინარე, ეს ჩვეულებრივი შავი პიარკამპანია სწორედ იმისთვისაა აგორებული, რომ მტრის ხატი შექმნან. საერთოდ ავტორიტარული რეჟიმები ორიენტირებული თავიანთი პოზიტიური სახისა და მესიჯების გაპიარებაზე კი არა, მტრის ხატის შექმნაზე არიან ორიენტირებულნი. სააკაშვილის შემთხვევაში, მტერი პუტინი იყო, ივანიშვილის შემთხვევაში კი, — სააკაშვილია. ეს სქემა ბოლშევიკური და ავტორიტარული რეჟიმებისათვისაა დამახასიათებელი“.

ესაუბრა ნათია ვერძეული

სკანდალური აღიარება: „საქმეები უნდა გამეყალბებინა – ალასანიასდროინდელი ტენდერები ამომექექა...“

ვახტანგ მაისაია: „ამ მთავრობის იმედი არ მაქვს!“

ვერსიას, რომ რუსეთში კლანებს შორის დაპირისპირებაა და პუტინიც სწორედ ამის დასალაგებლად „დაიკარგა“, ექსპერტი ვახტანგ მაისაია რეალურად მიიჩნევს და ამბობს, რომ საქართველოსთვის ყველაზე სახიფათო კრემლის მიერ ბოლო დღეებში გადადგმული ნაბიჯია – რუსეთი ჩვეულებრივი შეიარაღების მონიტორინგის ჯგუფიდან გამოვიდა, რაც აფხაზეთთან დადებული თანამშრომლობის ხელშეკრულების ამოქმედებას ძალიან საეჭვოდ დაემთხვა. როგორც ვახტანგ მაისაია „ქართულ სიტყვასთან“ საუბრისას აცხადებს, გამორიცხული არაა, რომ რუსეთმა აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში დამრტყმელი შეიარაღება განათავსოს, რაც საფრთხეს მხოლოდ საქართველოს კი არა, მეზობელ ქვეყნებსაც შეუქმნის, თუმცა ყველაფერ ამაზე, როგორც ვახტანგ მაისაია ამბობს, „არაკომპეტენტური, უთავბოლო და დილეტანტი“ საგარეო და თავდაცვის უწყებები დუმან.

– ბატონო ვახტანგ, მოდით, საუბარი თავდაცვის სამინისტროთი დავიწყოთ...

– სპეცსამსახურის თანამშრომლები თავდაცვის სამინისტროს სათავეში მხოლოდ ავტორიტარულ ქვეყნებში უდგებიან. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ყველა რგოლში ჩეკისტები მოვიდნენ – მინდია ჯანელიძე კონტრდაზვერვის დეპარტამენტის შეფი იყო, ლევან ღირსიაშვილი საგარეო დაზვერვის კადრია, გოჩა რატიანიც საგარეო დაზვერვის მაღალჩინოსანია. ისინი ეროვნული უსაფრთხოების საბჭოშიც მუშაობდნენ, რომელიც კოორდინაციას სპეცსამსახურებს უწევს, ანუ შეიძლება ვთქვათ, რომ ახალი ტიპის სპეცსამსახურია, მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც უშიშროების საბჭოსთან დაკავშირებით კანონში ცვლილებები შეიტანეს – ეს სტრუქტურა, პრაქტიკულად, მოიშალა იმიტომ, რომ ყველა ფუნქცია იმ ახლადშექმნილ უწყებას გადაეცა, რომელიც პრეზიდენტს კი არა, მთავრობას ექვემდებარება.

– ეს, თქვენი აზრით, სწორი გადაწყვეტილებაა?

– ეს კონსტიტუციისადმი უპატივცემულობის გამოვლენაა, რომელიც წინა ხელისუფლების დროს დაიწყო. მეტიც, ყველაფერი რუსული პროექტის კალკია, რომლის განხორციელებაც სააკაშვილმა იმ მიზნით დაიწყო, რომ კანონი თავის პოლიტიკურ სხეულზე მოერგო და საქართველოში პუტინიზაცია გაეგრძელებინა, ანუ რაღაც დროის შემდეგ, ჯერ პრემიერად დაბრუნებულიყო, მერე – პრეზიდენტად. სააკაშვილის კანონები ახალმა ხელისუფლებამაც მოირგო და ავტორიტარული რეჟიმის მიერ დატოვებული სისტემის რეფორმირება არ განახორციელა. ეს საკითხი აქტუალური მას შემდეგ გახდა, რაც პერეზიდენტისა და მთავრობის ურთიერთობა დაიძაბა. საერთოდ, ქვეყანაში სხვა ტოტალიტარული სახელმწიფოს კალკის გადმოტანა შეცდომაა. ყველა ის პროცესი, რაც დღეს ქვეყანაში მიდის – პოლიტიკური მართვის ქაოსი, ღარის დევალვაცია და გაუსაძლისი სოციალური ფონი, სწორედ ამის შედეგია. ჩვენ წესიერად გამართული პოლიტიკური სისტემა კი არა, რუსული მოდელის პოლიტიკური ვერტიკალი გვაქვს!

– სააკაშვილმა რუსული მოდელი რატომ „გადმოაკატავა“?

– რატომ და, სააკაშვილმა, როგორც ჭეშმარიტმა ავტოკრატმა, იმ მოდელის მომგებიანობა, რაც დიადმა მასწავლებელმა, პუტინმა ააწყო, დაინახა. ორივე ავტორიტარია. გავიხსენოთ სინგაპური, რომელიც სააკაშვილის დროს ძალიან აქტუალური იყო. იცით, რომ სინგაპური ავტორიტარული ტიპის სახელმწიფოდ ითვლება? – სინგაპურში საბჭოთა პოლიტბიუროს მოდელია დანერგილი.

– ეს მოდელი ახალ ხელისუფლებასაც აწყობს?

– ეს იმ ჯგუფს აწყობს, რომელიც ქვეყნის სათავეშია, თორემ არ მგონია, ივანიშვილს მოსწონდეს – როცა ის პრემიერი იყო, სისტემა აბსოლუტურად განსხვავებული გახლდათ. მართალია, მძიმე მემკვიდრეობა გადმოეცა, მაგრამ გამოწვევებს თავი წარმატებით გაართვა. ჯერ კიდევ მაშინ, როცა სააკაშვილი, კოჰაბიტაციის პირობებში, პოლიტიკურ „შაკოპლაკობას“ ეწეოდა, ივანიშვილი ყველაფრის დაბალანსებას ახერხებდა, შესაბამისად, არც ასეთი ქაოსი იყო და ნაბიჯები არც ავტორიტარიზმისკენ იდგმებოდა. მან სიტუაციის დაბალანსება და დემოკრატიულ რელსებზე დაყენება შეძლო მიუხედავად იმისა, რომ ოლიგარქია, თუმცა ოლიგარქობა ცუდს სულაც არ ნიშნავს.

– ბატონო ვახტანგ, ოლიგარქი ისაა, ვინც ფული სახელმწიფო სამსახურში მოღვაწეობის დროს იშოვა, რასაც ყოფილ პრემიერზე ვერ ვიტყვით...

– არიან უარყოფითი ოლიგარქები, მაგალითად, როგორიც ბერეზოვსკი იყო, მაგრამ რუსულ სინამდვილეში ხოდორკოვსკიც არსებობს, რომელიც პუტინის რეჟიმს დაუპირისპირდა. ასეთები კი, საქართველოში პატარკაციშვილი და ივანიშვილი იყვნენ... ივანიშვილი დემოკრატიულად აზროვნებს და ამას ისიც ადასტურებს, რომ პირობა შეასრულა.

– პრემიერობიდან გადადგომას გულისხმობთ?

– დიახ. თავიდანვე თქვა, რომ რეჟიმს, ქართველ ხალხთან ერთად, დაამხობდა, ხელისუფლებაში მოვიდოდა და მერე გადადგებოდა.

– გადადგა, მაგრამ „ნაციონალები“ ამბობენ, რომ ქვეყანას კულისებიდან მართავს...

– სახელმწიფოს ბიძინა ივანიშვილი რომ მართავდეს, ასეთი „ჩაშვებული“ სიტუაცია არ იქნებოდა. დიახ, ქვეყანას ივანიშვილი რომ მართავდეს, ისეთი დოქსოპულოები და ფრანკენშტეინები, როგორებიც ზუმბაძე, გრიგალაშვილი და ძმანი მათნი არიან, თავდაცვის სამინისტროს სათავეში ჩეკისტური კლანი არ მოექცეოდა. გაიხსენეთ ივანიშვილის მართვის მეთოდები – ამ უწყების სათავეში პოლიტიკოსი დააყენა და არა – ბიუროკრატი. ასევე მოიქცა შსს-შიც – გამოუცდელი, მაგრამ მაინც პოლიტიკოსი მოიყვანა, კვოტები გადაანაწილა და ყველას მისცა საშუალება, რომ თავი გამოევლინა. სიტუაცია დაალაგა და გადადგა, ანუ ზომიერი პოლიტიკოსის სიტყვა შეასრულა, რაც საქართველოში დეფიციტია.

– ზოგი თვლის, რომ გადადგომა პასუხისმგებლობისგან გაქცევაა...

– ეს გაქცევა არ იყო! გაქცევა მაშინ იქნებოდა, წინასწარ რომ არ ეთქვა, მალე უნდა წავიდეო. ის, რასაც ივანიშვილი ახლა აკეთებს, ჩემში უფრო მეტად სიმპატიას იწვევს, ვიდრე – მიხეილ სააკაშვილის იაფფასიანი პიარტექნოლოგიებით გაკეთებული ვითომ საქმე.

– სააკაშვილს იაფფასიან პიარტექნოლოგიების საბაბს მთავრობაც აძლევს..

– ივანიშვილს ეგონა, რომ გუნდი კარგად იყო შეკრული და ქვეყნის მართვის საშუალება მისცა, მაგრამ ჩვენი თაობა პოსტსაბჭოთა სინდრომითაა დაავადებული – ავტორიტარული ლიდერი გვჭირდება, რომელიც გვიკარნახებს, თუ როგორ ვიცხოვროთ. მჯერა, ქვეყანას ჩემი სტუდენტების თაობა გადაარჩენს – ისინი გაცილებით დემოკრატიულები არიან. ჩვენ კი, დაკარგული თაობა ვართ და ამიტომ ამ მთავრობის იმედი არ მაქვს! მას მხოლოდ ის ევალება, რომ ძველი „მატარებელი“ როგორმე იმ პლატფორმამდე მიაჩოჩოს, რომელიც ნორმალური განვითარების დონეზე გადაგვიყვანს, მაგრამ ამ „მიჩოჩებასაც“ უნარიანობის გამოვლენა სჭირდება. ივანიშვილმა დაიჯერა, რომ ეს გუნდი დამოუკიდებლად განვითარდებოდა, მაგრამ როგორც კი წავიდა, მაშინვე დაპირისპირება დაიწყო.

– გამორიცხავთ, რომ ეს დაპირისპირება უცხოური სპეცსამსახურების მიერ იყოს ინსპირირებული?

– ეს სააკაშვილის ზღაპრებია და მოდით, თავი დავანებოთ. თუ სპეცსამსახურებზეა ლაპარაკი, ჯობია, ძალოვანი სტრუქტურების ჯალათებს და ზონდერებს მიხედონ და წმენდა იქიდან დაიწყონ. ზუმბაძის ამბავი ავიღოთ – კაცმა დამაბრალა, რომ „კა-გე-ბე“-ს გენერალ-პოლკოვნიკი ვიყავი. რა უნდა ვუთხრა?!

– ზუმბაძე აპირებდა, რომ თქვენს წინააღმდეგ საქმე სასამართლოში შეეტანა. გიჩივლათ?

– ველოდები! ის პოლიტიკური ფრანკენშტეინია, რომელიც ძველ სისტემას სჭირდებოდა, ახლა კი, ახალ სისტემასთან მორგებას ცდილობს. როგორც კი ხელისუფლებაში ასეთები მომრავლდება, შეიძლება, დაგვაბრალონ, რომ მე და თქვენ ძერჟინსკის პირადი აგენტები ვიყავით. ოთარ ორჯონიკიძე, რომელიც ახლაც „საქაერონავიგაციაში“ „ოდ-ერ-ებ“-ის შეფია, ჩემს მეგობარს შეხვდა და უთხრა, მაისაია „აბვერის“ აგენტი იყოო. გამეცინა.

– რატომ?

– იმიტომ, რომ არ იცის, „აბვერი“ რა არის და ამ დროს სტრატეგიული უწყების „ოდ-ერი“-ა.

– სტრატეგიულად მნიშვნელოვან თანამდებობებზე ასეთი ადამიანები როგორ და რატომ დაინიშნენ?

– ეს კლანური ნეპოტიზმის შედეგია. საერთოდ, ნეპოტიზმი გააზრებული ქმედებაა – როცა ჩემი ახლობელი მომყავს, სულაც არ მაინტერესებს, ჯალათი იყო თუ მკვლელი, მჭირდება – ჩემი დავალება უნდა შეასრულოს და მორჩა. ზუმბაძემ თავისი პირით აღიარა, იმიტომ მოვედი, რომ საქმეები გამეყალბებინა – ალასანიასდროინდელი ტენდერები უნდა ამომექექაო. დიახ, ყველაფერი თავისი პირით აღიარა. კაცმა ე.წ. ენვერის, კილაძის, ფოტორეპორტიორების საქმეები, ნატოს დოკუმენტაცია გააყალბა და, თავდაცვის სამინისტროდან უკანონოდ ექვსი ადამიანი რომ დაიჭირეს, ამას არ გააყალბებს?

– ანუ, ბატონო ვახტანგ, თვლით, რომ ე.წ. კაბელების საქმეზე დაპატიმრებულები ციხეში უკანონოდ არიან?

– გონივრული ეჭვი მაქვს, რომ ეს პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო. თუ ნამდვილად დამნაშავეები არიან, სასამართლო პროცესს რატომ დებენ? თუ დამნაშავეები არიან, დადე შედეგი, რა, მაგრამ თუ ამ საქმის გამოძიებას მართლა ზუმბაძე აპირებდა, ჩემთვის ყველაფერი გასაგებია.

– რა ამის პასუხია და, 21 მარტს „ნაცმოძრაობა“, მთავრობის გადაყენების მოთხოვნით, დიდ აქციას გეგმავს...

– „ნაცმოძრაობა“ უკვე ისეთივე მარგინალური გაერთიანებაა, როგორიც, მაგალითად, კომუნისტური პარტია იყო. ამიტომ მის მიერ ჩატარებული აქცია წყალს მთავრობის წისქვილზე დაასხავს – მმართველი ძალის იმიჯი გაუმჯობესდება და პოზიციაც გამყარდება, რაც კარგია და ამიტომ, „ნაცმოძრაობის“ ქმედებას მივესალმები. ისე, „ნაციონალებმა“ აქციები შარშან და შარშანწინ, 19 აპრილსა და 15 ნოემბერსაც ჩაატარეს, მაგრამ რა?! – ძალით მიყვანილ ადამიანებს ფული დაურიგეს და მერე, თავქუდმოგლეჯილები ისე გაიქცნენ, რომ ვერავინ იპოვა!

– კი ბატონო, მაგრამ ახლა სხვა სოციალური ფონია...

– მესმის, მაგრამ ეს ფუნქცია სხვა პოლიტიკურმა ძალამ რომ აიღოს, აქციაზე ხალხი გამოვა. „ნაციონალების“ დაძახილზე კი, – არ გამოვა. აი, მოვა 21 მარტი და ნახავთ. ეს კი არადა, რაც მეტს იძახის „ნაცმოძრაობა“, ნატო-ს მომხრე ვარო, ნატო-ში შესვლის მომხრეები უფრო იკარგებიან, რადგან „ნაცმოძრაობის“ დეკლარირებულ ქმედებას უკურეაქცია მოაქვს.

– „ნაცმოძრაობა“ ამას შეგნებულად აკეთებს?

– არ გამოვრიცხავ, რადგან „ნაცმოძრაობაში“ სოლიდური პრორუსული ლობისტური ფრთა არსებობდა, რომელმაც საქმით დაამტკიცა, რომ რუსულ საქმეს აკეთებდა. ვანო მერაბიშვილისა და ბაჩო ახალაიას ტანდემი, კერძოდ, ლაფანყურის ოპერაცია ავიღოთ. ეს წინასწარ დაგეგმილი პროვოკაცია იყო, რომელიც სპეცსამსახურებმა დაგეგმეს. ამას ახმედ ზაკაევი და მუსლიმ მარგოშვილიც ამბობენ. ჩვენმა კომისიამ გამოიძია და დავდეთ მასალები, სადაც რუსული კვალი აშკარად ჩანს. სპეცოპერაციის შემდეგ, რუსეთმა გადაადგილების კორიდორი, პრაქტიკულად, მთლიანად ჩაკეტა და ამით ჩრდილოკავკასიაში წინააღმდეგობის მოძრაობას სერიოზული ზიანი მიაყენა. გარდა ამისა, ამ ოპერაციაზე რუსულ მხარეს სიტყვაც არსად დაუძრავს. ის ადამიანი კი, ვინც მებრძოლების შეგროვება დაიწყო და ხაფანგში გააბა, ანუ „ზოონი“, მერაბიშვილის დავალებით, ზუმბაძემ თურქეთში პაპასკირის პასპორტით გადაიყვანა. სად არის ეს „ზოონი“, ანუ ალიკ დუბაევი? თურქეთის კონტრდაზვერვა საქართველოსას არ ჰგავს და აღმოაჩინა, რომ ის „გე-რე-უ“-ს დაქირავებული მკვლელია, რომელმაც თავის დროზე ჩეჩნეთის დიასპორის წარმომადგენლები დახოცა. ყველაფერ ამის გამო, ვანო მერაბიშვილს ბრალი, წესით, რუსეთის ჯაშუშობისთვის უნდა წაუყენონ. „კა-გე-ბე“-ს განსაკუთრებულ დავალებათა და კავშირგაბმულობის სპეცჯარი ჰქონდა, რომლებიც დახურულ კავშირებს, კოსმოსურ დაზვერვასა და მოსმენებს უზრუნველყოფდნენ. სწორედ ამ ნაწილში მსახურობდა ვანო მერაბიშვილი და ამის დამადასტურებელი დოკუმენტაციაც არსებობს. გავიხსენოთ, საქართველოში მოსმენების ასეთი ტოტალური სისტემა ვინ შემოიტანა? – მერაბიშვილმა, რომელმაც ყველაფერი ეს საბჭოთა სპეცსამსახურებში ისწავლა.

– ბატონო ვახტანგ, რა ამის პასუხია და, თქვენი აზრით, ვლადიმერ პუტინის გაუჩინარება რას უკავშირდება?

– აქ ორი სცენარია: პირველი – საქმე გვაქვს სამხედრო გადატრიალების ნიშნებთან. სხვათა შორის, ასეთივე მცდელობა იყო 1982 წელს, ბრეჟნევის პერიოდში. პუტინის გაუჩინარება ნემცოვსაც უკავშირდება, რომელიც კლანური დაპირისპირების მსხვერპლი გახდა. ის, როგორც მსხვერპლი, იმის გამო არჩიეს, რომ ორ, სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებულ კლანს შორის რეალური ბრძოლა დაწყებულიყო. როგორც ჩანს, პუტინი ახლა ცდილობს, ამ ორ კლანს შორის დაპირისპირება გაანეიტრალოს.

– და სად არის?

– ცოცხალია. მკვდარი რომ იყოს, საქმე სხვა პროცესებთან გვექნებოდა. იძულებულია, ჩაიკეტოს, რათა სიტუაცია როგორმე განმუხტოს.

მეორე სცენარი: მართლაც, ავადაა და ერთმანეთს კლანები დაერივნენ, თუმცა ეს ნაკლებადსავარაუდოა.

– რუსეთში მიმდინარე პროცესები საქართველოზე რა გავლენას მოახდენს?

– გააჩნია, რომელი კლანი გაიმარჯვებს. თუმცა საგარეო მიმართულებებით, სიტუაცია, ალბათ, უფრო გამკაცრდება. რუსეთმა საამისოდ ნაბიჯი უკვე გადადგა.

– რა ნაბიჯს გულისხმობთ?

– ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ ხელშეკრულების მონიტორინგის სამუშაო ჯგუფიდან გამოვიდა და ამით დასავლეთთან ურთიერთობას სასიკვდილო დარტყმა მიაყენა. ყველაფერი ეს სამხედრო დაპირისპირებაში გადაიზრდება. სხვათა შორის, რუსეთმა ამ ჯგუფიდან გამოსვლა აფხაზეთთან ახალი ხელშეკრულების ამოქმედებას დაამთხვია, რაც იმას ნიშნავს, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე დამრტყმელ შეიარაღებას განათავსებს, ეს კი, ჩვენთვის ძალიან ცუდია, მაგრამ ჩვენი არაკომპეტენტური, უთავბოლო და დილეტანტი საგარეო და თავდაცვის უწყების წარმომადგენლები გაჩუმებულები არიან. გაგებაში არ არიან, რა მოხდა. საჭიროა, ამასთან დაკავშირებით განცხადება პრემიერმა გააკეთოს – ელემენტარულად, შეშფოთება გამოთქვას. თუ რუსეთმა აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში ისეთი დამრტყმელი სისტემები განალაგა, რომლებიც მხოლოდ ჩვენთვის კი არა, მეზობელი ქვეყნებისთვისაც მომაკვდინებელი იქნება და მათი საერთაშორისო კონტროლი არ მოხერხდა, ჩვენთან სიტუაცია ძალიან გართულდება. ეს უკრაინიზაციის პროცესის დაწყების რეალური საფუძველია.

ესაუბრა ნათია ვერძეული

გაგრძელება მე-16 გვ.

14 № 11 (275) 18-24 მარტი 2015

ქართული სიტყვა

ლიტერატურა. ფილოსოფია. პოლიტიკა

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

ხალხი სამართალს ითხოვს!

როგორ გაათეთრეს „მიშმაკებმა“ აგვისტოს ომის დროს ფქვილით მილიონები

„მიშას ჯიბე“ — ბიზნესმენ თამაზ ელიზბარაშვილის დის ქმრის გაკოტრების სკანდალური სქემა

დაპატიმრებამდე ცოტა ხნით ადრე, ბიზნესმენ შოთა მამნიაშვილს ერთ-ერთმა ახლობელმა, რომელიც ძალოვან სტრუქტურაში მუშაობდა, შეუთვალა, თქვენი და თქვენი ოჯახის წევრების მიტინგებზე გადაღებული სურათები და ვიდეო არსებობს და თუკი საპროტესტო აქციებზე სიარულს თავს არ დაანებებთ, რაც მოგივათ, მალე ნახავთო... მიშას დანაპირები შესრულდა: 2009 წლის 9 ნოემბერს, შოთა მამნიაშვილი დააპატიმრეს, 2010 წლის 5 ივლისს კი, ოჯახის კიდევ სამ წევრთან ერთად, შოთა მამნიაშვილის ცოლის ძმა, თამაზ ელიზბარაშვილი დაიკავეს. „ქართულ სიტყვას“ აღნიშნულ საქმეზე ადვოკატი ელზა ჯმუხაძე ესაუბრა.

— ქალბატონო ელზა, როგორც ამბობთ, შოთა მამნიაშვილისა და თამაზ ელიზბარაშვილის დაჭერა უშუალოდ მაშინდელი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის დავალებით მოხდა. ამის მიზეზი რა გახდა?

— დიახ, ასეა — ეს ოჯახი იმ უკანონობის, ძალადობისა და უსამართლობის თაობაზე, რასაც თითქმის ყოველდღიურად აწყდებოდა, უკმაყოფილებას ხშირად გამოთქვამდა. შესაბამისად, შოთა მამნიაშვილიც და თამაზ ელიზბარაშვილიც მიშას დროს ურჩ ბიზნესმენებად ითვლებოდნენ, ,,ნაციონალურ სასჯელს“ ექვემდებარებოდნენ და დაისაჯნენ კიდეც. თამაზ ელიზბარაშვილის თემა ცოტა უფრო ვრცელია. სხვათა შორის, ამ კაცის მიმართ ,,ნაცებისა“ და ,,მიშმაკების“ ზიზღი, ასევე, იმის მცდელობა, რომ ეს კაცი საბოლოოდ გაანადგურონ, დღემდე არ დასრულებულა. ამას ჰაერზე არ ვამბობ და, თუ დაინტერესდებით, ამ თემაზეც შემიძლია, ძალიან საინტერესო ფაქტები მოგაწოდოთ. დღეს კი, მინდა, 2008 წლის ომის დროს მომხდარი ერთი დიდი აფიორა გიამბოთ. ამაზე ჩემი, როგორც უკანონოდ მსჯავრდებული ბიზნესმენის, შოთა მამნიაშვილის ადვოკატის საჩივარი, 2012 წლის 12 დეკემბრიდან, საქართველოს მთავარ პროკურატურაში ,,ყვინთავს“. თუ იმ შავბნელ ცხრა წელში მოხდარი ,,სამართლებრივი ხარვეზების“ გამოძიება ვინმეს, მართლაც, უნდა და ესეც მორიგი ცრუ დაპირება არაა, ირაკლი ნადარეიშვილის ახალ დეპარტამენტს ჩემი საჩივარი უკვე გადმოღებული უნდა ჰქონდეს და დაკითხვაზე გვიბარებდეს...

— რა აფიორაზე მიანიშნებთ?

— შოთა მამნიაშვილი ხმამაღლა ამბობდა, რომ ხელისუფლება ხელს ეროვნული წარმოების აღორძინებას უშლიდა. სწორედ ამ და კიდევ სხვა ცნობილი მიზეზების გამო, კატეგორიული უარი განაცხადა, რომ მაჟორიტარულ არჩევნებში კენჭი „ნაცმოძრაობის“ სიით ეყარა. ჩვენ, ყველამ ერთად გამოვიარეთ ,,ნაციონალური ჯოჯოხეთი“, რომლის მთავარი ,,ეშმაკიც“ სწორედ მიშა ბრძანდებოდა. გასაგებია, რომ შოთა მამნიაშვილის (ასევე, სხვა პირების) დაპატიმრებასთან დაკავშირებით პრეზიდენტის ოფიციალური წერილობითი ,,ნებართვები“ არ არსებობს და ვერც იარსებებს, მაგრამ წარმოუდგენელია, სააკაშვილის მითითების, ან მასთან შეთანხმების გარეშე ისეთი ბიზნესმენის დაპატიმრება და ისეთი ბიზნესის სრულად დამხობა მომხდარიყო, რომლის წარმატებული ბიზნესპროექტების პრეზენტაციასაც ხშირად ესწრებოდა! შოთა მამნიაშვილის დაჭერა ე.წ. ფქვილის აფიორასთანაა დაკავშირებული, რაც 2008 წლის ომის დროს განხორციელდა: ამ აფიორით მაშინდელმა ხელისუფლებამ ომით ისედაც დაზარალებული მოსახლეობა ორგზის გაატყავა: ერთხელ, როცა ცხინვალში, საომარი მოქმედებების მოლოდინში, ფქვილის მარაგის შესაქმნელად, ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფულით ისეთი ნაგავი შეიძინა, რომელსაც ღორიც კი არ ჭამდა; მეორედ კი დიდი ფული მაშინ ,,გააკეთა“, როდესაც ფქვილის ბიზნესში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენები აიძულა, ჩაწოლილი ,,ნაგავი“ უმაღლეს ფასად შეესყიდათ.

— ბიზნესმენები რითი აიძულეს, რომ ამ გარიგებაზე წასულიყვნენ?

— როდესაც ცხადი გახდა, რომ იმ სრულიად უხარისხო ფქვილის რეალიზაცია შეუძლებელი იყო და, შესაბამისად, ბიზნესმენებს მოტყუებითა და იძულებით დადებული ხელშეკრულებით ,,ნაკისრი“ აბსურდული ვალდებულების შესრულება გაუჭირდათ, პროკურატურამ ყველა გამოიძახა და უთხრა, თუ არ გინდათ, თაღლითობის მუხლით გლდანში გაგამწესოთ, ფულს „გამოდითო“. შოთა მამნიაშვილის გარდა, ამ საქმეზე არავინ დაუჭერიათ. ეს საქმე იმ დროს იმიტომაც არ გაპიარებულა, რომ „ასატანი“ ყველამ უსიტყვოდ ,,აიტანა“, მამნიაშვილმა კი, რომელსაც ჯერ კიდევ მიაჩნდა, რომ სასამართლო მის სიმართლეს გაარკვევდა, „ნაციონალებს“ დასახელებული კოლოსალური თანხა არ ჩაუჯიბა, რის სანაცვლოდაც, სრულიად უდანაშაულო კაცს, „ნაციონალების“ გავლენის ქვეშ მყოფმა დაშინებულმა მოსამართლეებმა ,,გლდანის ჯოჯოხეთის“ შვიდწლიანი საგზური გამოუწერეს!

— მამნიაშვილს, კონკრეტულად, რა ბიზნესი ჰქონდა?

— ბატონი შოთა თავის დროზე ერთ-ერთი ცნობილი, მსხვილი და წარმატებული ,,ბეგი-კომპანიი“-ს ერთ-ერთი დამფუძნებელი და ამ კომპანიის შვილობილი (სადისტრიბუციო) კომპანია ,,სელმა“-ს დირექტორი გახლდათ. ამ კომპანიების საქმიანობის საგანი საქართველოში მარცვლეულის ქართული ჯიშების აღორძინება, ახალი ჯიშების გამოყვანა, გადამუშავება და პროდუქციის რეალიზაცია იყო. მოქმედი საწარმოების გარდა (წისქვილკომბინატები), ,,ბეგი-კომპანიამ“ და ,,სელმამ“, კარგად გათვლილი ბიზნესგეგმით, ბანკიდან სოლიდური კრედიტები აიღეს და უცხოეთიდან პურპროდუქტების გადამამუშავებელი მასშტაბური საწარმოო ხაზი შემოიტანეს, რომლის ამუშავების შემთხვევაშიც, საქართველოს საშუალება მიეცემოდა, მაღალი ხარისხის პურპროდუქტებით (კერძოდ, მაკარონით) მთელი ამიერკავკასია მოემარაგებინა. თავისი საქმიანობითა და შორსმიმავალი მიზნებით, შოთა მამნიაშვილი აშკარად დაუპირისპირდა მარცვლეულისა და ფქვილის იმპორტის ბიზნესს, რომელსაც, როგორც ცნობილია, სააკაშვილის ხელისუფლება მფარველობდა. ვფიქრობ, სწორედ ამიტომაც იქცა „ნაციონალების“ სამიზნედ შოთა მამნიაშვილი, რომელიც, როგორც უკვე გითხარით, „ნაცების“ ინტერესის სფეროში სხვა მიზეზითაც მოექცა.

— რა მიზეზს გულისხმობთ?

— წეღან აღვნიშნე შოთა მამნიაშვილისა და თამაზ ელიზბარაშვილის ნათესაურ კავშირზე: მამნიაშვილის მეუღლე, თამარ ელიზბარაშვილი ცნობილი ბიზნესმენის, თამაზ ელიზბარაშვილის დაა. ეს ოჯახი, ბიზნესსაქმიანობის გარდა, ყოველთვის იმითაც გამოირჩეოდა, რომ უსამართლობებს არ ეგუებოდა და მუდამ იქ იდგა, სადაც ხალხი ხელისუფლების უკანონო ქმედებებს აპროტესტებდა. „ნაციონალები“, თავიანთი ბოგინის ყველა ეტაპზე, ცდილობდნენ, ბიზნესმენები ზეგავლენის ქვეშ მოექციათ, რისთვისაც მშვენიერი საშუალება ბიზნესმენის პოლიტიკაში მოყვანა იყო, რაც ,,კრიშის“ სანაცვლოდ, ბიზნესმენის მზადყოფნას ნიშნავდა, რომ „ნაციონალების“ ,,მეწველი ძროხა“ ყოფილიყო. შოთა მამნიაშვილსაც შესთავაზეს, რომ მაჟორიტარულ არჩევნებში კენჭი ,,ნაცმოძრაობიდან“ ეყარა, რაზეც უარი განაცხადა. ამას ისიც დაემატა, რომ იმავე არჩევნების წინა პერიოდში, შოთა მამნიაშვილმა ერთ-ერთი წისქვილკომბინატიდან, სადაც მისი კომპანია მუშაობდა, „ნაცმოძრაობის“ საარჩევნო-სარეკლამო ბანერები ჩამოახსნევინა. სწორედ ამის შემდეგ ,,შავ სიაში“ შეიყვანეს. საბოლოოდ, ამ ადამიანს, გარდა იმისა, რომ მსჯავრი უკანონოდ დასდეს და ხუთი შვილის მამა ციხეში გაუშვეს, ბანკების საშუალებით, წაართვეს და შემდეგ, უმოქმედოდ დააგდეს საწარმოო ხაზი, რაც იდეაში, ეროვნულ ბიზნესს ააყვავებდა და იმპორტს შეამცირებდა; მამნიაშვილის ოჯახმა დაკარგა მთელი უძრავ-მოძრავი ქონება, მისი ბიზნესი კი, აღიგავა პირისაგან მიწისა!

— გასაგებია, რომ შოთა მამნიაშვილი სააკაშვილის ხელისუფლებას პოლიტიკურად არ აწყობდა, მაგრამ დასაპატიმრებლად რაღაც ხელის მოსაჭიდი, თუნდაც გამოგონილი საბაბი ხომ უნდა ჰქონოდა? თქვენ, როგორც მამნიაშვილის ადვოკატს, გეკითხებით: კონკრეტულად, რის საფუძველზე დააპატიმრეს, რა მოუგონეს?

— სააკაშვილის დროს ერთი ნაძრახი ორგანიზაცია — ,,სახელმწიფო უზრუნველყოფა“ დაარსდა, გნებავთ, გაჩნდა. იმდროინდელი მედია ღაღადებდა, რომ ამ ორგანიზაციის სახელთან ბევრი შავბნელი საქმეა დაკავშირებული, მაგრამ ხელისუფლებაში მოსულ ,,მეოცნებეებს“ ეს ფაქტები არ გახსენებიათ. ამიტომ, ჯერ კიდევ გამოსაძიებელია, ახალ ხელისუფლებას ეს არაპროფესიონალიზმის გამო გამოეპარა თუ ,,ძაღლის თავი“ ,,ნაცებთან“ ბინძურ გარიგებაშია დამარხული. მოკლედ, ,,სახელმწიფო უზრუნველყოფა“ გახლდათ ასპროცენტიანი სახელმწიფო წილით დაარსებული, ანუ თავიდან ბოლომდე „ნაციონალების“ ინტერესების გამტარებელი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელსაც ბიზნესმენები „მიშას ჯიბეს“ ეძახდნენ. მიმაჩნია, რომ თუ პროკურატურა ამ კომპანიის საქმიანობით დღეს მაინც სერიოზულად დაინტერესდება, უამრავი ,,ბომბი“ გასკდება. ყველა დაინახავს, თუ როგორ ატყავებდნენ „ნაციონალები“ ქართულ ბიზნესს და სად მიდიოდა ბიზნესმენების, ასევე, ხალხის კისრიდან ამოღებული ფული. ჩემი ინფორმაციით, რაც შოთა მამნიაშვილის დაცვის პროცესში გახდა ცნობილი, 2008 წლის ომამდე ცოტა ხნით ადრე, ხელისუფლებამ თავის შპს-ს, ანუ ,,სახელმწიფო უზრუნველყოფას“ ბიუჯეტიდან, ფქვილის მარაგის შესაძენად იმ შემთხვევისთვის, თუ საომარი მოქმედებები დიდხანს გაგრძელდებოდა, სოლიდური თანხა გამოუყო. შპს-მ ფქვილის გარკვეული რაოდენობა, მართლაც, შემოიტანა, თუმცა გამოძიებით დასადგენია, თუ რა თანხა იყო გამოყოფილი და იყო თუ არა წინასწარ დაანგარიშებული, იმ თანხით რა ხარისხის, ან რა რაოდენობის ფქვილი უნდა შემოეზიდათ. ჩემი აზრით, შპს-ს საბუთები ისე ექნება ,,გაპრავებული“, რომ ბიუჯეტის ფულის ,,მოტეხვა“, მაგალითად, ამ გზით მშვენივრად იქნებოდა შესაძლებელი: შპს ფქვილის ქაღალდზე დაწერილ რაოდენობას კი შემოიტანდა, მაგრამ რეალურად, ამ ფქვილის ხარისხი დაბალი იქნებოდა. მოკლედ, ასე იყო თუ ისე, შპს ,,სახელმწიფო უზრუნველყოფამ“ 2008 წელს ნამდვილი ნაგავი შემოიტანა — როცა ფქვილი ცხინვალის რეგიონიდან ლტოლვილებს დაურიგეს, ხალხი ჩიოდა, ეს რა ფქვილი მოგვეცით, არ ფუვდება, არ ცხვება, საფანელადაც კი უვარგისია და საქონელიც არ ჭამსო. მაშინდელ საინფორმაციო გამოშვებების არქივს რომ გადავხედოთ, ასეთ სიუჟეტებს ნამდვილად ვნახავთ. საბედნიეროდ, საომარი მოქმედებები სამ დღეში დასრულდა, ქართველმა ბიზნესმენებმა პურის მოსავალიც აიღეს და ქვეყნის ეკონომიკური საზღვრებიც გაიხსნა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ქვეყნის ბაზარი ხარისხიანი, კონკურენტუნარიანი, როგორც ადგილობრივი წარმოების, ასევე, იმპორტული ფქვილით ძალიან მალე გაჯერდა. ასეთ სიტუაციაში შპს ,,სახელმწიფო უზუნველყოფას“ თავისი ნაგავი, ბუნებრივია, ჩაუწვა; ამ უხარისხო ფქვილს ხელისუფლება ხალხსაც ვეღარ ურიგებდა, რადგან ხალხი ტელევიზიებთან ჩიოდა, ნაგავს გვაჭმევენო.

ტონობით ნაგავს სახელმწიფო შეუმჩნევლად ვერ გადაყრიდა და გაანადგურებდა. ომის დროს სახელმწიფო შპს-ს მიერ საბიუჯეტო თანხების გაფლანგვა-მითვისება თვალსაჩინო რომ არ გამხდარიყო, საჭირო გახდა ახალი მზაკვრული გეგმის შემუშავება და ეს გეგმაც მოიფიქრეს: იმდროინდელ პრემიერ-მინისტრთან ე.წ. ფქვილის ბიზნესის ყველა წარმომადგენელი, მათ შორის, შოთა მამნიაშვილიც დაიბარეს და უთხრეს, ქვეყანას უჭირს და გვერდში დაგვიდექით, შპს ,,სახელმწიფო უზრუნველყოფას“ საწყობები არ აქვს და მისი ფქვილი დროებით თქვენს საწყობებში შეგვანახინეთო.

ბიზნესმენები თავიდანვე მიხვდნენ, რომ ამ ფქვილს შეასაღებდნენ, ამიტომ ხელისუფლებას შესთავაზეს, გვერდში იმით დაგიდგებით, რომ საწყობებს ჩვენი ხარჯებით დაგიქირავებთო. სახელმწიფომ კი, რომელსაც დადასტურდა, რომ უხარისხო ფქვილის ბიზნესმენებისთვის შესაღება მართლა უნდოდა, საწყობის ბიზნესმენების ხარჯით დაქირავებაზე უარი განაცხადა და უაპელაციოდ გამოაცხადა, ამ ფქვილს, სწორედაც, თქვენ შეინახავთო. თავს ზევით რომ ძალა აღარ იყო, დაიდო მიბარების ხელშეკრულებები, რაც ძალიან მალე (ერთ კვირაში) ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებებად გადაიქცა, ანუ ბიზნესმენებს ეს ნაგავი გასასაღებლად ,,შეტენეს“ და თავად ამ სიბინძურიდან ხელი დაიბანეს.

— ამაზე ბიზნესმენებს რა რეაქცია ჰქონდათ?

— რაღა რეაქცია ექნებოდათ? — თუ რომელიმე ამ ხელშეკრულებაზე ხელს არ მოაწერდა, მაშინვე საქვეყნოდ გამოაჭენებდნენ, იცნობდეთ და გძულდეთ, ამ კაცმა ნამაარ ქვეყანას უღალატაო! ყველაზე მთავარი ამ აფიორის მეორე სერიაში ისაა, რომ ხელშეკრულებაში ფქვილის ისეთი მაღალი ფასი დაფიქსირდა, რა ფასადაც უმაღლესი ხარისხის ფქვილსაც კი უჭირდა რეალიზაცია. ბიზნესმენებმა, მას შემდეგ, რაც პრაქტიკამ დაადასტურა, რომ არარეალურად მაღალ ფასად უხარისხო ფქვილის რეალიზაცია შეუძლებელი იყო, კიდევ ერთხელ გაიბრძოლეს და წერილობით მიმართეს ხელისუფლებას, ხელშეკრულებაში ფასთან დაკავშირებით ცვლილება შევიტანოთო. ხელისუფლება ბიზნესმენებს დაპირდა, კომისიას დავსვამ, ყველაფერს დავითვლი, რეალურ ფასს დავადგენ და ხელშეკრულე-

გაგრძელება მე-15 გვ.

ᲮᲘᲠᲮᲘᲡᲮᲚᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

18- 24 ᲛᲐᲠᲢᲘ 2015

№ 11 (275)

15

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲤᲣᲚᲘ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲜᲔᲠᲝᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲮᲐᲚᲮᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲡ ᲘᲗᲮᲝᲕᲡ!

მე-14 გვერდიდან

ბებში ცვლილებებს აუცილებლად შევიტანო, მაგრამ ეს, რეალურად, ბიზნესმენების გასაჩუმებლად გამოგონილი ტყუილი იყო, რადგან იმ ვითომ კომისიას ფქვილის ფასი დღემდე არ დაუდგენია და შოთა მამნიაშვილს (ასევე, დანარჩენ ბიზნესმენებს) ,,სახელმწიფოსთვის მიყენებული ზიანის“ ანაზღაურება თავდაპირველი, გაბერილი ფასით დააკისრეს.

— ელზა, წეღან თქვით, ,,სახელმწიფო უზრუნველყოფის“ საქმიანობა ჯერ არავის შეუსწავლიაო და საიდან ასკვნით, თუ როგორი ხელშეკრულებები დაიდო ბიზნესმენებთან, ან ტყუილი რა არის?

— ვიცავდი და ვიცავ შოთა მამნიაშვილის ინტერესებს, ამიტომ ,,ბეგი-კომპანიასა“ და ,,სახელმწიფო უზრუნველყოფას“ შორის დადებული ჯერ მიბარების, შემდეგ კი, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებები, საქმის მასალებთან ერთად, შევისწავლე. დარწმუნებული ვარ, იგივე სახის ხელშეკრულებები დაუდეს სხვა ბიზნესმენებსაც და ხელი ფქვილის არარეალურ ფასებზე მოაწერინეს. როგორც მოსალოდნელიც იყო, ამ კაბალური ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები დროულად ვერ შესრულდა და ვერც შესრულდებოდა, რადგან უხარისხო ფქვილი საჩუქრადაც არავის უნდოდა, არათუ, ვინმე ტომარაში 48 ლარს გადაიხდიდა! სწორედ აქ ამოქმედდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული კოლოსალური პირგასამტეხლოების მექანიზმი და პირგასამტეხლოს თანხა, ბუნებრივია, იმ გაბერილი ძირითადი თანხიდან დაითვალა. საბოლოოდ, შპს ,,სახელმწიფო უზრუნველყოფისთვის“ ვითომ მიყენებულმა ზიანმა მილიონები შეადგინა. ხელისუფლებამ, თავისი შპს-ს ინტერესების დაცვის მიზნით, კიდევ ერთხელ დაიბარა ბიზნესმენები და მოახსენა, აბა, რა გირჩევნიათ, ამ მილიონებს მშვიდობიანად, საკუთარი ნებით ,,გამოხვალთ“ თუ დაგიჭიროთო?!

— ბიზნესმენებმა რა უპასუხეს?

— ფქვილის ბიზნესის იმდროინდელი წარმომადგენლებიდან მხოლოდ შოთა მამნიაშვილი დაიჭირეს, რაც იმას ნიშნავს, რომ დანარჩენებმა თავისუფლება მილიონებით გამოისყიდეს.

— სასამართლო პროცესზე ყველაფერი ეს არ თქვით?

— აბა, რას ვიზამდი, მაგრამ თქმა ერთია და გაგება — მეორე. სხვათა შორის, ძალიან საინტერესო რამეს გეტყვით: რადგან სახელმწიფომ იცოდა, თუ რა შარშიც გახვია ბიზნესმენები, ამიტომ, სახელმწიფოს შპს არც ერთ, მათ შორის, არც შოთა მამნიაშვილის კომპანიას არ უჩიოდა, ნაკისრ ვალდებულებებს არ ასრულებსო. როგორც გითხარით, მხარეთა შორის სრულიად მშვიდობიანი მოლაპარაკებები ფასზე მიმდინარეობდა და ეს დოკუმენტურადაც მტკიცდება. კანონი ამბობს და იმ ხელშეკრულებებშიც, რაც სახელმწიფოს შპს-მ შოთა მამნიაშვილის კომპანიასთან გააფორმა, შავით თეთრზე წერია, რომ მხარეთა შორის ნებისმიერი დავა ურთიერთშეთანხმებით წყდება, შეუთანხმებლობის შემთხვევაში კი, დავას სამოქალაქო სასამართლო განიხილავს. შესაბამისად, თუ ლაპარაკი მაინც და მაინც დავაზე იქნებოდა, ეს დავა უნდა წარმოებულიყო სამოქალაქო წესით, რაც ადამიანის დაპატიმრებას არ გულისხმობს. მიშას ხელისუფლებამ კი, ბიზნესმენების წნეხში გატარება მოინდომა, რადგან მათგან (დაპატიმრების შიშით შეპყრობილი ხალხისგან) ფულს ასე უფრო სწრაფად ამოიღებდა. შოთა მამნიაშვილს თაღლითობის მუხლით წარდგენილი ბრალი არც ერთ ეტაპზე უღიარებია. ვამტკიცებდით, რომ შპს ,,სახელმწიფო უზრუნველყოფასა“ და ,,ბეგი-კომპანიას“ შორის დავა თუ დაიწყებოდა, ეს დავა მიეკუთვნებოდა სამოქალაქო სამართალწარმოების იურისდიქციას, ანუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება-შეუსრულებლობის მიზეზები, ზიანის რაოდენობის დათვლა და ამ ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაკისრება მხოლოდ და მხოლოდ სამოქალაქო დავის საგანი იყო. ყველა ინსტანციის სასამართლოში ხმამაღლა ვაცხადებდი, რომ ვალიუვალობის მიზეზი ადამიანის დაპატიმრებას კრძალავდა და კრძალავს, როგორც საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა, ასევე, საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო ნორმები.

„სააკაშვილის დროს ერთი ნაძრახი ორგანიზაცია — „სახელმწიფო უზრუნველყოფა“ დაარსდა, გნებავთ, გაჩნდა. იმდროინდელი მედია ღაღადებდა, რომ ამ ორგანიზაციის სახელთან ბევრი შავგნელი საქმეა დაკავშირებული, მაგრამ ხელისუფლებაში მოსულ „მეოცნებეებს“ ეს ფაქტები არ გახსენებიათ. ამიტომ, ჯერ კიდევ გამოსაძიებელია, ახალ ხელისუფლებას ეს არაპროფესიონალიზმის გამო გამოეპარა თუ „ძაღლის თავი“ „ნაცებთან“ ბინძურ გარიგებაშია დამარხული. მოკლედ, „სახელმწიფო უზრუნველყოფა“ გახლდათ ასპროცენტიანი სახელმწიფო წილით დაარსებული, ანუ თავიდან ბოლომდე „ნაციონალების“ ინტერესების გამტარებელი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელსაც ბიზნესმენები „მიშას ჯიბეს“ ეძახდნენ. მიმაჩნია, რომ თუ პროკურატურა ამ კომპანიის საქმიანობით დღეს მაინც სერიოზულად დაინტერესდება, უამრავი „ბომბი“ გასკდება“.

— ბოლოს, ფულის ნაცვლად ფქვილი ან ტელევიზორები ხომ ალბათ ბევრ ადამიანს ჰქონდა?

— ეს ,,ბონუსები“ ,,ბეგი-კომპანიასა“ და ,,სახელმწიფო უზრუნველყოფას“ შორის ცალკე ხელშეკრულებებით ფიქსირდებოდა. ,,ბეგი-კომპანიას“ ,,სახელმწიფო უზრუნველყოფისგან“ ,,ბონუსად“ ფული, ფქვილი, ტელევიზორები, ,,ბეგი-კომპანიასა“ და ,,სახელმწიფო უზრუნველყოფას“ შორის ,,ბონუსად“ ფული, ფქვილი, ,,ბეგი-კომპანიასა“ და ,,სახელმწიფო უზრუნველყოფას“ შორის ,,ბონუსად“ ფული, ,,ბეგი-კომპანიასა“ და ,,სახელმწიფო უზრუნველყოფას“ შორის ,,ბონუსად“ ფული, ,,ბეგი-კომპანიასა“ და ,,სახელმწიფო უზრუნველყოფას“ შორის ,,ბონუსად“ ფული, ,,ბეგი-კომპანიასა“ და ,,სახელმწიფო უზრუნველყოფას“ შორის ,,ბონუსად“ ფული, ,,ბეგი-კომპანიასა“ და ,,სახელმწიფო

— ეს ,,ბონუსები“ ,,ბეგი-კომპანიასა“ და ,,სახელმწიფო

**—

№ 11 (275)
18- 24 მარტი 2015

7 ქართული ტაძარი

ეროვნული

ლიტერატურა. ეელოვნება. პოლიტიკა

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

საინფორმაციო მხარდაჭერა

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

1 3 5

საბაკალავრო პროგრამები

- სამართალმცოდნეობა
- ჟურნალისტიკა
- ბიზნესის ადმინისტრირება
- ტურიზმი
- ინგლისური ფილოლოგია
- აგროინჟინერია
- საერთაშორისო ურთიერთობები
- საჯარო მმართველობა
- სასურსათო ტექნოლოგიები

საბაკალავრო პროგრამების არჩევითი მოდულები

- მენეჯმენტი
- ფინანსები
- საბუღალტრო აღრიცხვა
- ტურიზმი
- ჰიდრომელიორაცია
- სს მექანიზაცია
- სს ელექტროფიკაცია

ინგლისური ფილოლოგიისა და სასურსათო ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამებზე *სტუდენტს შეუძლია, აირჩიოს დამატებითი სპეციალობა 60 კრედიტის ფარგლებში (minor ბიზნესის ადმინისტრირებაში, ან ტურიზმში)*

სამაგისტრო პროგრამები

- მენეჯმენტი
- ფინანსები
- ტურიზმი
- სადაზღვევო საქმე
- სურსათის უვნებლობა
- მეცხოველეობის პროდუქტებისა და ნედლეულის საქონელმცოდნეობა

მოდულის არჩევითი კურსები – 60 ECTS კრედიტი, ან დამატებითი სპეციალობები (*minor*) – 60 ECTS კრედიტი.

შეთავაზებული დამატებითი პროგრამებიდან სტუდენტს შეუძლია, აირჩიოს აგრარული მიმართულები:

- სურსათის ტექნოლოგია – Food Technology - **0104**
- მეცხოველეობის პროდუქციის ნედლეულის წარმოება და პირველადი დამუშავება – Production and primary processing of raw animal products – **0103)**
- ან სხვა სპეციალობის *minor*

წლიური გადასახადი 2250 ლარი

მის.: ეგ. ნინოშვილის №55; mail: tbuniver.edu@gmail.com;
ტელ.: 296-01-04; 296-01-90; 296-90-33
www.tbuniver.edu.ge; acebook: თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი (ოფიციალური გვერდი)

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲘᲗᲧᲕᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

18- 24 ᲛᲐᲠᲢᲘ 2015

№ 11 (275)

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲜᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ ᲑᲝᲢᲐᲜᲘᲙᲝᲡᲔᲑᲛᲐ ᲒᲐᲓᲐᲨᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲡ ᲛᲧᲝᲤᲘ ᲛᲪᲔᲜᲐᲠᲔᲗᲐ ᲗᲔᲡᲚᲔᲑᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘ ᲨᲔᲥᲛᲜᲔᲡ

თუ არ იცით, გეტყვით, რომ თბილისში ბოტანიკური ბაღი ფუნქციონირებს... ორთაჭალაში, აბანოებთან, საკმაოდ დიდი, ფილაქნიანი აღმართია. ჰოდა, თუკი ამ უმოწყალოდ აშვერილ აღმართს აუყვებით, რამდენიმე წუთში რკინის შავ ჭიშკარს მიადგებით. თუ გადაწყვეტთ, რომ შიგნით შეხვიდეთ (ვეჭვობ, დაუფიქრებლად გადაწყვეტთ) და დაგავიწყდებათ, ნუ ინერვიულებთ: მარჯვნივ, პატარა ოთახიდან, საშუალო ასაკის ქალი მორიდებულად შეგახსენებთ, რომ ბილეთი უნდა აიღოთ... ჰო, ბილეთი ლარი ღირს, მაგრამ ვინაიდან ჟურნალისტი ვიყავი, კარგი, უბილეთოდ შედიო, გამიღიმეს იმ პატარა ოთახიდან... შესასვლელიდანვე ჩანჩქერის ხმა ისმის. სიმწვანე, ილამაზე და სიგრილეა... ბაღი 379 წლისაა. თავიდან სამეფო იყო – დიდგვაროვნები ისვენებდნენ. შემდეგ, სამკურნალო მცენარეების მოშენება დაიწყეს. ამის გამო, ბაღს სახელი შეეცვალა, „სამეფოს“ ნაცვლად, „სააფთიაქო“ დაერქვა. ამასობაში, საქართველოში ბოტანიკის, როგორც მეცნიერების განვითარება დაიწყო და... მეფისნაცვალ ვორონცოვის ბრძანებით, ამ ადგილს თბილისის ბოტანიკური ბაღი დაერქვა. მაინც, რა დანიშნულება და ფუნქცია აქვს, რითია მნიშვნელოვანი, რა უნდა ვიცოდეთ, რა გაკეთდა და რა იგეგმება ბოტანიკურ ბაღში? – ყველაფერ ამის შესახებ „ქართული სიტყვა“ თბილისის ბოტანიკური ბაღის დირექტორ ნინო გოცაძეს ესაუბრა:

რა დანიშნულება აქვს, რითია მნიშვნელოვანი, რა უნდა ვიცოდეთ, რა გაკეთდა და რა იგეგმება თბილისის ბოტანიკურ ბაღში

– ჩვენი ბაღი, დაახლოებით, 98 ჰექტარს მოიცავს და მნიშვნელოვანია, რომ ძვირფასი ნაკვეთია: ერთში ქართული და უცხოური სამკურნალო მცენარეებია დარგული, მეორეში კი – კავკასიის ენდემური და გადაშენებადი ჯიშები, თითოეულ სახეობას ძალიან ვუფრთხილდებით. სხვათა შორის, მნიშვნელოვან პროექტს ვანხორციელებთ – კავკასიის რეგიონული თესლების ბანკს ვქმნით, ანუ წითელ წიგნში შესული, გადაშენების პირას მყოფი მცენარეების სახეობებს ვარჩევთ, მათ თესლს ვიღებთ და ვინახავთ, რათა გავამრავლოთ და არ დავკარგოთ. სხვათა შორის, მცენარეთა ქართულ სახეობებზეა ლაპარაკი. აქ რელიეფურად განსხვავებული ფორმებია წარმოდგენილი და ჩვენი დანიშნულებაა, ეს მრავალფეროვნება შევინარჩუნოთ და მომავალ თაობებს გადავცეთ.

გარდა ამისა, ახალგაზრდობას უნდა ვასწავლოთ, თუ რა არის ბუნება, მცენარე, რა დანიშნულება და ფუნქცია აქვს. სწორედ ამ მიზნით „ეკოკლუბის პროექტი“ დავიწყეთ, რომლის ფარგლებშიც სასკოლო მოდულები მზადდება... ჩვენთან სკოლის მოსწავლეები მოდიან და ბოტანიკის გაკვეთილები უტარდებათ. მალე კონკურსსაც გამოვაცხადებთ – ეკოკლუბისთვის 200 კვ/მ-ზე პატარა ნაგებობას შევქმნით, რომელსაც, პირობითად, „ბოსტანს“ დავარქმევთ, სადაც ბავშვები თავიანთი ხელით დათესავენ, გამარგლავენ, გადარგავენ, მცენარეებს მოუვლიან. ამით ბუნებასთან ურთიერთობასა და მცენარეების სიყვარულს ისწავლიან. როცა ადამიანს ბუნებასთან შეხება ბავშვობიდან აქვს, მისი არსი სხვანაირად ესმის – მცენარეებს უფრთხილდება. ისე, მხოლოდ საქართველოში კი არა, ეკოლოგიური განათლების პრობლემა მთელ მსოფლიოშია.

უახლოეს მომავალში მოსახლეობას ე.წ. რიტუალურ ორანჟერეასაც შევთავაზებთ, რაც იმას ნიშნავს, რომ წყვილებს ხელის მოწერის ცერემონიალის ბაღში ჩატარების საშუალება მიეცემათ. მსურველთა რიცხვი კი, საკმაოდ დიდია.

აპრილის ბოლოს იტალიიდან ორი, 6-ადგილიანი ელექტრომობილი ჩამოგვივა, რომელიც ბაღის სტუმრებს გიდის თანხლებით მოემსახურება.

– თბილისის ბოტანიკურ ბაღში მცენარის სულ რამდენი ჯიშია?

– ბაღში 3 500-მდე სხვადასხვა ჯიშის, მათ შორის, წითელი ნუსხის მცენარეა. ასევე, გვაქვს ტროპიკულ მცენარეთა ორანჟერეა – ეს მცენარეები ბუნებრივ გრუნტში ვერ ხარობენ და სპეციალური ტროპიკული გარემო სჭირდებათ, რასაც ორანჟერეაში ვუქმნით.

– მცენარეების მოვლა, ალბათ, არცთუ ადვილია, არა?

– დიახ, საკმაოდ მძიმე სამუშაოა.

– მცენარეებს მხოლოდ ბოტანიკოსები უვლიან?

– ბოტანიკოსები და აგრონომები, ანუ ისინი, ვინც მცენარეთა ანატომიაც იციან, ფიზიოლოგიაც და აგროტექნიკური ღონისძიებების გატარებაც შეუძლიათ.

– ბაღში ბევრი ადამიანია დასაქმებული?

– სულ 177 თანამშრომელი გვყავს, მათ შორის, დაცვა, მუშები, დასუფთავების, მცირე მექანიზაციისა და შიდა სარემონტო სამუშაოების ჯგუფები. ასევე, 5 სამეცნიერო – მერქნიან მცენარეთა ენტროდუქციის, კონსერვაციის, კავკასიის იშვიათი და ენდემური სახეობების და სამკურნალო მცენარეების განყოფილება გვაქვს. თითოეული მათგანი მოსახლეობის ეკოლოგიურ განათლებაზე ზრუნავს...

– ესე იგი, შეგვიძლია ვიამაყოთ, რომ უნიკალური ბოტანიკური ბაღი გვაქვს?

– ნამდვილად, მართლაც, უნიკალური ბოტანიკური ბაღი გვაქვს – აქ დაცულია თითქმის ყველა ის სახეობა, რომელიც საქართველოს წითელ ნუსხაშია შეტანილი. ბაღი თავისი რელიეფითაც უნიკალურია – თბილისის ტერიტორია არიდული და სუბარიდული, ანუ ნახევრად უდაბნოს ტიპისაა, სადაც მცენარეებისთვის საკმაოდ მკაცრი ჰავა და კლიმატია, ბაღში კი, ზომიერად მშრალი ჰავაა. როცა მსოფლიოს სხვადასხვა ბოტანიკური ბაღიდან ბოტანიკოსები ჩამოდიან, აღფრთოვანებულნი რჩებიან, რომ ჩვენს ბაღში ბუნებრივად ხარობს ის მცენარეულობა, რომელსაც მსოფლიოს სხვა ბოტანიკურ ბაღებში ხელოვნურად ქმნიან...

– ქალბატონო ნინო, ახალი ჯიშებიც გამოგყავთ?

– სანერგე მეურნეობა ჯერ არ გვაქვს, ახლა ვაკეთებთ და ახალ ჯიშებსაც აუცილებლად გამოვიყვანთ. ბოტანიკური ბაღის ერთ-ერთი დანიშნულებაც ესაა. სხვათა შორის, ამ მიმართულებით ბათუმის ბოტანიკური ბაღი უკვე მუშაობს და კამელიების რამდენიმე ათეული ახალი ჰიბრიდი გამოიყვანა.

– ბოტანიკურ ბაღს გასული წლის სექტემბრიდან ხელმძღვანელობთ. ყველაფერი ეს თქვენი მოსვლის შემდეგ გაკეთდა?

– დიახ...

– გავიგე, „ნაციონალებს“, თურმე, ბოტანიკური ბაღის გაუქმება უნდოდათ...

– ეს ძალიან კარგი დასასვენებელი რეკრეაციული ზონაა. ვერ გეტყვით, მათ რა, ან რატომ უნდოდათ, მაგრამ წლების განმავლობაში, ბოტანიკური ბაღი მიუხედავი და უყურადღებოდ იყო მიტოვებული. დიდი მუშაობაა საჭირო, რომ ფორმაში მოვიყვანოთ და ისევ ბაღს დავამსგავსოთ... ამბობდნენ, რომ აქ თითქოს სასტუმრო და რესტორნები უნდა აეშენებინათ, მაგრამ რამდენად მართალია, არ ვიცი. ბოტანიკური ბაღი კულტურული მემკვიდრეობაა და არ უნდა დავამახინჯოთ, თუმცა კვების ობიექტის აშენებას ვგეგმავთ, რომლის მოთხოვნაც დამთვალიერებლებს აქვთ – მერიამ უკვე გადმოგვცა შენობა, რომელშიც პატარა კაფეს გავხსნით. ადრე, სხვადასხვა ქვეყნიდან ბოტანიკოსები რომ ჩამოდიოდნენ, მათთვის შენობა ფუნქციონირებდა, სადაც ღამეს ათევდნენ. სარემონტო სამუშაოები დავიწყეთ და ამ შენობას ძველი ფუნქცია დაუბრუნდება...

– ესე იგი, მაინც, რესტორანსა და სასტუმრომდე მივდივართ...

– არა, თან გაცილებით ნაკლებ მასშტაბებზეა ლაპარაკი. პატარა კაფე იმისათვისაა საჭირო, რომ აქ ამოსული ადამიანის დასვენება შეძლებისდაგვარად სრულფასოვანი გახდეს.

– ბაღს ბევრი დამთვალიერებელი ჰყავს?

– შარშანდელ მონაცემებს რომ გადავხედოთ, წელიწადში, დაახლოებით, 100 000 ვიზიტორია, აქედან უმეტესობა სკოლის მოსწავლეები არიან.

– უცხოელი ტურისტები არ გსტუმრობენ?

– უცხოელი ბოტანიკოსების გარდა, ინტერესს ტურისტებიც იჩენენ, თუმცა გამოკვლევა ჩავატარეთ და, წლის განმავლობაში, აბანოებთან გავლილი მილიონნახევარი ტურისტიდან, მხოლოდ 10%-მა იცის, რომ აქ ბოტანიკური ბაღია. იმ კუთხითაც ვმუშაობთ, რომ თბილისის ბოტანიკური ბაღი აქტუალური გახდეს და მის შესახებ მხოლოდ საქართველოში არ იცოდნენ, თუმცა სამწუხაროდ, საქართველოშიც ბევრმა არ იცის, რომ თბილისში ბოტანიკური ბაღია.

– ბაღი დამთვალიერებლისთვის მუდამ ღიაა?

– არა, სტუმრებს დილის 9-ის ნახევრიდან საღამოს 8-ის ნახევრამდე ვიღებთ...

ესაუბრა ბექა ღიბრაძე

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ

ᲕᲘᲜ ᲓᲐᲓᲒᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲚᲣᲓᲘᲡᲛᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚᲗᲐ ᲥᲔᲒᲚᲔᲑᲘ

„ყველაფერი კარგად იქნება, პროდუქტებზე ფასების ზრდა არ შეინიშნება. აბა, დამისახელეთ რომელიმე პროდუქტი, რომელზეც ფასმა აიწია?!“ – ეს იმ პოლიტიკოსთა „მოწოდებაა“, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას პოზიტიურად აფასებენ, თუმცა, ბოლო 2 კვირის განმავლობაში, ლარის დეფლაციამ პროდუქტს კვალი მაინც დაატყო... გაძვირება ალკოჰოლურ სასმელებს, განსაკუთრებით, ლუდს დაეტყო: თუკი აქამდე 2,5 ლიტრი ლუდის ყიდვა 6 ლარად შეგეძლოთ, ახლა ამავე ფასად ყველაზე უგემური ორი ლიტრი ლუდიც აღარ მოგივათ... ამასობაში, თავისუფლების მოედანზე, კერძოდ, პუშკინის სკვერში წვეროსნის ქანდაკება გამოჩნდა, რომელიც ძველ მერიას ბაკალმომარჯვებული ალმაცერად შეჰყურებს, გეგონება, ლუდით რომელიმე პოლიტიკოსი უნდა ადღეგრძელოსო.

„გაუმარჯოს მათ, ვინც ლუდს გულით აფასებს!“ – ეს წვეროსნის სლოგანია. ვის გაუჩნდა ქალაქში ლუდისმოყვარულთა ქანდაკებების დადგმა? – როგორც „ქართულმა სიტყვამ“ გაარკვია „ვაკის აუზის“ ბარ-მენეჯერმა, აჩიკო აფციაურმა და მისმა თანაშემწე გიორგი ზედელაშვილმა „ლუდის სამოყვარულო ლიგა“ ჩამოაყალიბეს.

„ლუდი და, არ დაგიმალავთ, ალკოჰოლური სასმელიც ძალიან მიყვარს. ჩვენი, ასე ვთქვათ, ორგანიზაცია პატარ-პატარა შეკრებებს და ყველაზე ძვირიანი ლუდის ერთობლივ დალევას მართავს ხოლმე“, – ამბობს აჩიკო და დასძენს, რომ „ლუდის სამოყვარულო ლიგის“ წევრთა უმეტესობა ერთმანეთის ნაცნობ- მეგობარია.

„ფასებზე ერთგვარ პროტესტს გამოვთქვამთ – შევდივართ მაღაზიაში და ყველაზე ძვირიან ლუდს, მინიმუმ, 30 ლიტრს ვყიდულობთ. ყველაფერი ეს სახალისოა. მართალია, ჩვენს ჯიბეს საკმაოდ დაეტყო, მაგრამ არა უშავს – ყველაფერი კარგად იქნება.

– ლიგაში რამდენნი ხართ?

– დაახლოებით, 90...

– სულ ბიჭები?

– არა, გოგოებიც არიან. მოკლედ, ყველას, ვისაც უნდა, შეუძლია, შემოგვიერთდეს და ჩვენთან ერთად გაერთოს...

ისე, ჩვენში დარჩეს და, შეიძლება, ისეც მოხდეს, რომ ლუდის გაძვირება „ლუდისტებმა“ „ლუდის აბაზანებით“ გააპროტესტონ.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲜᲔᲛᲡᲘᲬᲕᲔᲠᲘᲫᲔ

18
№ 11 (275)
18- 24 მარტი 2015
7 ჩრდილოეთ ევროპა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
ლიტერატურა. ფილოსოფია. პოლიტიკა

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

19 წლის ასაკში მადონა სადარბაზოში გააუპატიურეს

„19 წლის ვიყავი, როცა გამაუპატიურეს, თუმცა მოძალადის დასასჯელად პოლიციისთვის არ მიმიმართავს“, — აცხადებს მსოფლიო პოპმუსიკის 56 წლის დედოფალი მადონა.

როგორც მომღერალი ამბობს, ინციდენტი მაშინ მოხდა, როცა ნიუ იორკში საცხოვრებლად ახალი გადასული იყო. რაც შეეხება მოძალადეს, მადონას თქმით, ის დანით იყო შეიარაღებული.

„ცეკვის გაკვეთილზე მისულს სტუდია დაკეტილი დამხვდა. ფული არ მქონდა, რომ ტაქსოფონიდან დამერეკა. უცნობმა მამაკაცმა შემომთავაზა, რომ შინ გავყოლოდი და მისი სახლის ტელეფონიდან დამერეკა. დავთანხმდი. მას შემდეგ, რაც მასთან ერთად მრავალსართულიანი სახლის სადარბაზოში შევედი, უცნობმა ჯიბიდან დანა ამოიღო, დამემუქრა, თუ ხმას ამოვიღებდი, ყელს გამომჭრიდა და გამაუპატიურა. ისიც მითხრა, რომ თუ მომხდარის შესახებ პოლიციაში განვაცხადებდი, სამედიცინო შემოწმების გავლა მომიწევდა, სასამართლოში კი, პირადულ შეკითხვებს დამისვამდნენ, რაც ჩემთვის დამამცირებელი იქნებოდა“, — ამბობს მადონა.

პრინცი უილიამსი მალე თმას გადაინერგავს

როგორც დასავლური გლამურული გამოცემები იუწყებიან, კემბრიჯის ჰერცოგინიას თანამეცხედრის გარეგნობა არ მოსწონს. კერძოდ, ქეით მიდლტონს ნერვებს, თურმე, პრინც უილიამსის სიმელოტე უშლის. ამიტომაც, ქმარს მოსთხოვა, სასწრაფოდ თმა გადაინერგეო.

„ქეითი ფიქრობს, რომ უილიამსს ასაკოვანი მამაკაცის შეხედულება აქვს და დარწმუნებულია, რომ თუკი უილიამსი თმასთან დაკავშირებულ პრობლემას მოაგვარებს, გაცილებით ახალგაზრდული იერი ექნება“, — წერენ დასავლური გამოცემები, რომლებიც, წყაროზე დაყრდნობით, იმასაც ვარაუდობენ, რომ პრინცი საზოგადოების წინაშე მალე „ხუჭუჭი თმით“ წარსდგება.

ამასთან, ჟურნალისტებისთვის ისიც გახდა ცნობილი, რომ ჰერცოგინია მეუღლის გარდერობითაც უკმაყოფილოა.

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

18-24 მარტი 2015 | № 11 (275) | 19

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართული სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა



74 წლის ალ პაჩინოს ცოლად 35 წლის ქალი მოჰყავს

სახელგანთქმულმა ჰოლივუდელმა, ალ პაჩინომ, რომელმაც 70-ს ოთხი წლის წინ გადააბიჯა, გადაწყვიტა, ლუსილა სოლა ცოლად შეირთოს. 35 წლის არგენტინელი ლუსია, რომელიც, ასევე, მსახიობია, კარგა ხანია, ვარსკვლავის „გელფრენდია“. მეტიც, ალ პაჩინო და ლუსია წლებია, ერთ სახლში ცხოვრობენ.

„სიყვარულისა და ქორწინებისთვის ასაკობრივი ბარიერი არ არსებობს. პირველად ვარ მზად, ისეთი საპასუხისმგებლო ნაბიჯი გადავდგა, როგორიც ოჯახის შექმნაა“, — ამბობს მსახიობი, რომელსაც 25 წლის წინ, მსახიობმა ჯენ ტარანტმა ქალიშვილი გაუჩინა, მსახიობმა ბევერლი დ'ანჯელმა კი, მოგვიანებით ტყუპი ქალ-ვაჟი აჩუქა.

ფროიდის ფრაზები, რომლებიც ცხოვრებას გაგიადვილებენ

1) ერთმანეთს შემთხვევით არ ვირჩევთ — მხოლოდ მათ ვხვდებით, ვინც ჩვენს ქვეცნობიერში უკვე არსებობს.

2) სამწუხაროდ, ჩახშობილი ემოციები არ ქრებიან — მართალია, გაჩუმება აიძულეს, მაგრამ ისინი ადამიანზე გავლენას შიგნიდან ახდენენ.

3) სამყაროს შექმნისას უფლის გეგმებში ადამიანის გაბედნიერება არ შედიოდა.

4) ამ სამყაროში მარტო მოვდივართ და მარტოვე ვტოვებთ.

5) გარეგნობით უმწიკვლო ადამიანს, შიგნით მეტი დემონი ჰყავს.

6) ძალების და თავდაჯერებულობის ძიება გარეთ უშედეგოა, ისინი იქ უნდა ეძიოთ, სადაც ყოველთვის იყვნენ — თქვენში.

7) სინამდვილეში, ადამიანების უმრავლესობას თავისუფლება არ სურს, რადგან თავისუფლება საკუთარ თავში მოიაზრებს პასუხისმგებლობას, პასუხისმგებლობა კი, უმრავლესობას აშინებს.

8) შუა საუკუნეებში მე დამწვავდნენ, ახლა კი, მხოლოდ ჩემს წიგნებს წვავენ.

9) ზოგჯერ სიგარა მხოლოდ სიგარაა და მეტი არაფერი.

10) სიყვარული და სამსახური — აი, ჩვენი ადამიანურობის ქვაკუთხედი.

11) შური დამანგრეველია!

12) არ გვაქვს გარანტია, რომ არ დავუშვებთ ისეთივე შეცდომებს, რომლების გამოც სხვებს დავცინით.

13) არაფერია უფრო დასაფასებელი, ვიდრე — ავადმყოფობა და მისი იგნორირების უნარი.

14) მასებს არასოდეს ჰქონიათ ლტოლვა ჭეშმარიტებისაკენ. მათი მოთხოვნა ილუზიაა, რომლის გარეშეც ცხოვრება არ შეუძლიათ.

15) სექსუალურ გადახრად შეიძლება მივიჩნიოთ სექსუალური ცხოვრების არქონა, დანარჩენი — გემოვნების საკითხია.

16) არაფერი ისე ძვირი არ ჯდება ცხოვრებაში, როგორც — ავადმყოფობა და სისულელე.

17) პირველი ადამიანი, რომელმაც ქვის სროლის ნაცვლად წყევლა დაიწყო, ცივილიზაციის შემოქმედი იყო.

18) სიზმარი სამეფო გზაა ქვეცნობიერში.

19) ყველა ადამიანს აქვს ისეთი სურვილი, რომელსაც არავის გაუმხელს და ყველა ადამიანს აქვს ისეთი სურვილიც, რომელსაც საკუთარ თავსაც არ გაუმხელს.

20) ადამიანისთვის დამახასიათებელია იმის ყველაზე მეტად დაფასება და სურვილი, რისი მიღწევაც არ შეუძლია.

21) ერთადერთი ადამიანი, ვისაც შეგიძლიათ გაეჯიბროთ, ეს თქვენვე ხართ!

22) ადამიანი არასოდეს არაფერზე ამბობს უარს, უბრალოდ, ერთ სიამოვნებას მეორით ანაცვლებს.

23) თქვენი პიროვნულობის მასშტაბი განისაზღვრება იმ პრობლემით, რომელსაც თქვენი მდგომარეობიდან გამოყვანა შეუძლია.

24) ვიდრე საკუთარ თავს დეპრესიისა და დაწეული თვითშეფასების დიაგნოზს დაუსვამდეთ, დარწმუნდით, რომ იდიოტების გარემოცვაში არ ხართ.

25) თუ ადამიანს ყველაფერი ვაპატიეთ, ე.ი. მასთან ყველაფერი მორჩა.

რეჟისორი პიტერ ბერგი რიანაზე დოკუმენტურ ფილმს იღებს

„რიანაზე დოკუმენტურ ფილმს გადავიღებ. საერთოდ, ახალგაზრდა მომღერლის ცხოვრების შესწავლა ძალიან დიდი ინტრიგაა... ფილმში ხაზს რიანას ფსიქოლოგიურ პორტრეტს გავუსვამ“, — ამბობს რეჟისორი პიტერ ბერგი, რომელმაც თავის დროზე რიანა ფანტასტიკურ ფილმ „საზღვაო ბრძოლაში“ გადაიღო.

ცნობისთვის: რიანას, რომელიც „გრემის“ მფლობელი რვაჯერ გახდა, 150 მილიონზე მეტი ალბომი აქვს გაყიდული.

მსოფლიოში ყველაზე ჭკვიანად 2 წლის ბავშვი აღიარეს

ოსკარ რიგლი, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი 2 წლის ბავშვია — უყვარს თამაში და გართობა, თუმცა სხვა ბავშვებისგან განსხვავებით, შეუძლია, თამაშზე უარი თქვას და წიგნი წაიკითხოს.

ამ და სხვა მიზეზების გამო, 2 წლის ოსკარი მსოფლიოში ყველაზე ჭკვიანი ბავშვის ტიტულის მფლობელი გახდა. ბიჭის ინტელექტის კოეფიციენტი 160-ს აჭარბებს და აინშტაინისას უტოლდება.

2 წლის ვუნდერკინდი მაღალი ინტელექტის მქონე ადამიანებისთვის განკუთვნილი ორგანიზაციის — მენსის ოქსფორდული კლუბის წევრიცაა.

ჯანსულის სიცილნათელები

ეროვნული

ხვალინდელ დღეს
ვერ მოუვლი,
არც მზისა გწამს,
არც — ყვავილის,
ეროვნული,
ეროვ-ნული,
ერი ნულზე
დაყვანილი.

„მაი მუნ“

ალილუია,
ალილუ,
აშშ-დან
შემო თვალე,
შენ ხარ ნაღდი
„მაი მუნ“ —
ინგლისურად,
„ჩემო მთვარე.“

ვინ არის

ადრე ცხოვრობდა
ამ ერის ტ...ში,
ახლა გრიალებს
ამერიკაში.

ვარდ-დებილეთი

ვალდებული კი არა,
თქვენ ხართ ვარდ-დებილები,
გთხოვთ, გა-ვარდ-ეთ აქედან,
გასცეთ ადრე ბინები.

„ნაცების“ აღდგომა

ამქვეყნად კაცად
ვინც არ მეგულვის.
იმ კაცს ვპასუხობ —
„ნაცო“, ვინა ხარ?
საქართველოში
მიცვალებული
დაბრუნებული
ჯერ არ მინახავს.

ბახუსაშვილის ნაბეღლავი

მოვრჩი,
ვეღარ ვინაღვლებ,
„პახმელიას“ ანგრევს ღვარი,
უკულმა ხარ
„ივალღებან“,
წაღმიდან კი, —
„ნაბეღლავი“.

გრიგალი

დანიის 2015 წლის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატ ირმა გიგანს

სიყვარული
სიმღერაა ზეცისა,
სიძულვილი
ღრიალია მხეცისა.
შენ გიმღერის ზეცა,
უნეტარესო,
სიხარულით
მეც ხომ გული ამევსო!
მზის ჩასვლისას
გიმზერდი და არ ჩანდი,
მზე ამოდის
და შენი მზე არ ჩადის.
სიყვარული ეფერება
მზის მარჯნებს,
უცხოეთშიც
უპატრონოდ იმარჯვებ.
შენი გვარი,
დიახ, არის მზის გვარი,
შენ გიგანი არ ხარ,
შენ ხარ გრიგალი!

ჯანსულ ჩარკვიანი

დიზაინის საავტორო უფლებები დაცულია

ISSN 2298-0024

9 772298 002004 47922

მთავარი რედაქტორი: ჯანსულ ჩარკვიანი
მთ. რედაქტორის მოადგილე: ვანო პავლიაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ჭაბუა ამირეჯიბი, მერაბ ბერძენიშვილი, ბაჩანა ბრეგვაძე, თემო გოცაძე, ემზარ კვიტაიშვილი, არმაზ სანებლიძე,

მედია-ჯგუფი: მარიკა კახაძე, ნათია გოგიტიძე, ნათია ვერძეული, ნათია ლებანიძე.
დიზაინერი და ფოტოკორესპონდენტი: ზურა მეგრელიშვილი.

გაზეთი რეგისტრირებულია რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) მიერ. რეგისტრაციის №22851

მისამართი: 26 მაისის მოედანი. №1
ტელ.: 272-63-90

E-Mail: qartulisityva@gmail.com

გაზეთი მოქმედებს თავისუფალი პრესის პრინციპით